



საქართველოს ზიზღილი ტემპა

„*გეროვნა თუ სხვა - ცარიელს ლეგებს წინაშე ყოველგვარი იმედი რა
ზომითღებ ცარიელს ყირაღუ ყოველი მარცხა. ყირაღუ ყოველი მერაგონა იმას.
რასც 14 იანვარს აქ ამ ცრიხუხირას ვთქვი - ლეგს ვიწმეღუთ გეროვნას.
გეროვნის რეპორაჟიას!*“

ნოე ჟორჯაძის, 1918



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	მაია მიქაბერიძე
საპატიო რედაქტორი:	ალექსანდრე ლორია
სარედაქციო კოლეგია:	გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი:	ლოლა სანაია
დიზაინი:	გიგი გელაშვილი
დაკაბადონება:	რევაზ თხილიშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა №3 (88) – 2022; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



ქვეთიან თაყაიშვილი და ნოე შორაძანი ლევილში



ლევილის სახლი




შინაარსი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
რუსუდან ასათიანი
მიმართვა



რელაქციონისგან
მაია მიქაბერიძე
მიმართვა




საქართველო-ვეროპის
კულტურულ-საგანმანათლებლო
ურთიერთობები
მორენა საძაგლიშვილი
უმადლესი განათლების
ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები
სოციალური მუშაობის მიმართულებით
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში




საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა - ქვეყნისა და საზოგადოების
აქტიურ სამსახურში
სასარგებლო
ურთიერთთანამშრომლობისთვის




საბიბლიოთეკო საქმე:
საბიბლიოთეკო მენეჯმენტი.
საერთაშორისო ურთიერთობები
მაია სიმონიშვილი
„მდგრადი განვითარების მიზნები –
2030“ ბიბლიოთეკებისთვის



ვანესა ირვინი
რეცენზია კერენ დალისა და ნადია
კაიდის წიგნზე „LIS განათლებისა
და პრაქტიკის ჰუმანიზაცია“ (2021) /
ინგლ. თარგმნა ლია გიგაურმა



საბიბლიოთეკო საქმე:
ისტორია და დღევანდელი
ანა კარტოზია
საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის
ისტორია საქართველოში



ნანა ლურსმანაშვილი
„ჩემი დღეების თეთრი წყვილი“
(შეხვედრა ვალერი გოგნაძესთან)





წიგნის ისტორია

ნათია სინარულიძე

„არტისტული ყვავილები“
(გალაკტიონის მეორე პოეტური კრებული)



მურმან თავდიშვილი

გორში დასტამბული პირველი წიგნი



ნანა ფირცხალავა

„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“
გამოუქვეყნებელი მეცამეტე ტომი -
რუსეთ-კავკასიის ომის მემატიანე



ქეთევან ოთარაშვილი

გაზეთი „კოვკასი“ - პირველი
სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში



ქართული ემიგრაცია

რუსუდან კობახიძე

ლევინის ქართული მამული - ქართული
პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიული
ნავსაყუდელი 100 წლისაა



რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

თომა ლიპარტიანი

მონოგრაფია სოფელ უდესა და
მის ეკლესიაზე



ბიბლიოთეკის ჩანაწერები

ლევან თაქთაქიშვილი

წიგნი ჩემი მონარქია (გაგრძელება)



მოდრალობა „ეკვილიბრიუმი“

ლელა ლიპარტელიანი

„ეკვილიბრიუმი“ - თანადგომისა
და მზრუნველობის 10 წელი



**„ეკვილიბრიუმის“ ქრონიკა
2021-2022**




ხელოვნება

დავით გიგინეიშვილი

წინასაადღგომო კონცერტი ზალცბურგში



გირჩევთ, გაეცნოთ წიგნებს...





რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

ძვირფასო მკითხველო,

ყველა შეგნებული ქართველისთვის მისაღებია საერთო ევროპული ფასეულობები: თავისუფლება, დემოკრატია, უსაფრთხოება, თანასწორობის იდეა.

ქართველ ერს ისტორიულად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ამ ფასეულობების ფორმირებასა და დაცვაში. სწორედ ეს საერთო ღირებულებები განაპირობებს ქართველი ხალხის ნებას, რომ გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და სწორედ ეს ღირებულებები განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ტრადიციების ჯანსაღად შენარჩუნებას და მის განვითარება/მოდერნიზაციას.

ევროპული კულტურა გვასწავლის, როგორ ავაშენოთ და როგორ დავიცვათ საკუთარი სახელმწიფო, როგორ ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებას კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების უფლებას არ მისცემს. ის გვასწავლის, როგორ გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, როგორ შევქმნათ საკუთარი ნავსაყუდელი და არ ვიქცეთ ემიგრანტებად.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შიში და გაურკვეველობა ევროპის მიმართ, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის მომავალი ევროპულ ფასეულობებზე

გადის. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი მოქალაქის უნდობლობა ევროპის მიმართ ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში გავრცელებული რუსული პროპაგანდისტული მანქანის დამსახურებაა. მისი ძალისხმევით საქართველოში უკვე არსებობს კარგად დაფინანსებული და მძლავრი მედია-საშუალება, რომელიც ყოველდღიურად ავრცელებს რუსულ ნარატივს და ასეულობით ჩვენს თანამემამულეს აწვდის ყალბ და დამაზიანებელ ინფორმაციას, რომელშიც დიდი ნაწილი ევროპული ფასეულობების დაკნინებაა.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია კვლევებისა და გაცვლების საბჭოსთან, IREX-თან და ამერიკის საელჩოსთან ერთად პერიოდულად ახორციელებს პროექტს „ისწავლე, რათა ამოიცნო“ (Learn To Discern), რომელიც ემსახურება ყალბი და დამაზიანებელი ინფორმაციის ამოცნობას. აღნიშნული პროექტი ასობით ახალგაზრდამ გაიარა, რომლებმაც თავის მხრივ გააგრძელეს ტრენინგების ჩატარება აღნიშნულ თემაზე.

მე ვიმედოვნებ, რომ არცერთი ჩვენგანი არ გაებმება დეზინფორმაციის მახეში და ჩვენს სულ მალე შევძლებთ, შევეუერთდეთ დიდ ევროპულ ოჯახს.





მაია მიქაბერიძე

რედაქტორისაგან

დღეს პირველი სიტყვა და უპირველესი განწყობა, რომელიც საქართველოს მომავალს ეხება, ევროპა და მასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთკავშირის პერსპექტივაა.

ვილაცისთვის ჩვენი „ევროპელობა“ დაეჭვებისა და ნიჰილიზმის საბაზს იძლევა, სხვებისთვის ურყევი რწმენაა, რომ უნდა დაგზრუნდეთ ევროპის ნიაღში, იქ, სადაც ჩვენთვის გასაგებ, მისაღებ და განვითარებისთვის აუცილებელ ღირებულებებს ეძლევა უპირატესობა, ღირებულებებს, რომელთა არსთა არსი კაცთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა და სხვა მრავალი კეთილი ადამიანური განცდაა.

მრავალჭირგამოვლილ ჩვენს ერს თავისუფალი არჩევანის საშუალება ხშირად არ ჰქონდა, მაგრამ ძლიერ სახელმწიფოთა წნეხის მიუხედავად, მაინც ახერხებდა ვითარების მიხედვით გამოსავლის პოვნას. თავისუფლების მისაღწევად ხმლითაც გვიომია და სიტყვითაც და არაერთი დიდი იმპერიის ნგრევის მოწმე გაგმხდარვართ. ახლაც მოუსაველეთისაკენ მიქანება მეზობელი დიდი იმპერია და ნუ მივცემთ ჩვენი თან ჩათრევის საშუალებას.

ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირში შესვლის მისწრაფება ევროპასთან დამონება არ არის. ეს არის სურვილი მოყვარის ძიებისა, რადგან კარგად ვიცით – „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი და რთული გზა განვლო მეგობრების ძიებაში და, როცა თითქოს გამოჩნდა საშველი, საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ძნელად გასარჩევი გახდა, ვინ არის მეგობარი და ვინ – მეგობრის მანტიასმოხვეული მტერი.

ახლა გვაქვს არჩევანის გაკეთების საშუალება. ნუ მოვატყუებინებთ მტერს თავს. ალბათ, ყველამ კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ:

- როგორი მომავალი სურთ ჩვენს **შვილებს**?
- როგორი მომავალი გვსურს **ჩვენი შვილებისათვის**?
- გვინდა თუ არა, რომ **ჩვენმა შვილებმა** ბედნიერი და სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვრონ?
- როგორ სახელმწიფოსთან ან გაერთიანებასთან ურთიერთკავშირი მოუტანს სარგებლობას **ჩვენს შვილებს**?

პასუხი ცალსახაა:

ჩვენი შვილების კეთილდღეობის გზა ევროპის გზაა!



მორენა სახელიძე
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

უმალესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები სოციალური მუშაობის მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

სოციალური მუშაობა ახალგაზრდა დარგია საქართველოში, რომელიც ოციოდე წლის წინ შეიქმნა და განვითარდა. სოციალური მუშაობა აკადემიური დისციპლინა და ღირებულებითი პროფესიაა, რომლის მიზანია ადამიანის, ჯგუფების, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება სისტემური მიდგომების გამოყენებით. ამდენად, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ დარგის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და მისი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის ხელშეწყობა.

უმალესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს სტუდენტების, პროფესორებისა და მკვლევარების მობილობას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, საერთაშორისო კვლევით პროექტებში თანამშრომლობას და სხვა ღონისძიებების დაგეგმვას. ამ მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს.

კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა 2007 წელს და ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს პირველ სამაგისტრო პროგრამას სოციალურ მუშაობაში. ამ პროგრამას უკვე 170-მდე კურსდამთავრებული ჰყავს. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ, სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე, რომელმაც განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს მიიღო აკრედიტაცია.

სოციალური მუშაობის ორივე პროგრამა შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სამაგისტრო პროგრამის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის და კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებიც ბუდაპეშტის აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ პროფესორებთან ერთად ავითარებდნენ პროგრამას. დღესდღეობით, ორივე პროგრამაში კონსულტანტებად ჩართულნი არიან საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორები: ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ალიდა ბურისი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს დეკერი, რომელიც ამავე დროს არის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის თანადამფუძნებელიც. ასევე, პროგრამაში ჩართულნი არიან აშშ-ს საერთაშორისო უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი პროფესორები: თინა კილაბერია (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი) და ინგა საითაძე (სიბელმანის სახელობის სოციალური მუშაობის სკოლა, ჰანტიერ-კოლეჯი). ონლაინ ფორმატის გათვალისწინებით გახშირდა სტუდენტებისთვის ონლაინ საერთაშორისო ღონისძიებების, მათ შორის ლექციებისა და სემინარების ჩატარება. ასევე, პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტები, როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო დონეზე, მონაწილეობენ პროგრამის განახლებაში და ახალი კურსების დანერგვაში, ხელმძღვანელობენ სადოქტორო საფეხურის სტუდენტების სადისერტაციო თემებს.

ამჟამად, სოციალური მუშაობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა 2019 წლიდან მონაწილეობს ევროკავშირის ერაზმუს+ პროგრამაში, რომელიც ევროკავშირის მასშტაბით სტუდენტთა და ლექტორთა ურთიერთგაცვლას გულისხმობს. გარდა ამისა, სტუდენტების და ლექტორების ურთიერთგაცვლა მიმდინარეობდა ევრაზიის პროექტის ფარგლებშიც.

მოცემული პროგრამების ფარგლებში უკვე 20-მდე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა გაატარა ერთი სემესტრი ევროპის უნივერსიტეტებში: ჩეხეთის პალაცკის უნივერსიტეტში ან/და ნორვეგიის უნივერსიტეტებში. ჩეხეთის და ნორვეგიის წარმომადგენლებმა კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტებით გაიცნეს საქართველოს გამოცდილება.

სოციალური მუშაობის სკოლა არის სოციალური მუშაობის ევროპის სკოლების ასოციაციის (EASSW) და საერთაშორისო სოციალური მუშაობის სკოლების (IASSW) წევრი. ამ ორგანიზაციების წევრობა პროგრამის პროფესორებს, მკვლევრებს და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების გაშუქებაც ხდება საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თანამშრომლობით 2022 წლის 12–13 აპრილს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „სოციალური მუშაობა კრიზისში მყოფი ბავშვების მხარდასაჭერად“. კონფერენციის მიზანი გახლდათ კრიზისში მყოფი ბავშვების, ომით დაზარალებული და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობის შესახებ ცნობიერების გაზრდა სამეცნიერო წრეებში. კონფერენციის შესახებ ინფორმაცია გაზიარდა სოციალური მუშაობის სამეცნიერო ქსელებში.

გარდა ამისა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება პრაქტიკის განვითარების მიმართულებით. პრაქტიკის განვითარება განსაკუთრებით კრიტიკულია სოციალური მუშაობის პროფესიისთვის, რადგან სოციალური მუშაობა გამოყენებითი დისციპლინა და პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესიაა. სტუდენტები თეორიულ კურსებთან ერთად გადიან პრაქტიკას ოთხივე სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში განერილია პრაქტიკის დავალებები, რომლებიც სოციალური მუშაობის კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს. პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებისთვის უნივერსიტეტის პროფესორები და პრაქტიკის ხელმძღვანელები სტუდენტებთან ერთობლივად მუშაობენ. ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ნორვეგიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით შეიქმნა ეფექტური პრაქტიკის მოდელი, რომელიც მორგებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. გარდა ამისა, ევროპულ კოლეგებთან ერთად დაინერგა სერვისით სწავლის პროექტები, რომლებიც სტუ-

დენტების სწავლის მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. ასევე, სერვის-პროექტებით სტუდენტები ემსახურებიან უნივერსიტეტის მესამე მისიის მიღწევას, რაც გულისხმობს სტუდენტების ჩართვას საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში. ეს კი ამართლებს პროფესიის მისიას, რაც მდგომარეობს ინდივიდებისა და ჯგუფების მხარდაჭერასა და გაძლიერებაში, მათი სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებით ღირებულია სოციალური მუშაობის ძლიერი სამეცნიერო ბაზის განვითარება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (N FR17-31). სოციალური მუშაობის პროფესორებმა მიიღეს ფუნდამენტური კვლევების გრანტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პირველი კვლევითი ცენტრი სოციალურ მუშაობაში: „სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი“ [<https://socialintervention.iliauni.edu.ge/>]. კვლევითი ცენტრის მიზანია მეცნიერების, მკვლევრების, დოქტორანტების, პრაქტიკოსების და მომსახურების მიმღებების/წევრების გაერთიანება სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად. კვლევითი ცენტრის ბაზაზე ხორციელდება სოციალური მუშაობის მიმართულებით საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, რომლებშიც ჩართულები არიან უცხოელი პროფესორებიც. კვლევითი ცენტრის ფარგლებში ჩატარდა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია და განვითარდა სამეცნიერო ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე [<https://socialintervention.iliauni.edu.ge/tsignebis-prezentatsia/>].

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური მუშაობის პროგრამის სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ღონისძიებებში. მაგალითად, 2022 წლის ივლისში, საერთაშორისო პროექტ INSIDE OUT – ის ფარგლებში, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მხარდაჭერით განხორციელდა სოციალური სტუდენტური აქტივობა, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ. ღონისძიების მიმდინარეობისას განხორციელდა პროექტის ფარგლებში გადაღებული ფოტოპორტრეტების და პოსტერების ინსტალაცია. პროექტის დონორია ევროკავშირი და მასზე სრულიად პასუხისმგებლები არიან საფრანგეთის განვითარების სააგენტო „ექსპერტიზ ფრანსი“ და ჩეხეთის განვითარების სააგენტო.



სასარგებლო ურთიერთთანამშრომლობისთვის

2022 წლის 17-18 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები სტუმრობდნენ მეზობელ თურქეთს, სადაც ქალაქ ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს მონაწილეობით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ქართული მხრიდან ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ, ხოლო თურქული მხრიდან რიზეს რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჰუსეინ ქაჰრამანმა მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი მიზნად ისახავს ორ დაწესებულებას შორის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილებების გაზიარებას. შეხვედრისას გადაწყდა, რომ მოხდება საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ციფრული წიგნებისა და მასალების გაზიარება.

განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცება თავის წვლილს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარების საქმეში. პროფესორ ჰუსეინ ქაჰრამანის თქმით, ამის კარგი მაგალითია რიზეს უნი-



ვერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი მემორანდუმი. აღსანიშნავია, რომ რიზეს უნივერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია მასპინძლობს ქართველ სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტის ბაზაზე სტაჟირებას გადიან.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორსა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელს, გულ მუქერემ ოზთურქს მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ ის მზად არის, გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა რიზეს უნივერსიტეტთან. გენერალურმა კონსულმა, გელა ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა მხარეთა შორის მემორანდუმის გაფორმების მნიშვნელობას





და იმედი გამოთქვა, რომ მემორანდუმი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთობების გაღრმავებას. ამასთანავე, გ. ჯაფარიძემ გამოთქვა მზადყოფნა ახალი ინიციატივების მხარდაჭერისა და გენერალური საკონსულოს მხრიდან თანადგომის კუთხით.

ამაღელვებელი იყო 18 მაისს რიზეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების კუთხის საზეიმო გახსნა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და გენერალური საკონსულოს მხრიდან ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნებით შეივსო. უნივერსიტეტის

სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია თემებზე „ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობა“ და „თურქეთელი ქართველების ტრადიციული კულტურა“, რომელზედაც მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა და თურქმა მეცნიერებმა. უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებს ასევე ესწრებოდნენ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, როზეტა გუჯეჯიანი, რიზეს უნივერსიტეტის პროფესორები გულ მუქქერემ ოზთურქი, სოფიო მახაჭაშვილი, ნერიმან ილმაზი და აკადემიური წრეების სხვა წარმომადგენლები.

„ძალიან საინტერესო და სასარგებლო ვიზიტი გამოგვივიდა თურქეთში. თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმეთ ქალაქ რიზეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება ფუნქციონირებს; უნივერსიტეტში გავხსენით ქართული წიგნის კუთხე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის; გაიმართა კონფერენცია, სადაც სპეციალურად ფართო აუდიტორიის წინაშე მოხსენებები წარვადგინეთ, ჩვენი საქმიანობისა და საქართველოს შესახებ. ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა ამ მხარის კულტურისა და ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელთან. დაიგეგმა კონკრეტული ამბები, რაც სასარგებლო შედეგის მომტანი უნდა გამოდგეს ამ სფეროში. მადლობა მასპინძლებს გულიანი დახვედრისთვის. მოკლედ, შედეგიანად და ბევრი გეგმით დავბრუნდით სამშობლოში“ – აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ეთნოლოგიის დოქტორმა, ბატონმა მირიან ხოსიტაშვილმა.





მაია სიმონიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაციის
ევროპის რეგიონის განყოფილების წევრი

მიმდინარე წლის 6-7 აპრილს გაეროს ჟენევის ოფისში გაეროს ევროპის რეგიონის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ინიციატივით ჩატარდა მდგრადი განვითარების მაღალი დონის ფორუმი. ფორუმზე განიხილეს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში საგანმანათლებლო ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხები, აგრეთვე, პანდემიის დაძლევისა და პოსტპანდემიურ პერიოდში გაეროს რეკომენდაციები.

რამდენიმე წელია, რაც საბიბლიოთეკო გაერთიანებებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს ბიბლიოთეკებთან მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისთვის. მდგრადი განვითარების 17 მიზნის განხორციელება მეტ დატვირთვას იძენს პანდემიის შემდგომ პერიოდში. ამ მიზნების გაცნობისთვის მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკების მიერ სათანადო ცოდნის გავრცელება. ბიბლიოთეკები, როგორც ყველაზე დემოკრატიული და ღია საგანმანათლებლო ცენტრები, ყველა ქვეყანაში ყველა სეგმენტს მოიცავს და ყველაზე სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. „მიზანი 16.10. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა სახელმწიფო და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად“, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლავთ.

ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე განიხილეს ეკონომიკური, საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო ორგანიზაციების ჩართულობის ახალი მეთოდები და სიახლეები მდგრადი

„მდგრადი განვითარების მიზნები – 2030“ ბიბლიოთეკებისთვის გაეროს მდგრადი განვითარების ფორუმის მიმოხილვა

განვითარების მიზნების განხორციელებისთვის; პანდემიის მიერ გამოვლენილი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები; მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები აღნიშნულ საკითხებში. გაეროს ევროპის რეგიონის ეკონომიკური კომისიის მთავარი მიზანია პან-ევროპული ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც მოიაზრება 56 ქვეყანა ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. თუმცა, თანამშრომლობა შეუძლია გაეროს წევრების მიერ ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ გაეროს ეკონომიკური ფორუმი აერთიანებს 70 საერთაშორისო პროფესიულსა და მრავალ კერძო ორგანიზაციას.

რეგიონული ფორუმის მიზანი იყო „2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვისა და განხორციელების მექანიზმების განვითარება“. ხარისხიანი განათლება; პანდემიის გამოწვევები განათლებაში და სწავლა სიცოცხლის მანძილზე; გენდერული თანასწორობა და ქალების განვითარების ხელშეწყობა; სიცოცხლე წყალსა და ხმელეთზე; პარტნიორობის განვითარება თანამშრომლობისთვის – ეს იყო მაღალი დონის ფორუმის თემატიკა.

ცხადია, რომ პანდემიამ განათლების მეთოდებისა და სტრუქტურების გადახედვა დღის წესრიგში დააყენა. ბოლო სამმა წელმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების მდგომარეობაზე, რაც საქმიანობასა და განათლების ხარისხზეც აისახა. ამ პერიოდმა განსაკუთრებით გამოკვეთა მანამდე არსებული პრობლემები და ის საკითხები, რომლებსაც გარკვეულ პერიოდამდე ზედაპირულად აღვიქვამდით, მაგრამ მომავალი თაობების განვითარებისთვის არსებითი როლი ენიჭება.

„პანდემიამ განსაკუთრებით იმოქმედა 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე. დღეს რეგიონში კონფლიქტია და ჩვენი მიზანი უნდა იყოს ამ დაპირისპირების



დაძლევა და წინსვლა. მდგრადი განვითარების განხორციელებისთვის აუცილებელია სამშვიდობო ქმედებები, მაგრამ მშვიდობა ვერ იქნება განვითარების გარეშე. მდგრადი განვითარების დანერგვის პროცესში განსაკუთრებით თვალსაჩინოა განათლების, ქალთა ხელშეწყობის, არსებითი უფლებების დაცვა; ამ მიზნებს მხოლოდ თანამშრომლობა განხორციელებს – აღნიშნა ევროპის რეგიონული ფორუმის თავმჯდომარემ, ყირგიზეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ, ედილ ბაისალოვმა.

გაეროს აღმასრულებელმა მდივანმა, ქალბატონა ამინა მოჰამედმა, აღნიშნა, რომ „უკრაინაში ომის გამო ადამიანები იტანჯებიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე არსებითი კრიზისი სახეზეა და ჩვენ მოგვეთხოვება, რომ მისი დაძლევის მეთოდები მოვამზადოთ და განვახორციელოთ. პანდემიის ფონზე, სახელმწიფოებისა და მოსახლეობის მდგრადობის მნიშვნელობა სახეზეა. ვაქცინაციის არახელმისაწვდომობა და წინასწარ დაცვითი მეთოდების ნაკლებობა დღეს მსოფლიოს მორალურ პრობლემას და საყოველთაო საფრთხეს წარმოადგენს. აგრეთვე, თვალსაჩინოა ქალთა განვითარების, ლტოლვილთა ხელშეწყობისა და ახალგაზრდების განათლების პრობლემები. ამ საკითხებს შეისწავლის მრავალპროფილიანი მონაცვლადობის ინდექსი, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის მდგრადობის გაუმჯობესების მეთოდები შემუშავდება. აგრეთვე, მნიშვნელოვანი მიზანია განათლების ახლებური მომავლის შემუშავება. დღეს, განათლების სისტემები კრიზისშია, რის გამოც სექტემბერში განათლების სისტემის გარდაქმნისათვის რეკომენდაციები მომზადდება. ამ პროცესში ციფრული ჩართულობა და საყოველთაო ინტერნეტიზაციის გაუმჯობესება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.“

ფორუმზე გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა, ოლგა ალგა-

ეროვამ და ევროპისა და აზიის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის ვიცეპრეზიდენტმა მირჯანა ეგერმა ისაუბრეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, აგრეთვე, საყოველთაო თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

საინტერესო იყო დამოუკიდებელ მეცნიერთა ჯგუფის წარმომადგენლის, ასა პერსონის მოხსენება. იგი სტოკჰოლმის გარემოს დაცვის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია და მსოფლიოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ტენდენციებს ყოველწლიურად იკვლევს. პანდემიის მიუხედავად, მსოფლიომ შეძლო, რომ 17 მიზანი განხორციელების შუაგზაზეა. სულ უფრო მეტი კომპანია ითვალისწინებს აღნიშნულ მიზნებს და სულ უფრო მეტი სიახლე ინერგება. ბევრად გაუმჯობესდა ევროპის ეკონომიკური თანასწორობა, თუმცა, სახელმწიფო რესურსებისა და სიმდიდრის თანასწორი ათვისება ჯერ კიდევ მეტ მუშაობას მოითხოვს. მოხსენების უმთავრესი მიზანი იყო შედეგების გადახედვა და ახალი შესაძლებლობების გამოვლენა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მეცნიერება, პოლიტიკა და საზოგადოება მდგრადი განვითარების საკითხებში სხვადასხვა დონეზეა ჩართული. შესაბამისად, სწორხაზობრივი მეთოდები ნაკლებად ეფექტურია და ცოდნის, საშუალებებისა თუ გამოცდილების გაზიარება სწავლას მოიაზრებს საქმიანობის პროცესშიც. ბიბლიოთეკებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩაერთონ პროცესში, რათა მეცნიერული შედეგებისა და ცოდნის გადაცემა მთელი საზოგადოებისთვის შესაძლებელი გახდეს.

ფორუმის პირველ დღეს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლობამ საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე საქმიანობა განიხილეს და უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ თავიანთი ერთსულოვანი მოსაზრება გამოთქვეს.

ბიბლიოთეკების მონაწილეობა მდგრადი განვითარების საკითხებში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ შეხვედრებზე. განათლების კონფერენციის თემა იყო პანდემიით გამოწვეული კრიზისი განათლებაში, ასევე განათლების როლი სოციალური ერთიანობის ხელშეწყობის საქმეში. პროგრამის მიხედვით, პანდემიით გამოწვეული დანაკარგების აღდგენისთვის საჭიროა მონაცვლადი ჯგუფების გათვალისწინება და გაძლიერება. კონფერენციას უძღვებოდა მანჩესტერის უნივერსიტეტის განათლების საკითხების პროფესორი, მელ აინს-

ქოუ, ინკლუზიური განათლების ექსპერტი.

იუნისეფის (UNICEF) ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული დირექტორის, ფილიპ კორის განცხადებით, განსაკუთრებით აქტიუალურია ციფრული ცოდნის საყოველთაო დანერგვა, რათა საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის გასაგები იყოს, რას მოიცავს მდგრადი განვითარების მიზნები და რატომ არის მათი დანერგვა თვითონ მოსახლეობისთვის სასიკეთო. „კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა თემა ბიბლიოთეკების ჩართულობისა და განვითარებისთვისაც ახალი შესაძლებლობებია. სხვადასხვა მონაწილეთა ჩართულობით, მთლიანი განათლების პროცესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება“ – აღნიშნა ფილიპ კორმა.

საინტერესო იყო სესია „მდმ17: ციფრული განვითარების ხელშეწყობა მრავალმხრივი თანამშრომლობის შედეგად“. საუბარი შეეხო მობილურ ბიბლიოთეკებსა და სმარტფონებით ცოდნის ხელმისაწვდომობას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კერძო ჯგუფები, მეცნიერები, სტუდენტები, გაეროსა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. მაგალითად, Giga Initiative, რომლის მიზანია ახალგაზრდების აზრიანი ჩართულობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო რესურსებთან, ასევე – GovStack Initiative, რომლის მიზანია საყოველთაო ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა სახელმწიფო ციფრული სერვისების სიახლეები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

აღსანიშნავი იყო სესია, რომლის თემატიკა გახლდათ „წონასწორობის აღდგენა მოსახლეობის კეთილდღეობისა და მსოფლიოსთვის: განათლება მდგრადი განვითარებისთვის, 2030 წლის დღის წესრიგისთვის“. სესიის მიზანი იყო განათლების მნიშვნელობის გადააზრება უკეთესი გარემოსა და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის; მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები; ბერლინის 2021 წლის დეკლარაცია და გაეროს ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგის გათვალისწინება ყველა ასაკის მოქალაქეთა განათლების ახლებური მეთოდებისთვის, აგრეთვე, საგანმანათლებლო რესურსების გადახალისება ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარებისთვის. კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მოხალისეობრივი ეროვნული მიმოხილვა, რომელშიც ქვეყნები აქტიურად აშუქებენ მდგრადი განვითარების შედეგებს.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაციის ერთ-ერთი რეკომენდაციით, ამ მიმოხილვებში ბიბლიოთეკების საქმიანობის გაშუქება ბიბლიოთეკებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლობაზე დადებითად აისახება.

ფორუმის დასასრულს, საინტერესო იყო იტალიის გარემოს დაცვის სამინისტროს მთავარი მრჩეველის, ანდრეა ინამორატის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა პანდემიის შედეგების დაძლევის სტრატეგიას, რომელშიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. სტრატეგია მოიაზრებს 2026 წლამდე, იტალიის სხვადასხვა რეგიონის გეგმებსა და დაქალაქებში მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნების განვითარებისთვის აუცილებელია ყოვლისმომცველი და შეთანხმებული პოლიტიკა, რათა საზოგადოების ყველა ნაწილის კეთილდღეობაზე აისახოს. მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნები გარდამქმნელია, რადგან ადამიანების სასიცოცხლო უფლებების გათვალისწინებით შეიქმნა. ეკონომიკური განვითარება გარემოსა და საზოგადოების განვითარებაზე უნდა აისახოს, რისთვისაც განათლებისა და ინფორმაციის გავრცელების ახალი მეთოდებიც უნდა შეიქმნას. დღის წესრიგი 2030 წლის მოსახლეობისთვის შეიქმნა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაც სრულფასოვანი იქნება. ბიბლიოთეკები, როგორც კულტურული და საგანმანათლებლო, სახელმწიფოსა და საზოგადოების დამაკავშირებელი ადგილები, ერთნაირად ემსახურებიან პრივილეგირებულ და მონყვლად ჯგუფებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ მდგრადი განვითარების შედეგი მთელი საზოგადოებისთვის გასაგები იყოს და დადებითად აისახოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე მომავალი თაობების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

აქვე შეგახსენებთ, რომ უკვე ერთი წელია, რაც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მდგრადი განვითარების კუთხე გაიხსნა, სადაც მკითხველებს პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ლიტერატურის გაცნობა შეუძლიათ. ახლო მომავალში, პროექტის ფარგლებში, უფასო საგანმანათლებლო ტრენინგებიც მზადდება, რაც ჩვენს მკითხველებს პროფესიული განვითარებისთვის მათთვის საინტერესო უნარების შეძენაში დაეხმარება.

ვანესა ირვინი
ჰავაის უნივერსიტეტი

რეცენზია კერენ დალისა და ნადია კაიდის წიგნზე „LIS განათლებისა და პრაქტიკის ჰუმანიზაცია“ (2021)

წიგნი „LIS განათლებისა და პრაქტიკის ჰუმანიზაცია“ წარმოადგენს კრებულს, რომელიც ათი თავისგან შედგება. მასში ნაჩვენებია „აზროვნების მრავალფეროვნება“ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერების (LIS – Library and Information Science) მკვლევართა და პრაქტიკოსთა მიერ წარმოდგენილ თეორიებში და, საზოგადოდ, ამ სფეროში. რედაქტორებმა – კერენ დალიმ და ნადია კაიდმა – ორიგინალურად ჩაფიქრებული აზროვნების მრავალსახეობების კონცეფცია ჯერ კიდევ 2017 წელს ჩამოაყალიბეს სტატიაში „აზროვნების მრავალფეროვნება“. მათ წინამდებარე კრებულსაც აღნიშნული სტატია წაუძღვარეს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მასში არის მოცემული დანარჩენი ცხრა თავის მონახაზი.

ტექსტი სამი ნაწილისგან შედგება: 1) აზროვნების მრავალფეროვნება (1-2 თავები); 2) აზროვნების მრავალფეროვნება LIS განათლებაში (3-6 თავები); 3) აზროვნების მრავალფეროვნება LIS პრაქტიკაში (7-10 თავები). დალისა და კაიდის აზრით, წიგნი განკუთვნილია მთელი მსოფლიოს LIS პედაგოგების, ასპირანტებისა და პრაქტიკოსებისთვის. ავტორთა შემადგენლობა, მართლაც, კარგად არის შერჩეული: ათ ავტორს LIS განათლება აქვს (მათ შორის, ორი მათგანი პრაქტიკოსი დოქტორანტია), ხოლო ცხრა პრაქტიკოსი ავტორი აქტიურად თანამშრომლობს LIS სფეროში. ავტორთა კვლევებს სხვადასხვა ინტერესი განაპირობებს, კერძოდ: ადგილობრივი საბიბლიოთეკო მომსახურებები; დამხმარე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები; LIS პროფესიული განვითარების სხვადასხვა წამოწყებანი; LIS გამოცემები; ასევე LIS საკლასო ოთახების ხელმისაწვდომობა და სარგებლიანობა აკადემიურ, საჯარო და თემის საბიბლიოთეკო მომსახურების მოთხოვნებიდან გამომდინარე. კრებულში წარმოდგენილი არიან აფრიკელი, კანადელი და ამერიკელი ავტორები, რომლებიც მრავალმხრივ საინტერესო შეხედულებებს გვთავაზობენ. თითოეულ თავს ერთვის შესაბამისი სქოლიო და შენიშვნები.

საუკეთესოდ მიჩნეული მოდური და არათანმიმდევრული პრაქტიკის ნაცვლად, LIS განათლებისა და პრაქტიკის მიზანი არის მრავალფეროვნების,

სამართლიანობისა და ჩართულობის კონცეფციის წარმოჩენა და ფართოდ გავრცელება. ეს უფრო კარგად მოფიქრებული, შინაარსიანი და თანამიმდევრული მიდგომაა ბიბლიოთეკარებისა და საინფორმაციო სფეროს პროფესიონალი მუშაკებისთვის, როგორც მულტიკულტურალურ სამყაროში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ამიტომაც დალი და კაიდი თავიანთ შესავალ სტატიაში თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ აზროვნების მრავალფეროვნება LIS ყველა დონეზე და ყველა ფენაშია საჭირო.

დალი და კაიდი წიგნის პირველ თავში ხაზს უსვამენ „აზროვნების მრავალფეროვნების“ განზოგადების მნიშვნელობას LIS განათლებისთვის. ისინი გამოყოფენ „აზროვნების მრავალფეროვნების“ ექვს ძირთად ელემენტს: 1) LIS ინსტრუქტორის მიერ მრავალფეროვნების, როგორც პედაგოგიური ჩარჩოსა და მეთოდოლოგიების ძირითადი თვისების, გაცნობიერება; 2) LIS ფაკულტეტისა და ადმინისტრაციის მიერ მრავალფეროვნების, როგორც ძირითადი კურსის, მხარდაჭერა სასწავლო გეგმაში მისი შეტანით; 3) LIS სტუდენტების ინფორმირებულობა, ინტერესი და სურვილი, რომ ურთიერთობა ჰქონდეთ თემებთან და სხვადასხვა შეხედულებების ხალხთან; 4) სწავლაზე ორიენტირებული პარტნიორობა თემის დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის ამომრჩეველთა წარმომადგენლები არიან; 5) საგანმანათლებლო რესურსებისა და პლატფორმების ფართო სპექტრი, რომელიც სხვადასხვა სახის სწავლას აიოლებს; 6) „აზროვნების მრავალფეროვნება“, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ მრავალფეროვნება არჩევანი კი არა, ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობის, სოციალური სტრუქტურის, სასწავლო და პროფესიული გარემოს და ადამიანთა კავშირების განუყოფელი ნაწილია.

LIS-ის ინტერდისციპლინარული (დარგთაშორისი) ხასიათიდან გამომდინარე, დალი და კაიდი განიხილავენ აზრთა სხვადასხვაობის გამოსახვისა და გამოყენების გზებს. რედაქტორები აცხადებენ, რომ LIS, როგორც სპეციალობა, დროა, გასცდეს ტოკენიზმს (შეზღუდული შესაძლებლობის პირთა თუ უმცირესობათა ცრუ ჩართულობა და სიბრა-

ლული) და განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს სწორედ მრავალფეროვანი აზროვნების საშუალებით.

კრებულის მეორე თავში რედაქტორებს მოჰყავთ 2014 წელს მათ მიერ ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგები. მათ 119 LIS – სტუდენტი გამოეხმაურა. გამოკითხულთა მიერ წარმოდგენილი მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ყველა გამომხატველი არ არის დადებითი და კეთილგანწყობილი LIS თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიმართ. ისინი მათ მეტი პასუხისმგებლობისა და კომპლექსური მიდგომისაკენ მოუწოდებენ, რათა გაითვალისწინონ იმ ჯგუფების, თემებისა თუ სარჩევნო ოლქების ინტერესები, სადაც სამსახური უწევთ.

ავტორები კიმ მ. ტომპსონი და კლეიტონ ა. კოუპლენდი კრებულის მე-3 თავში ამტკიცებენ, რომ LIS პედაგოგებმა მუდმივად უნდა გამოიყენონ „აზროვნების მრავალფეროვნება“, რითაც ისინი გვთავაზობენ აზროვნების სპეციფიკურ კურსს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ოთხ პრინციპს. ესენია: ანდრაგოგია (ზრდასრულთა განათლების მეთოდები და პრინციპები), შინაარსი, კომუნიკაცია და შეფასება. ავტორები კონკრეტული მაგალითებით განმარტავენ, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ LIS პედაგოგებმა თავიანთი კურსები ისე, რომ თითოეული ამ სფეროს მრავალფეროვნება ერთმანეთს დაუკავშირონ.

მე-4 თავში კლარა ჩუ და ჯაია რაჯუ აცხადებენ, რომ აზროვნების მრავალფეროვნება LIS-ის თითქმის ყველა პროგრამაში უნდა ჩართონ. ავტორები გვიზიარებენ თავიანთ კვლევებს, სადაც მოცემულია მათ მიერ ჩატარებული აფრიკის LIS სკოლების ვებსაიტების შინაარსობლივი ანალიზი იმის დასამტკიცებლად, რომ მრავალფეროვნება სულაც არ არის დროებითი მდგომარეობა LIS განათლებისთვის, უფრო მეტიც, ის არის LIS-ის ეთნოკულტურული მხარე, რომელიც უნდა პრაქტიკაში განხორციელდეს. LIS-ის პროფესიულ ასოციაციებსა და ფაკულტეტებთან ერთად უნდა დაინერგოს ინკლუზიური პედაგოგიური მიდგომა (უნარშეზღუდული ბავშვების სწავლება თანატოლებთან ერთად ჩვეულებრივ სკოლაში).

მე-5 თავში წარმოდგენილია დიანა დენჩიფი, რომელიც გვიზიარებს თავის მოსაზრებას იმაზე, თუ როგორ შეუძლია LIS ფაკულტეტს გამოიყენოს „აზროვნების მრავალფეროვნება“ სახელებისა და სახელწოდებების პრაქტიკაში საკლასო აქტივობების განსამტკიცებლად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავიანთი თავი, სურვილისამებრ, წარმოადგინონ. დენჩიფი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ

ასეთი პედაგოგიური მიდგომები მუდმივად ვითარდება, თუმცა სულ საჭიროებს დახვეწას, რადგან „აზროვნების მრავალფეროვნება“ სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსწავლეთა აქტივობების გასაუმჯობესებლად, მათი გამოცდილების გასამდიდრებლად და ასევე უთანასწორობისა და მიკროაგრესიების შესამცირებლად და ასალაგმავად.

მე-6 თავში ბჰარატ მეჰრა გვთავაზობს „აზროვნების მრავალფეროვნების“ გამონვევების კრიტიკულ შესწავლას LIS აკადემიის მიმდინარე სასწავლო პროცესში. ამ თავში მთელი სიმწვავეთ არის გაანალიზებული ჩრდილოეთ ამერიკის LIS აკადემიის „ტოქსიკური“ (დაძაბული-მთარგმ.] კავშირი LIS-ის საგამომცემლო საქმიანობის პოლიტიკურ სივრცესთან. მეჰრა მოუწოდებს, გადაჭრან LIS-ის აკადემიის თეთრკანიან-ელიტარული საზოგადოებების წინაშე დასმული ამოცანა და უზიარებს მათ „აზროვნების მრავალფეროვნების“ გამოყენების საკუთარ მეთოდს, როგორც ერთ მთლიან მიდგომას სწავლება-კვლევა-მომსახურების მოდელის იმ სწორხაზოვანი ნაკითხვების გამონვევაზე, LIS თეთრკანიან-ელიტარულ აკადემიას რომ ახასიათებს.

მე-7 თავით იხსნება წიგნის მე – 3 ნაწილი, რომელიც LIS ის პრაქტიკას ეფუძნება. ლორი დევიდსონი, კიმბერლი ჯონსონი და დანიელა ლევი-პინტო გვთავაზობენ წიგნის საინტერესო ნაწილს – მე-7 თავს, სადაც იკვლევენ საჯარო ბიბლიოთეკის ნაბეჭდი გამოცემების ხელმისაწვდომობის საკითხებს. ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ ბარიერების (იქნება ეს ფიზიკური, ტექნოლოგიური, პროცედურული, მიმართებისა თუ გარემოსი) მიგნებასა და მოხსნას, რომლებიც ხელს უშლიან ხალხის მონაწილეობას მთელ რიგ ღონისძიებებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. დევიდსონის, ჯონსონისა და ლევი-პინტოს მონათხრობი მათი სამუშაოს შესახებ კანადური კონტექსტიდანაა და მათი ქვეყნის სამართლიანი და თანასწორი საბიბლიოთეკო მომსახურების ეროვნულ ქსელს შეეხება (NNELS), სადაც უგულვებელყოფილია ბიბლიოთეკებში ხელმისაწვდომობის ტრადიციული ცნებები. მაგ., ავტორები გვიზიარებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ადგენს NNELS ტექსტუალური შინაარსის მოთხოვნებს მათთვის, ვისაც დაბეჭდვა არ შეუძლია. იგი უარყოფს აუტოსორსინგის მოდელს (გარე რესურსების მოზიდვა, შესასრულებელი საქმის სხვისთვის გადაბარება, მთარგ.), რაც ხელს აძლევს ინფორმაციაზე წვდომის უთანასწორობას. NNELS-ის მიდგომა და პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ბეჭდვის ხელმისაწვდომობა საბიბლიოთეკო მომსახურების სამართლიანი ასპექტი,

ხოლო ბიბლიოთეკათმორისი ცვლა- საინფორმაციო მომსახურების ხელსაყრელი საშუალება.

მე-8 თავში აკადემიური ბიბლიოთეკარი ნორდა ბელი აცხადებს, რომ LIS პროფესიული კონფერენციის დაგეგმვაში გამოწვევები განპირობებულია ორი მიდგომით: მრავალფეროვნება, როგორც დანამატი და მრავალფეროვნება, როგორც ცალკე აღებული, თუმცა თანასწორი. ბელი ხაზს უსვამს კონფერენციის სარგებლიანობას LIS-ის მრავალფეროვნების, სამართლიანობისა და ჩართულობის, ანუ DEI (Diversity, Equality and Inclusion)-ს მოდელს. კონფერენცია ისე უნდა დაიგეგმოს, რომ კომიტეტებმა სწორად გამოიყენონ და განავითარონ მრავალფეროვანი აზროვნება; რომ ეს სხვადასხვაობა, სამართლიანობა და ჩართულობა ყველგან იქნეს გამოყენებული მთელი თავისი სიდიადით. ბელის მოსაზრებით, კონფერენცია ისე შეგნებულად უნდა დაგეგმოს, რომ იგი ნაკლებ სანახაობრივი და მეტად ინკლუზიური იყოს. აქცენტი მაინცდამაინც და მხოლოდ ფერადკანიან წარმომადგენლებზე არ უნდა კეთდებოდეს.

მე-9 თავი უკვე სამხრეთაფრიკულ კონტექსტშია წარმოდგენილი და აკადემიურ ბიბლიოთეკაზე, როგორც აფრიკული კვლევების სამართლიან და ინკლუზიურ გამომცემელზე, საუბრობს. ავტორები – რეჯი რაჯუ, ჯილ კლაარენი და ლენა ნიაოდა განიხილავენ ბიბლიოთეკას, როგორც ერთ-ერთ საგამომცემლო სამსახურს, რომელიც ერთგვარად არღვევს ტრადიციულ საგამომცემლო სივრცეს. ისინი წარმოადგენენ კეიპტაუნის უნივერსიტეტის (უსტ) საბიბლიოთეკო სისტემის ინდივიდუალურ კვლევას იმის შესახებ, თუ როგორ სწრაფად იზრდება კეიპტაუნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, როგორც რეცენზირებადი და არარეცენზირებადი ჟურნალების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამომცემლის, როლი.

2015 წლიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები გამოდიან გამომცემელი ბიბლიოთეკის როლში და დაანესეს აფრიკული სტიპენდია არადასავლური / არაევროცენტრული სახელმძღვანელო მითითებებისთვის, როგორც „აზროვნების მრავალფეროვნების“ წინ წამოწევის შესაბამისი სტიმული.

კრებულის ბოლო, მეათე თავში ავტორები შერონ ფარნელი, ენ კარ-ვიგონი, კაილა ლარსონი და კეტლინ დე ლონგი მიმოიხილავენ ყველა გზასა და მეთოდს, რომელთა საშუალებითაც კანადის ალბერტას ბიბლიოთეკის უნივერსიტეტი, სხვადასხვა ინიციატივის გამოყენებით, ახორციელებს ინკლუზიურ პროექტს თავისი სტრატეგიული გეგმითა და ქმედებით, რაც, პირველ რიგში, აბორიგენი მეტისი და ინიუტი თემების წევრთა ჩართულობასა და

გულშემატკივრობას გულისხმობს. ისინი ხაზს უსვამენ მიღწეულ წარმატებებს, კრიტიკულად უდგებიან კადრების განვითარებისა და სტუდენტზე ორიენტირებულ ინიციატივებს და სვამენ მეტად მნიშვნელოვან კითხვას: ნამდვილად შესაძლებელია თუ არა აზროვნების დეკოლონიზაცია კოლონიურ მოცემულობაში, თუ ეს უბრალოდ დეკოლონიზაციით შენიღბული სტრუქტურაა, რომელიც კოლონიურ გაგებას ვერ გასცდება?

წიგნის („LIS განათლებისა და პრაქტიკის ჰუმანიზაცია“) მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ მისი ავტორები თითქმის მთელ მსოფლიოს წარმოადგენენ. მათ შორის არიან ის მეცნიერები და პრაქტიკოსები, რომლებიც სხვადასხვა ბიბლიოთეკებისა და თემების ჩართულობისთვის ზრუნავენ. ეს ჩართულობა კი კრებულის სტრუქტურულიდანაც თვალნათელია. სასიამოვნო სიახლეა ის, რომ ავტორთა სია წიგნის თავშია მოთავსებული და არა ბოლოში. ეს კი მკითხველს იმის საშუალებას აძლევს, რომ კავშირი იქონიონ მათთან, როგორც ერთ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივთან.

წიგნის ყოველი თავი, თავისთავად, მნიშვნელოვანი შენაძენია იმ კრებულისთვის, სადაც საუბარია ბიბლიოთეკაში, საინფორმაციო განათლებასა და მომსახურებებში მრავალფეროვნების, სამართლიანობისა და ჩართულობის თემების დანერგვაზე. კრებულის ნაკლად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ მისი ბოლო, მეათე თავი მთავრდება ბრწყინვალე, მონუმენტური შეკითხვით, რომელიც მარტო ბოლოში კი არ უნდა დაესვათ, არამედ მთელ ტექსტში უნდა გაერჩიათ და სადისკუსიო საგნად ექციათ. მე, როგორც მკითხველი, ავტორ-რედაქტორების მიმართ ცოტა უარყოფითადაც განვწყე, როცა დასკვნითი ნაწილის გვერდი გადავშალე. მასში ხომ მთელი სიცხადით უნდა წარმოჩენილიყო პიროვნების მრავალფეროვნების აუცილებლობა და ეფექტურობა. და ეს არამც და არამც არ იქნებოდა შესავალი ნაწილის გადამღერება. პირიქით, აქ უფრო კარგად უნდა შეჯამებულიყო წიგნის ყველა თავი და მეტი ადგილი უნდა დათმობოდა მრავალფეროვნების მეთოდის ჩვენებას. ამ ერთი ხარვეზის მიუხედავად (რომელიც მე, როგორც მკითხველს, სურვილის სახით გამიჩნდა კრებულის მიმართ), დიდი სიამოვნებით ვთავაზობ დალისა და კაიდის წიგნს მსოფლიოს ყველა LIS მკვლევარს, ე. ი. მათ, ვინც ჩაბმულია LIS სპეციალობასთან დაკავშირებული მრავალფეროვნების თეორიისა და პრაქტიკის კვლევაში.

ინგლისურიდან თარგმნა ლია გიგაურმა
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ანა კარტოზია

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში წიგნის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს. შუა საუკუნეებში ცნობილია მდიდარი წიგნთსაცავები, რომლებიც უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. ბიბლიოთეკის ისტორიაც უშუალოდ უკავშირდება მათ საქმიანობას. ეკლესია-მონასტრები დაარსებისთანავე წიგნთსაცავის შექმნაზე ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნთსაცავი ჰქონდა. X საუკუნეში უკვე მონესრიგებული ჩანს წიგნების დაცვის, სარგებლობის და აღნუსხვა-აღწერის საქმე. VIII-IX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში შექმნილ დიდ კულტურულ-სამწერლობო ცენტრებს თავისი ბიბლიოთეკები ჰქონდა. მოგვეპოვება ცნობები ხანძის, ოპიზის, შატბერდის, იშხანის, ოშკის, პარხალის, ხახულის, ტბეთის, ანჩის და სხვა მონასტრების წიგნთსაცავების შესახებ. სათანადო ბიბლიოთეკების გარეშე წარმოდგენილი იქნებოდა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც გელათის, იყალთოს და გრემის აკადემიებში მიმდინარეობდა.

დიდი წიგნთსაცავები ჰქონდა ქართული კულტურის კერებს უცხოეთში: სინას მთის, ათონის ივერთა, იერუსალიმის ჯვრის, საბანმინდის, პეტრინონის, შავი მთის მონასტრებს. საქართველოში არსებობდა დიდი სამეფო ბიბლიოთეკები. განსაკუთრებით წიგნების დიდი კრებული ჰქონდა დავით აღმაშენებელს, კარგი ბიბლიოთეკა გააჩნდა ერეკლე მეორეს. დიდი და მონესრიგებული ბიბლიოთეკა ჰქონდა თეიმურაზ ბატონიშვილსაც. მდიდარი საგვარეულო ბიბლიოთეკები ჰქონიათ სხვადასხვა დროს დადიანებს, გურიელებს, აბაშიძეებს, წერეთლებს, ჭავჭავაძეებს, ყიფიანებს, ვაჩნაძეებს. თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსი-მესხიშვილის საშინაო ბიბლიოთეკით მაშინდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილი სარგებლობდა. ცხადია, იქ, სადაც ასეთი დიდი წიგნის კულტურა


საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ისტორია საქართველოში

იყო და ასეთი დიდი ბიბლიოთეკები არსებობდა, შეუძლებელია არ არსებულყო სისტემატური კატალოგები და წიგნები სისტემატიზებული არ ყოფილიყო თაროებზე. ნიკო მარის მიერ სინას მთაზე ერთ-ერთი ხელნაწერის ყდაზე შიგნით გაკრული ეტრატის პალიმფსესტზე X საუკუნის რომელიღაც ბიბლიოთეკის კატალოგის ფრაგმენტის აღმოჩენა მოწმობს კატალოგების არსებობას, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კატალოგებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ამიტომ იმდროინდელ ბიბლიოთეკებში მიღებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემებზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ ბიბლიოთეკებში კლასიფიკაციის განვითარებული სისტემები უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ XI საუკუნეში გვყავდა ისეთი დიდი სისტემატიკოსი, როგორცაა იოანე პეტრინი, რომელიც სათავეში ედგა გელათის აკადემიას და მაშასადამე, ამ აკადემიის ბიბლიოთეკასაც. მას მოცემული აქვს მეცნიერებათა სისტემა, რომელიც მოიცავს კართაგენელი მოაზროვნის, მარციანე კაპელას შვიდ თავისუფალ ხელოვნებას და აგრეთვე მედიცინას, იურისპრუდენციასა და ღვთისმეტყველებას. იოანე პეტრინის მეცნიერებათა კლასიფიკაციის სისტემა დაედო საფუძვლად გელათის მონასტრისა და აკადემიის საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სისტემას, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ფონდის სისტემატიზაცია და სისტემატური კატალოგის შედგენა. მაგრამ, სამწუხაროდ ამ კატალოგს, ისე როგორც სხვა უფრო გვიანდელი ბიბლიოთეკების კატალოგებს, ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მტრები შემოსევისას ანადგურებდნენ ჩვენი კულტურის საგანძურებს – ბიბლიოთეკებს და ბიბლიოთეკებთან ერთად ნადგურდებოდა მათი კატალოგებიც. ამიტომ XIX საუკუნემდე არსებული ჩვენი მდიდარი ბიბლიოთეკების კატალოგების შესახებ ბევრი არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი XII-ის ძემ, თეიმურაზ ბატონიშვილმა შექმნა ქართული ბიბლიოთეკა, სადაც დაცული იყო 214 სახელწოდების იშვიათი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. 1835 წელს თეიმურაზმა შეადგინა თავისი ბიბლიოთეკის კატალოგი. მისი ფრანგული თარგმანი 1838 წელს გამოსცა მარი ბროსემ, 1894 წელს კი

სრული სახით დაბეჭდა ალ. ცაგარელმა. 1948 წელს ეს კატალოგი ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ. ეს კატალოგი მეტად საინტერესოა როგორც აღწერილობის მეთოდის, ისე მასალათა კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც. მასში მოცემულია მეცნიერებათა კლასიფიკაციის მეტად საინტერესო სისტემა. კატალოგის შემდგენელი უთუოდ დიდად განსწავლული კაცი იყო და კარგად ერკვეოდა როგორც მეცნიერებათა კლასიფიკაციის, ისე ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის საკითხებში.

1846 წელს მთავარმართებლის კანცელარიის ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“, რომელსაც საფუძვლად დაედო მეფისნაცვლის კანცელარიის 6200-მდე ბეჭდური ერთეულისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა. 1848 წელს მას გადაეცა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეების: დიმიტრი ყიფიანის, ზაქარია ფალავანდიშვილის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების, მიხეილ თუმანიშვილის და სხვათა თაოსნობით თბილისში დაარსებული კერძო ბიბლიოთეკის 510 ტომისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის გამგებლობა დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეს გავრილ ტოკარევს. იგი საქმეს გულმოდგინედ მოეკიდა და ფონდების დაგროვებასთან ერთად შეუდგა ფონდების ორგანიზაციასა და კატალოგების შედგენას. მან გამოიმუშავა საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სისტემა. წიგნებს ამ სისტემის მიხედვით ალაგებდნენ თაროებზე და ადგენდნენ სისტემატურ კატალოგს. 1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის განკარგულებით შეუდგნენ სისტემატური კატალოგის მომზადებას დასაბეჭდად. პირველი ბეჭდური კატალოგი დაიბეჭდა ბიბლიოთეკის დაარსების 15 წლისთავზე, 1861 წელს. ეს იყო ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, ცნობილი ლინგვისტის, არქეოგრაფისა და ისტორიკოსის, ადოლფ ბერჟეს რედაქტორობით გამოცემული „Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1861)“. წინასიტყვაობაში ადოლფ ბერჟე მიუთითებდა ტოკარევის დამუშავებული საკლასიფიკაციო სისტემის სუსტ მხარეებზე, მაგრამ ახალი სისტემის დამუშავება და ფონდების რეკლასიფიკაცია დიდ დროს მოითხოვდა და ხანგრძლივად



თაიშურა ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი

შეაფერხებდა კატალოგის გამოცემის საქმეს. ამიტომ ტოკარევის მიერ დამუშავებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემა უცვლელად იქნა დატოვებული. ამ კატალოგის გაგრძელება გამოვიდა 1866 წელს კვლავ ბერჟეს რედაქტორობით. 1881 წელს დაიბეჭდა მ.ი. სივერსის მიერ შედგენილი „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგომი გაგრძელება“, ხოლო 1895 წელს პ.ე. მელერის მიერ შედგენილი „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგის უკანასკნელი გაგრძელება“. ყველა გაგრძელებაში იგივე სისტემა უცვლელად იქნა დატოვებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში, სადაც ამ ბიბლიოთეკის

ძირითადი ფონდი დარჩა, დღესაც კლასიფიკაციის ეს სისტემაა შემორჩენილი.

1879 წელს დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის კატალოგი შედგენილ იქნა ნიკო მთვარელიშვილის მიერ და გამოიცა 1887 წელს. ეს კატალოგი მოიცავს 1039 ბეჭდური და ხელნაწერი წიგნის აღწერილობებს, რომლებიც სისტემატურადაა განლაგებული შვიდი განყოფილების მიხედვით. მან ეს სისტემა ფრენსის ბეკონის გავლენით დაამუშავა და მის თავისებურ ვარიანტს წარმოადგენს. ნიკო მთვარელიშვილის სისტემა საინტერესოა, მაგრამ მეტად მოკლე და განუფითარებელია. ეს იმით აიხსნება, რომ მას არ ჰქონდა დიდი რაოდენობის მასალა. ამავე ბიბლიოთეკის კატალოგი შეადგინა და 1905 წელს გამოსცა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დავით კარიჭაშვილმა. მისი კატალოგი მოიცავს 5703 სახელწოდების აღწერილობას.


ასეთია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არსებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები. ისინი გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორიის თვალსაზრისით. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთის რეჟიმის პირობებში საბიბლიოთეკო საქმე, საერთოდ წიგნი და წიგნის ბეჭდვისა და გავრცელების საქმე, შევიწროვებასა და დევნას განიცდიდა. საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან გამოიყენება უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც გადამუშავებულია

საბჭოთა ბიბლიოთეკების თავისებურებათა გათვალისწინებით. სსრკ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 მაისის დადგენილების საფუძველზე „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია მიღებულია როგორც კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებისათვის ტექნიკურ, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკებში, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებში. ქართულად გადმოკეთდა უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის შედარებით სრული ცხრილები. 1940-1950 წლებში გამოვიდა მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის მომზადებული ცხრილები.

საბჭოთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის (BBK) შექმნის იდეა წამოყენებულ იქნა საბჭოთა ბიბლიოთეკათმცოდნეების მიერ ჯერ კიდევ ბოლშევიკური რევოლუციის პირველ ხანებში, მაგრამ დამუშავდა 1958-1960 წლებში. ეს არის პირველი საბჭოთა საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია უნივერსალური და სპეციალური სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის. ეს სისტემა მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზეა დაფუძნებული და ასახავს მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობას. კლასიფიკაცია იერარქიულია, შეიცავს 100 ათასამდე რუბრიკას, შედგება ძირითადი და ტიპური ცხრილებისაგან. ინდექსაცია ლოგიკურია, შედგენილია რუსული ანბანისა და არაბული ციფრების საფუძველზე, აქვს ანბანურ-საგნობრივი მაჩვენებელი. საბჭოთა კავშირში საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაზე (ბბკ) გადავიდა ყველა ბიბლიოთეკა, გარდა ტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკებისა, სადაც 1973 წლიდან გამოიყენებოდა „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია“. იყო მცდელობა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაც გადასულიყო ამ სისტემაზე. ჩვენი თანამშრომლები ხშირად დადიოდნენ მოსკოვში, ესწრებოდნენ სემინარებს, კონფერენციებს, სადაც განიხილებოდა ბბკ-ზე გადასვლის საკითხები, მისი უპირატესობა ათწილად კლასიფიკაციასთან. საბჭოთა მთავრობას სურდა ბბკ-ს სისტემა საერთაშორისო გაეხადათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. ბბკ ვერ გახდებოდა საერთაშორისო, ის უფრო ლოკალური იყო და მხოლოდ საბჭოთა კავშირში გამოიყენებოდა,

რადგან ეფუძნებოდა რუსული ანბანის ასოებს. ამიტომ უარყოფილ იქნა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ და იგი უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ერთგული დარჩა.


ჩვენი ბიბლიოთეკა დოკუმენტების კლასიფიკაციისათვის იყენებს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებს. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია (უაკ) არის ერთადერთი საერთაშორისო უნივერსალური სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად დეტალურად გაიხსნას საბიბლიოთეკო დოკუმენტის შინაარსი და უზრუნველყოს ინფორმაციის ძიების სისწრაფე. საინფორმაციო მასალების ერთიანი სისტემატიზაციის შესაძლებლობა უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციას აქცევს ყველაზე მოხერხებულ, მისაღებ სისტემად სხვადასხვა ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესში. იგი პასუხობს კლასიფიკაციისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას: უნივერსალურობას, საერთაშორისოობას, ხელმისაწვდომობას, შესაძლებლობას, ასახოს მეცნიერების უახლესი მიღწევები. უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაში ასახულია მეცნიერული ცოდნის ყველა დარგი, ამიტომ ერთი დარგის ცვლილებას მოყვება ყველა სხვა დარგის ცვლილება. მასში განყოფილებების, კლასების აღსანიშნავად გამოიყენება არაბული ციფრები. ციფრების ენა კი გასაგებია ყველა ეროვნების ადამიანისათვის. ამიტომ უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია ყველასათვის მისაწვდომ სისტემას წარმოადგენს. ციფრების მიმატებით განუწყვეტილ შეიძლება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის გაფართოება.



ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგი. 1861

ერთ საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს ეს სისტემა. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ცვლილებები განიცადა, არაერთხელ ყოფილა კრიტიკის საგანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გავრცელების არე მსოფლიოში ძალიან დიდია. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის წარმოშობა დაკავშირებულია ამერიკელი ბიბლიოთეკათმცოდნის, მეღვილდიუსის „ათწილადი (დეციმალური) კლასიფიკაციის“ შექმნასთან, რომელსაც დღემდე იყენებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მასობრივი ბიბლიოთეკები. საერთაშორისო უნივერსალუ-

რი კლასიფიკაცია (უაკ) დამუშავებულ იქნა ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტში 1895-1905 წლებში. 1895 წელს მოწვეულ პირველ საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ კონფერენციაზე გადაწყდა შექმნილიყო „უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი“ – მსოფლიოში არსებული დარგობრივი ლიტერატურის სრული ბართული კატალოგი. ამ ამოცანის შესრულება თავის თავზე აიღეს ბელგიელმა ბიბლიოგრაფებმა პოლ ოტლემ და ანრი ლაფონტენმა. სწორედ მათი დამსახურებაა უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მეღვილ დიუის ათნილადი კლასიფიკაცია.



კლასიფიკაციის ბრიუსელის ვარიანტი ცნობილია სახელწოდებით „საერთაშორისო ათნილადი კლასიფიკაცია“. მისი პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1905 წელს ფრანგულ ენაზე. ამჟამად უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაცია არის 1991 წელს შექმნილი უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის საერთაშორისო კონსორციუმის ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც ხელმძღვანელობს მის განვითარებას. მასში სისტემატურად ხდება ცვლილებების შეტანა მეცნიერების დარგების განვითარების, სოციალურეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების ყველა დარგი, საკითხი, საგანი შეიძლება ავსახოთ საცნობარო აპარატში არაბული ციფრების გამოყენებით, რაც გასაგებია მსოფლიოში ყველა ენაზე მოლაპარაკე მომხმარებლისათვის. მეორე დადებითი მხარე ისაა, რომ უნივერსალურ ათნილად კლასიფიკაციაში მიღებული ათნილადის დაყოფის პრინციპი საშუალებას იძლევა მეცნიერების ყველა დარგი მისი სტრუქტურით, ქვედარგებით და ქვეთემებით ასახულ იქნას კატალოგებში საკლასიფიკაციო ცხრილებში მიღებული ინდექსაციის გამოყენებით. მასში შეიძლება აისახოს როგორც დიდი ხნის წინათ მეცნიერების სახით ჩამოყალიბებული მოძღვრება, ასევე თანამედროვე ეტაპზე წარმოდგენილი ახალი მეცნიერებანი. საკლასიფიკაციო სისტემის ცხრა განყოფილება (მე-4 განყოფილება შეუერთდა მე-8 განყოფილებას), მათი ქვედანაყოფებით საშუალებას გვაძლევს საკლასიფიკაციო ინდექსების საშუალებით გამოვხატოთ მისი შინაარსი.

უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის ცხრილი შედგება მთავარი და დამხმარე ნაწილები-საგან. გარდა ამისა, მესამე ნაწილად ჩართულია ანბანური და საგნობრივი საძიებლები. მთავარი ანუ ძირითადი ცხრილის ინდექსებში აღნიშნულია მეცნიერების სხვადასხვა დარგები 0-დან 9-ის ჩათვლით და მოიცავს ათნილადი კლასიფიკაციის ძირითად თემებს და ქვეთემებს. დამხმარე ცხრილები ხელს უწყობს ინდექსის შემდგომ დეტალიზაციას. მასში შეტანილი ცნებები ძირითად ცნებასთან ერთად ასახავენ მათ შინაარსს ან ფორმას. ამასთან, ზოგადი განმსაზღვრელები შეიცავენ

ცნებებს, რომლებიც გამოიყენება ყველა განყოფილებაში, ხოლო სპეციალური განმსაზღვრელები ინდექსთან შეერთებით აღნიშნავენ დარგის ზოგად შინაარსს ან აზუსტებენ ამ ინდექსით გამოხატულ ცნებას ერთ ან რამდენიმე განყოფილებაში, რომლებიც შინაარსობრივად ახლოა ერთმანეთთან.

1997 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ განაახლა კონტაქტი UDC-ს საერთაშორისო კონსორციუმთან და გენერალურ მრავალენოვან სისტემატურ კატალოგს და ელექტრონულ კატალოგს ვანარმოებთ მათ მიერ გამოცემული ცხრილების მიხედვით. ქართულ ენაზე უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის ბოლოდროინდელი გამოცემებიდან შეიძლება დავასახელოთ „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის“ (თბ., 1998 წ.). ამ ცხრილების გამოყენებით საქართველოს საჯარო (მასობრივ) და სასკოლო ბიბლიოთეკები გადავიდნენ საბჭოთა საბიბლიოთეკო სისტემიდან (ბბკ) უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის სისტემაზე. უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის მეორე სახელმძღვანელო გამოსცა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ (თბ., 2009), რომელიც წარმატებით გამოიყენება როგორც საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებში, ასევე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სპეციალურ ბიბლიოთეკებში. უნივერსალური ათნილადი კლასიფიკაციის უფრო სრული გამოცემა არსებობს რუსულ ენაზე (მე-5 გამოცემა), რომლის სამუშაო ვერსია გამოიყენება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.



ნანა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს საბიბლიოთეკო განყოფილებათა ხელმძღვანელი

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში გაიმართა საპატიო ხარაგაულელის, ვალერი გოგნაძის მე-7 წიგნის – „ჩემი დღეების თეთრი ნყვდიადი“ პრეზენტაცია.

ლონისძიება გახსნა ა(ა)იპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა. მან დამსწრე საზოგადოების წინაშე აღნიშნა, რომ ვალერი გოგნაძესთან შეხვედრა ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა ცენტრალური ბიბლიოთეკის პროექტისა „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაარსებიდან 120 წელი შეუსრულდა.

წიგნში შესულია არაჩვეულებრივი ლექსე-

„ჩემი დღეების თეთრი ნყვდიადი“



ბი, რომლებიც გამსჭვალულია მშობლიური კუთხის სიყვარულით, პატრიოტიზმით, მომავლის რწმენით. ვალერი გოგნაძე უკვე 17 წელია, რაც ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სწორედ ამ სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც დიდი გრძობებით და ემოციებით წაიკითხეს პოეტის ლექსები.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ და პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა მე-





გობრებმა, კოლეგებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მონვეულმა სტუმრებმა, რომლებმაც მიულოცეს ვალერი გოგნაძეს ახალი კრებულის გამოცემა და წარმატებები უსურვეს. გამომსვლელთა შორის გახლდათ ნიგნის რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე, რომელმაც აღნიშნა: „ვალერი გოგნაძე, როგორც პოეტი და მოქალაქე, თავის ლექსებში სამშობლოს სიყვარულის წარსულიდან ანმყოში, ანმყოდან მერმისში განგრძობადობის თემას დასტრიალებს. იგი არ ცდილობს ზედმეტი რეზუსებით გადატვირთოს ლექსი. მისი ხელოვნურობისგან დაცლილი, ნამდვილად ბუნებრივი სტრიქონები ძალდაუტანებლად ამახსოვრდება მკითხველს“.

პოეტის მიმართ ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სამაგალითოა ვალერი გოგნაძის გულწრფელობა და

კეთილშობილება, მისი ერთგულება საქმისადმი.

ლონისძიების დასასრულს ვალერი გოგნაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის, მისი შემოქმედების დაფასებისა და სიხარულის გაზიარებისთვის. მისი სურვილია, რომ კიდევ მეტი რამის გაკეთება მოასწროს და დაუტოვოს მომავალ თაობებს. „ჩემი განვლილი დღეები ნელ-ნელა წყვედიადით იფარება, მაგრამ არ იკარგება, რადგან ეს წყვედიადი თეთრი წყვედიადია, სადაც ისინი დროდადრო მოგონებების მარგალიტებად კიაფობენ, რომლებიც ლექსებშია გადატანილი. ეს თეთრი წყვედიადი ჩემ მერეც, ჩემ გარეშეც იარსებებს. ვფიქრობ, ასეთია ზოგადად ადამიანის სამყარო. ამიტომ ვუნოდე ჩემთვის რჩეული ლექსების კრებულს „ჩემი დღეების თეთრი წყვედიადი“ – თქვა პოეტმა. მან თავისი სამადლობელი სიტყვა დაასრულა ლექსით:

რაც თავი მახსოვს, არა ვარ მშვიდი,
 ვჩქარობ, არ მიყვარს მოცდა ვადამდე,
 ალბათ ამიტომ ყველაზე დიდი
 დავივიწყე და გვერდზე გადავდე.
 არც ახირება, არც თვითმიზანი,
 არც ვინმეს შური მალაპარაკებს,
 ჩემი ოშკი და ჩემი ხიხანი,
 თუ ვერ მოვასწარ და ვერ ავაგე
 ისე ვერ წავალ, დამთავრდა, კმარა,
 დავემშვიდობე ყველა სიამეს,
 უნდა მოვასწრო, ამიტომ ჩქარა,
 ისედაც ბევრი დავაგვიანე.





ნათია სიხარულიძე

ფილოლოგიის დოქტორი

„ეხლა მთელი ჩემი დღეები და ღამეები მიდის მეორე წიგნისთვის მზადებაში. ნაწერებს ვასწორებ და წიგნს შინაარსის მხრით, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ცოცხა ლექსი იქნება, ვერავინ წუნს ვერ დადებს... არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი მეორე წიგნით ყველაფერი გადაწყდება... მე ჩემს ვალს მოვიხდის ხელოვნების წინაშე...“, – სწერდა გალაკტიონი დედასა და ძმას.

მართლაც, 1919 წელს გამოცემულმა მეორე პოეტურმა კრებულმა „Cräne aux fleurs artistiques“ („თავის ქალა არტისტული ყვავილებით“), რომელსაც დღეს „არტისტულ ყვავილებს“ ვუწოდებთ, პოეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

კრებულის გამოცემისთანავე, 1919-1922 წლებში ორ ათეულამდე რეცენზია გამოქვეყნდა. გამომხაურებათა სათაურები: „წიგნი არამრავალთათვის“, „გენიალური გალაკტიონი“, „თეთრი მეფე“... აშკარად მეტყველებს ავტორთა დამოკიდებულებაზე. რეცენზენტებმა გალაკტიონს „ახალი ლიტერატურის“ პირველი წარმომადგენელი უწოდეს, ვის შემოქმედებაშიც ცხადად ჩანს „მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები“ – „კვალი სიმბოლიზმისა“, „სიმბოლიზმის ბეჭედი“, ასევე, ხაზი გაუსვეს ავტორის „ესთეტიურ არისტოკრატიზმს“, ფორმის უკიდურეს სრულყოფილებას, ლექსების გამორჩეულობას, ორიგინალურობას.

წიგნი აერთიანებდა გალაკტიონის 1914-1919 წლებში დაწერილ შედეგებს: „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში, „ლურჯა ცხენები“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი

„არტისტული ყვავილები“ (გალაკტიონის მეორე პოეტური კრებული)



დავით კაკაბაძის „გალაკტიონი“ (1919 წელი)

პერგამენტი“, „თოვლი“, „შერიგება“, „მერი“, „ალევი თოვლში“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ატმის ყვავილები“, „ვერხვები“, „მთანმინდის მთვარე“, „მამული“... გარდა კონვენციური ლექსებისა, ავტორმა კრებულში შეიტანა რამდენიმე ვერლიბრიც: „ჩვენი საუკუნე“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ფარდების შრიალი“.

ერთ-ერთი პირველი, ვინც გალაკტიონის ახალ კრებულს გამოეხმაურა, ივანე გომართელი იყო. 1920 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს“ მან ვრცელი მონაკვეთი მიუძღვნა „არტისტულ ყვავილებს“. კრიტიკოსის აზრით: გალაკტიონ ტაბიძის „მეორე წიგნი ჩვენი ახალი პოეზიის ერთი საუკეთესო თვალია... გრძობათა სიმდიდრე, სიღრმე და სინრფელე, განცდათა სიუხვე და სილამაზე, ფორმის მრავალფერობა და სირთულე, მუსიკისა და რითმის სინაზე, რითმების ნაირ-ნაირობა და სილამაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან და ასეთი ყოველმხრივი სიმდიდრე ხელოვნებისა



გალაკტიონი. 1920 წელი

პირველად მკითხველს ათრობს, აბრუებს, როგორც ცხოველი მზე გასწორებულ თვალს... ასეთი რითმებით მოქარგული ლექსები ჩვენს ახალ პოეზიაში მხოლოდ გალაკტიონსა აქვს. გალაკტიონ ტაბიძე დიდი ნიჭია და მას დიდი ყურადღება უნდა, სხვანაირი მოპყრობა“. (გაზ. „ერთობა“, 1920, 1-3 იანვარი, №1, 2).

ივ. გომართელის პუბლიკაციის შემდეგ მალევე ქვეყნდება „არტისტული ყვავილებისადმი“ მიძღვნილი სტატია – „ნიგნი არამრავალთათვის“, რომელიც ხელმოწერილია ფსევდონიმით ალფა. ავტორი მიიჩნევს, რომ გალაკტიონ ტაბიძე „თავისი წიგნით პირველად გილს იჭერს თანამედროვე ქართველ მოსანთა რიგში. მისი ახალი კრებული დიდი და არაჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენ ახალ პოეზიაში“. (ყურნ. „მუშათა ცხოვრება“, 1920, 14 იანვარი, №1).

მომდევნო გამოსმაურება კრიტიკოს აკაკი პაპავას ეკუთვნის: „ძვირად მოიპოვება ჩვენში მეორე პოეტი, რომელსაც შესძლებოდა თავისი კოლორიტის შექმნა ფორმისა და შინაარსის მხრით. ტაბიძის ესთეტიურ არისტოკრა-

ტიზმს, მის ლამაზ სევდით მიღებას ქვეყნისას შეეფერება ლექსების მსუბუქი ფორმა, ქარვის კეთილშობილი ბზინვა. ეს შეუწყვეტელი, ნელი მუსიკაა, ქალაქისაგან მოღლილ ნერვებს რომ ატკბობს, ეს ყოველი საგნის ინტიმობის ხმაა, მასთან ახლოს რომ მიგიზიდავთ და შეგაყვარებთ“... (გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 16 იანვარი, №729).

იმავე 1920 წელს გამოქვეყნდა ივანე იოსელიანის სტატია „გენიალური გალაკტიონი“, რომელშიც შთამბეჭდავდაა წარმოჩენილი „არტისტული ყვავილების“ მნიშვნელობა და გალაკტიონის, როგორც ნოვატორის მისია: „ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია: „Crâne aux fleurs“. საქართველოში მოდის დიდი მწერალი და მას გზას ულოცავს ერის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება... სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გალაკტიონ ტაბიძე: ასეთი გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია“... (ყურნ. „ტფილისი“, 1920, №1).

გალაკტიონის მეორე პოეტური კრებულის ცალკეულ ასპექტებზე ასევე წერდნენ: ვასილ ჩხენკელი, ვასილ გორგაძე, ხომლეული (რომანოზ ფანცხავა), იოსებ იმედაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, პ. კეკელია, დემნა შენგელაია, ნ. გერგესელი, ვარლამ ხუროძე...

რეცენზიებისა და სტატიების ავტორები აღიარებდნენ გალაკტიონის პოეზიის უნიკალურ ხასიათს, მისი ლექსების ფორმისეულ სიახლეს, შინაარსის ორიგინალურობასა და განსაკუთრებულ შთამბეჭდაობას. უნდა ითქვას, რომ პოზიტიურ რეცენზიათა შორის იყო ერთი უარყოფითი გამოხმაურებაც, რომლის ავტორიც კოლაუ ნადირაძე გახლდათ. მან „არტისტული ყვავილების“ „ესთეტიური კულტურა და მხატვრული სისწორე“ დაინუნა ისე, რომ კონკრეტული არგუმენტები არ მოუტანია. სავარაუდოა, რომ კ. ნადირაძე არამხოლოდ საკუთარ, არამედ, ზოგადად, ცისფერყანწელთა დამოკიდებულებას გამოხატავდა. ამაზე მიგვანიშნებს მრავლობითის ფორმა („ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით“, ჩვენ ამას თამამად ვამბობთ“...), რაც მხოლოდ სტილის თავისებურებით არ უნდა იყოს ნაკარნახევი.

რამ განაპირობა კოლაუს (ან თუნდაც, ცისფერყანწელთა) ამგვარი პოზიცია? ამის ზუს-

ტად თქმა, დღეს, ალბათ, შეუძლებელია. საინტერესოა, რომ გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარმა – ვახტანგ ჯავახიძემ გარკვეული ახსნა მოუძებნა ამ ჯგუფის უცნაურ დამოკიდებულებას გალაკტიონისა და მისი კრებულის მიმართ. ვ. ჯავახიძის მიხედვით, „არტისტული ყვავილები“ გახლავთ ის ნიგნი, რომლის დასაწერადაც თავიანთი მგზნებარე მანიფესტებით ემზადებოდნენ ცისფერყანწელები და რომელიც, მათთვის მოულოდნელად, დაწერა არა-ცისფერყანწელმა... ამ სიურპრიზით გაოგნებულ ცისფერყანწელებს ქვეცნობიერი პრეტენზიები გაუჩნდათ, რომელიც ვერა და ვერ მოინელეს“.


მსგავსი თვალსაზრისია გამოთქმული ლევან ბერძენიშვილის ესეიში „გალაკტიონის დანაშაული“. ავტორი მიიჩნევს, რომ „არტისტული ყვავილები“ იყო გალაკტიონის მთავარი „დანაშაული“, რადგან ამ ნიგნში შეტანილი ლექსების სათაურების ჩამოთვლაც კი საკმარისი აღმოჩნდა რამდენიმე ათეული პოეტის მოსაკლავად; თუ მეორე კრებულის გამოცემაზე გალაკტიონის არსებობა მეტ-ნაკლებად მისაღები იყო ცისფერყანწელებისათვის, ახლა უკვე სამუდამოდ მტრებად ექცნენ მას.

გალაკტიონოლოგიის დ გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი სამყაროს შემსწავლელი სპეციალური ლიტერატურათმცოდნეობითი დარგის დ უმთავრეს ამოცანათაგან ერთ-ერთი გალაკტიონის პოეზიის გლობალურ კონტექსტში გააზრებაა, მისი ნაწარმოებების ანალიზი უცხოური ინტერტექსტების გათვალისწინებით.


გალაკტიონის შემოქმედებისათვის ევროპული თუ მსოფლიო კონტექსტის ძიებისას ლიტერატურათმცოდნეები ყველაზე ხშირად სწორედ 1919 წელს გამოცემულ „არტისტულ ყვავილებს“ მიმართავენ. ამ ნიგნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივია: „არტისტული ყვავილები“ ამჟამად მეტყველებს მისი ავტორის ევროპულ მწერლობასთან მიმართების ხასიათსა და სპეციფიკაზე. ამ თვალსაზრისით, უპირველესად, ყურადღებას იქცევს კრებულის ფრანგული სახელწოდება. გარდა ამისა, საინტერესოა მისი ფრანგული ეპიგრაფები და, რაც მთავარია,

„არტისტულ ყვავილებში“ გაერთიანებული ლექსები, რომელთა უმრავლესობის სრულყოფილად გააზრება-გაანალიზება შეუძლებელია ევროპული ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.


არსებობს ვარაუდი, რომ გალაკტიონის ნიგნის სახელწოდება „Crâne aux fleurs artistiques“ უკავშირდება შარლ ბოდლერის კრებულის („ბოროტების ყვავილები“) სათაურს და მისივე ლექსს „ამური და თავის ქალა“. ასევე, გამოთქმულია შეხედულება, რომ, შესაძლებელია, გალაკტიონზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოეხდინა ბაროკოს ხანის ე.წ Vanitas-ის ჟანრის ნატიურმორტებს, სადაც ხშირად იყო გამოსახული თავის ქალა და ყვავილები, როგორც სიკვდილის და მარადიული კვდომა-აღდგომის სიმბოლო.



„არტისტულ ყვავილებში“ დაბეჭდილი ერთ-ერთი ლექსის - „პერხვების“ ავტობრაფი



არტისტული ყვავილების გარაკანი



არტისტული ყვავილების ტიტული

როგორც ითქვა, გარდა სათაურებისა, კრებულის ლიტერატურულ-კულტურულ ორიენტაციაზე მიგვანიშნებს წიგნის ოთხი ეპიგრაფი. ეს ეპიგრაფებია: „მოულოდნელი მომხიბლაობა სამკაულისა – ვარდისფერის და შავის“ (შარლ ბოდლერი); „ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე“ (თეოფილ გოტიე); „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“ (პოლ ვერლენი); „...და ვარდები მეტად ტანმალალი“ (ანრი დე რენიე).

* * *

„წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო / ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“... დწერდა გალაკტიონი „არტისტული ყვავილების“ შესახებ. ეს არ იყო მხოლოდ პოეტური ფრაზა: გალაკტიონის ამ განუმეორებელმა წიგნმა მართლაც შექმნა „მთელი ხანა“ ჩვენს მწერლობაში. კვლევამ ცხადყო, რომ „არტისტული ყვა-

ვილები“ არ არის ცალკეული ლექსების კრებული. იგი სპეციფიკური სტრუქტურის მქონე წიგნი-მთლიანობაა. მის მითოპოეტურ სიუჟეტში სიმბოლური სახისმეტყველებით არის ნაჩვენები ზეციური ქალწულისადმი „უცნაური ტრფობით“ გამსჭვალული მგოსნის სულიერი ტრაგედია დ გზა მისტიკური უტოპიიდან ესქატოლოგიურ იმედგაცრუებამდე“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

დღეისათვის სრულიად აშკარაა ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც გალაკტიონის 1919 წელს გამოცემულმა კრებულმა – „არტისტულმა ყვავილებმა“ შეასრულა ქართული ლირიკის ისტორიაში. სწორედ ამის გამო, 2019 წელს საგანგებოდ აღინიშნა პოეტის მეორე წიგნის 100 წლის იუბილე და ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის – „გალაკტიონოლოგიის“ მერვე ტომი.



მურმან თავდიშვილი

ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მწერალი

მსოფლიოს კულტურულ აღორძინებაში გუტენბერგის გამოგონებამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა. ამიერიდან ყოველი ქვეყნის წიგნიერების არეალი გაიზარდა, გაფართოვდა. საქართველო აღნიშნულ პროცესს არ უნდა გარიყვოდა. ვახტანგ მეექვსემ რომ 1709 წელს თბილისში სტამბა გამართა, სწორედ აღნიშნულის მოდასტურება. ქალაქი გორი ამ მხრივაც ქართული კულტურის ფარვატერში ჩადგა. ამიტომ ერთობ საინტერესოა, თუ სახელდობრ რომელი წიგნი გამოსცეს იქ პირველად და ისიც, თუ რატომ?

სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეხება წინამდებარე გამოკვლევა.

ოსმალეთის მიერ ქართველთა გაათავრება იწყება 1629 წლიდან და პერიოდულად გრძელდებოდა 1878 წლამდე. სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება რომის მიერ საქართველოსადმი ყურადღება და კულტურული დახმარება, მორალური მხარდაჭერა. 1629 წელს რომში დააარსეს ქართული სტამბა, დაბეჭდეს წიგნები ივერიელთა ენაზე და დაიწყეს განათლებული პირების საქართველოში გაგზავნა. რომშივე გაიხსნა სპეციალური კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელ“, სადაც მოღვაწეობდნენ ქართულის სპეციალისტები და საქართველოს კარგად მცოდნე პირნი. ამ სპეციალურ სასწავლებლებში იწვრთნებოდნენ და შემდგომ საქართველოში სამოღვაწეოდ იგზავნებოდნენ ქართლიდან და მესხეთიდან წარგზავნილი ყმანვილები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც „მეფის რჩეულ“ პირებსაც მიუციათ რეკომენდაცია ვატიკანის წინაშე ასეთი ყმანვილებისათვის. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, სულ 27 ქართველ კათოლიკეს მიუღია სწავლა-განათლება „პროპაგანდა ფიდელში“. ამ ორგანიზაციაში ქართველი კათოლიკენი იწვრთნებოდნენ ქართულსა და ლათინურ ენებში, თარგმნის საქმეში, ქრისტიანობის (კათო-

გორში დასტაბული პირველი წიგნი


ლიციზმის განხრით) არსში ღრმად ერკვეოდნენ და წერდნენ საეკლესიო შრომებსაც, ადგენდნენ ლექსიკონ-სიტყვარებს, გრამატიკულ წიგნებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დავით ტულუკაშვილი, გორელი კათოლიკე, რომელიც სულხან-საბას რეკომენდაციითა და მეცენატ ზუბალაშვილის დახმარებით წასულა რომში 1724 წელს.

კათოლიკობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წარმატებით ვრცელდებოდა. მე-18 საუკუნის მთელი მესხეთის ქართველობა ან კათოლიკე გახდა, ან – მაჰმადიანი. თბილისში ჯერ კიდევ 1703 წელს ჩამოყალიბდა კათოლიკეთა გაერთიანება. მაშინდელი საქართველოს მეორე ქალაქ გორში კი 1723 წელს ქართველ კათოლიკეთა დაუარსებიათ ძმობა „სავარდისი“. იყო თუ არა ამ ძმობის წევრი ჭაბუკი დავით ტულუკაშვილი, არ ვიცით, მაგრამ კათოლიკური ძმობის მიერ სულიერად განვრთნილი ნამდვილად ჩანს.

მიქელ თამარაშვილის მოწმობით, ამ ახალგაზრდას დიდი ნიჭი და გულმოდგინება გამოუჩენია და დაუყოვნებლივ შედგომია მთარგმნელობით საქმიანობას. უფროსთა დავალებით მას უნდა ეთარგმნა და შემდეგ ქართულ ენაზე დასასტამბად წარედგინა სხვადასხვა საქრისტიანო თხზულება. მართლაც, ტულუკაშვილმა (ზოგი მეცნიერი, მაგ. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ იგი პაპაშვილი იყო) უკვე 1733 წელს წარუდგინა სპეციალურ კოლეგიას მის მიერ ლათინურიდან თარგმნილი „საქრისტიანო მოძღვრება“. მაგრამ, როგორც ცნობილი მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე წერს, „პატრი დავითას შრომა მარტო „საქრისტიანო მოძღვრების“ თარგმანით არ გათავებულა... გადარჩა მხოლოდ რამდენიმე წერილი და ერთი ვრცელი თარგმანი „მიბაძვა ქრისტესი“... თუმცა პატრი დავითას მიერ ნაშრომს არ ეღირსა დაბეჭდვა და იგი ერთის მხრით ჩვენი დროისათვის არც გამოდგებოდა... გორში თარგმნა და გორშივე გამოსცა იგივე ნაშრომი ანსელმო მღებრიშვილმა“ (3, 75).

მართალია, გორელ კათოლიკეს, რომში განვრთნილ პიროვნებას დავით ტულუკაშვილს, ვერ დაუბეჭდავს თავისი თარგმანი, მაგრამ იგი ხელნაწერებად გავრცელებულა და მოიპოვებოდა როგორც თბილისში, ისე გორში, მესხეთში, ჯავახეთსა და ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. კ. კეკე-



მიბაძვა ქრისტესი

ლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ წიგნის მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ზოგს აწერია, რომ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ნაქონია, ზოგსაც – გორის კათოლიკური ეკლესიის მონაპოვარი და ა.შ. დავით ტულუკაშვილის ნაკალმარი დაცული ყოფილა სამცხედჯავახეთის მუზეუმშიც (2, 56).

როგორცა ჩანს, მაინც ისევ გორელ კათოლიკეთა ფრთას უმარჯვია და პირველი წიგნი, რომელიც გორში გამოუციათ – ეს იყო იმავე თომა კემფელის ზემოაღნიშნული თხზულება „ქრისტეს მიბაძვა“, ამჯერად ხელმეორედ თარგმნილი ლათინურიდან გორელი პატრის ანსელმო მღებრიშვილის მიერ. ანსელმო მღებრიშვილმა, რომელმაც „პროპაგანდაში“ მიიღო განათლება და ზუბალაშვილის საფასით ბათუმის კათოლიკური ეკლესია ააგო, „ქრისტეს მიბაძვის“ I-IV ნაწილები სტამბური წესით გამოსცა გორში 1889 წელს. ზაქარია ჭიჭინაძე ამ პიროვნების შესახებ დაწერილ ნარკვევში საგანგებო ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ეს იყო გორში პირველად დასტამბული წიგნი, რომ, გარდა თბილისისა, სხვა ქართულმა ქალაქებმაც უნდა იწყონ კულტურული აღორძინება და ბეჭდონ წიგნებიო. „ეს წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ იგი დაიბეჭ-

და ქ. გორს, პირველად გორში. მართალია, სტამბა არის, მაგრამ აქ ქართული წიგნი არავის დაუბეჭდია. ეს პირველი მაგალითი იყო“. შემდეგ ცნობილი მწიგნობარი აქეზებს ქართული კულტურის მესვეურთ, რათა შემდგომშიც მოინდომონ და განაგრძონ ეს სასახელო და საშვილიშვილო წამოწყება.

თბილისის ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია ანსელმო მღებრიშვილის მიერ თარგმნილი თომა კემფელის ზემოაღნიშნული წიგნი. მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება, თუ შემოკლებით მოვიყვანთ მთარგმნელის წინასიტყვაობას:

„ეს სახელგანთქმული თხზულება „მიბაძვა ქრისტესი“ ამ ჟამად პირველად დაიბეჭდა ქართულს ენაზედ. მართალია, ზოგიერთთა პატივცემულთა და შრომისმოყვარე პირთა წინათაც უცდიათ ამ წიგნის გადმოღება ქართულად, მაგრამ, რადგანაც მათს შრომაში, სამწუხაროდ, ბევრი იმისთანა ნაკლულევანებანი მოიპოვებინა, რომელნიც არა მცირედს ღირსებას უკარგავენ თხზულებას, ამის გამო მეც კვალად განვიზრახე თარგმნა მისი. ამჟამად დაიბეჭდა ორი პირველი წიგნი, დანარჩენი ორი წიგნი მზად მაქვს, მაგრამ ეხლა ამ წიგნთან ერთად ვერ ვბეჭდავ, რადგან გადასასინჯია...“

ამ წიგნის ავტორი არის დიდებული თომა კემფელი, რომელიც ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში და რომელიც დასავლეთის წმიდა ეკლესიისაგან შერაცხულია წმინდანად. თომა დაიბადა 1380 წელსა, სოფელს კემპში; მშობელნი მისნი ღარიბი გლეხი-კაცები იყვნენ და ამის გამო საკუთარს ხარჯით მათ არ შეეძლოთ აღეზარდათ თავიანთი ნიჭიერი შვილი. ამიტომ იგი მისცეს ერთს სასწავლებელში, სადაც ღარიბ ბავშვს საზოგადოების ხარჯზედ ზრდიდნენ. როდესაც მალაღნიჭიერმა თომამ სწავლა დაამთავრა, გახდა ნევრად იმ მეცნიერთა საზოგადოებისა, რომელსაც განათლებული და გულმხურვალე ბერნი შეადგენდნენ. აქ მიიღო ბერობა და იწყო სასარგებლო მოღვაწეობა. მომეტებულად მწერლობას აქცევდა ყურადღებას და ამ ასპარეზზედ მან გამოიჩინა გასაოცარი ნიჭი, ცოდნა და შეგნება საღმრთო წერილისა. დასწერა ასზედ მეტი სხვადასხვა თხზულებანი, რომელთა შორის ყველაზედ წარჩინებული და დიდებულია „მიბაძვა ქრისტესი“. ერთი ის გარემოება, რომ ეს წიგნი დღეს დედამიწის ზურგზედ მოფენილია, ცხადად აჩვენებს მისი ღირსების სივრცე-სიდიდეს. ჰკითხულობთ ამ წიგნს და მის სიმშვენიერით აღტაცებულმა აღარ იცით, რას მიაქციოთ უმთავრესი ყურადღება – აზრთა სიღრმე-სიუხვეს თუ მაღალ გრძობათა სიტკბობას, პოეზიის დიდებულებას თუ ენის სინარნარეს...“ (1,3).

ანსელმო მღებრიშვილი სავსებით მართალია. თომა კემფელი შუასაუკუნეების მისტიკოს-ფილოსოფოსია. იგი გახლავთ ერაზმ როტერდამელის სკოლის ერთი დიდი წარმომადგენელი, აგნატენ-ბერგის მონასტრის კანონიკი. მან შუასაუკუნეების ლათინურით დაწერა რელიგიური ტრაქტატები. „იმიტაციო ქრისტი“ 1427 წელს არის შექმნილი და ისიც თომა კემფელს მიეწერება, ვინაიდან ეს თეოლოგი ნაშრომებს სახელს არ აწერდა, რადგან ფიქრობდა: მთავარია არა ის, თუ ვინ დაწერა, არამედ ის, თუ რა დაწერა. და ეგ როდი გახლდათ ანაფორიანი ბერის სიჯიუტე. ეს გამომდინარეობდა მისი ფილოსოფიური პლატფორმიდან. პირველი ფრაზა, რომელიც „ქრისტეს მიბაძვიდან“ აქ მომყავს, სწორედ ამგვარ თვალსაზრისს ავითარებს: „ნუ ეძიებ, ვისგან არის თქმული, არამედ შეისმინე, რაცა არს თქმული“. „მიბაძვას“ ბრწყინვალე ენობრივ ქსოვილსა და მხატვრულ პასაჟებთან ერთად ახასიათებს აზრის სიცხოველე და სინათლე. ამიტომაც არის, რომ წიგნს ხელნაწერებად ავრცელებდნენ. წესად იყო დადებული – ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა ჰქონოდა იგი. როდესაც საბეჭდი მანქანები გაჩნდა, „წმინდა წერილის“ შემდეგ მეორე წიგნად ეს თხზულება ისტამბუბოდა და თითქმის ყველა ენაზე (და არა მარტო ქრისტიანულ ენებზე) გადათარგმნეს. მეოცე საუკუნემდე 2000-ჯერ მაინც გამოიცა. რუსულად პირველად 1647 წელს უთარგმნიათ, ხოლო ქართულად, თუ უწინარეს არა, 1720-იან წლებში მაინც უნდა თარგმნილიყო.

მკითხველს რომ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეექმნეს მღებრიშვილისეულ თარგმანზე, მის ხარისხსა და თვით წიგნის ღირსებაზე, მოვიყვან რამდენიმე ფრაზას (სხვათა შორის, თარგმანის ხელნაწერი ნაუკითხავს და სტილი გაუსწორებია ნიკოლოზურს).

„მრავალნი გაურბიან საცთურს და... შიგ ვარდებიან“.


„სახმილი გამოსცდის რკინასა, საცთურება – კაცსა“.

„ყოველ დროს, როდესაც კაცთა თანა ვიმყოფები, სახლში ვბრუნდები რაიმე ნაკლულოვანებებით“.

„ხშირად ბოროტებას სჩავდივართ, მაგრამ უფრო დიდი სიბოროტე ის არის, რომ თავსაც ვმართლულობთ“.

„კაცი ხედავს პირსა, ღმერთი – გულსა“.

„კაცი ხედავს მოქმედებასა, ღმერთი – აზრსა მოქმედებისასა“.



ბორის ციხე. 1642. იტალიელი მისიონარის კრისტოფორო დე კასტალის ჩანახატი

„იესოს ან მრავალნი ჰყავს თავისი ზეციურის სასუფეველის მოყვარულნი, მაგრამ მისის ჯვარის მტვრითველნი კი ცოტანი არიან“.

„მრავალსა ჰპოულობს მაცხოვარი ტაბლაზედ თანამეინახეთა, ხოლო მცირედთა თვისთან მემარხულეთა“.

„მრავალნი შეუდგებიან ქრისტეს გატეხვადმდე პურისა, ხოლო მცირედნი შესმადმდე ვნებისა ბარძიშისა“.

„ყოველთვის განმზადებულია ჯვარი და ყოველგან გელის იგი შენ“.

როგორცა ვხედავთ, თომა კემფელის ზოგიერთი გამოთქმა აფორიზმის დონეს აღწევს. ყველაფერი ეს კი ისე ამშვენებს ქ. გორში პირველად გამოცემულ წიგნს, როგორც უზარმაზარი თეოლოგი მოაზროვნის თომა კემფელის სახელი – მსოფლიო კულტურის საგანძურს.

ბეჭდვითი სიტყვის კულტურა მთელ საქართველოში ვრცელდებოდა უკვე 1709 წლიდან. ამის მჭევრმეტყველური ფაქტია გორში დაბეჭდილი პირველი წიგნი, რომელიც მიმართული იყო ქრისტიანობისაგან განმდგარი მრევლის სულიერი გაჯანსაღება-განმტკიცებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კემფელი თომა, მიბაძვა ქრისტესი, გორი, 1889.
2. ლომსაძე შოთა, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1979.
3. ჭიჭინაძე ზაქარია, უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, გორელი პატრი ტულუკანთ დავითა, ტფილისი, 1898.



ნანა ფირცხალავა

*ჩერქეზულ (ადიდურის) კულტურის
ცენტრის მკვლევარი-ბიბლიოგრაფი*

„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ გამოუქვეყნებელი მეცამეტე ტომი - რუსეთ-კავკასიის ომის მემატიანე

„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მეცამეტე ტომის გამოცემა, რომელშიც 1862-1882 წლების კავკასიის ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდის ამსახველი დოკუმენტების დაბეჭდვა იყო გადანიშნული, უშედეგოდ დასრულდა. ის არ გამოქვეყნდა, თუმცა მისი დაბეჭდვის საკითხი მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1906-1916 წლებსა და მოგვიანებითაც, არაერთხელ დადგა. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ტომისთვის პორტრეტების, რუკებისა და სხვა სახის მასალების მოსაძიებლად... არსებობდა ინფორმაცია ბეჭდვის დაწყების შესახებაც კი...

„აქტების“ მეცამეტე ტომისთვის მასალების შესაგროვებლად ჩრდილოეთ კავკასიაში – ეკატერინოპოლის, სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის არქივებში არსებული დოკუმენტების შესასწავლად და გადასარჩევად ჯერ კიდევ 1894 წლის დეკემბერში გაემგზავრა არქეოგრაფიული კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე, ჯარის ზემდეგი ე. ფელიცინი. ის 1895 წლიდან 1899 წლამდე არჩევდა დოკუმენტებს ასევე ყუბანის სამხედრო არქივსა და ყიზლარში და ამ არქივებიდან არქეოგრაფიულ კომისიას დოკუმენტების 47 დიდი შეკვრა გამოუგზავნა, რომლებიც აღწერებითა და აღნიშვნებით დამუშავებულ 7000-ზე მეტ დოკუმენტს შეიცავდა.

1903 წლის დეკემბრიდან, ე. ფელიცინის გარდაცვალების შემდეგ, არქეოგრაფიული კომისიის დროებითი თავმჯდომარეობა მეფინაცვლის კამერ-იუნკერს, კოლეგიის მრჩეველ პოგგენპოლს დაევალა, რომელმაც 1904 წლის 8 მარტს კავკასიის მთავარმართებელს სამო-

ქალაქო ნაწილში კომისიის მუშაობის ანგარიში წარუდგინა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად „აქტების“ მეცამეტე, გამოსაცემად მოსამზადებელ ტომზეც იყო ყურადღება გამახვილებული.

დოკუმენტები, რომლებიც საქმეების მიხედვით იყო შეკრული და კავკასიის არქეოგრაფიულმა და შემომონებელმა კომისიებმა მეცამეტე ტომისთვის შესარჩევად განიხილეს, 1798-1894 წლებს მოიცავდა. თითოეულ საქმეში საკითხების მიხედვით დალაგებული, გადანიშნული ან გადაბეჭდილი 1500-2000 დოკუმენტი იყო აღწუსებული, რომლებზეც სხვადასხვა ფერის მელნით, ან ფანქრით ასეთი მინაწერები იყო გაკეთებული: „ნესრიგშია“, „დაიბეჭდოს“, „აქტებში არ შეიძლება“, „არ დაიბეჭდოს“, „ექვემდებარება არქივში დაბრუნებას“... მთელი რიგი გვერდები კი მინაწერის გარეშე იყო გადახაზული.

ი. ფელიცინის მიერ მთავარმართებლისადმი 1894 წლის 2 მაისს წარდგენილი ანგარიშით, კომისიას კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის (1862-1865 წწ.) მმართველობის პერიოდის ამსახველი დოკუმენტების გამორჩევა უკვე დასრულებული ჰქონდა. 1895 წლის 15 დეკემბერს მთავარმართებლის კანცელარიამ არქეოგრაფიულ კომისიას კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის მითითება შეატყობინა, რომლის მიხედვითაც სასწრაფოდ უნდა დაეწყოთ დოკუმენტების ბეჭდვა, თუმცა ბეჭდვა არ დაწყებულა, ვინაიდან, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ტომისთვის დოკუმენტების შერჩევა კვლავ გრძელდებოდა და მასში დამატებით უნდა შესულიყო კიდევ 318 დოკუმენტი, რომლებიც არქეოგრაფიული კომისიის შენობაში ინახებოდა ამავე ტომისთვის განკუთვნილ სრულიად მოუწესრიგებელ და შეუსწავლელ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

1906 წელს არქეოგრაფიული კომისიის ახალი თავმჯდომარის დ. მიხაილოვის მიერ კვლავ დაისვა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასი-

ის არქივების დოკუმენტების ძირფესვიანად განხილვა – შესწავლის საკითხი, საიდანაც გამოსაცემად უნდა შერჩეულიყო დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოღვაწეობის არა ორი წლის, როგორც ადრე იყო ნავარაუდები, არამედ მთელი მოღვაწეობის (1862-1881წწ.) ამსახველი დოკუმენტები.

ამ პერიოდში ზემდგომ ინსტანციაში არქეოგრაფიული კომისიის გაუქმების საკითხიც დამდგარა, რადგან მისი არსებობა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. თუმცა კომისიის იმდროინდელი თავმჯდომარის დ. მიხაილოვის დიდი მცდელობის შედეგად არქეოგრაფიულ კომისიას 1907 წლის პირველი იანვრიდან მოღვაწეობის ვადა ხუთი წლით გაუგრძელდა და კომისიამ მუშაობა განაგრძო. სწორედ ამ პერიოდში, 1907 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ხელახლა გადათვალიერდა 44 220 დოკუმენტი, ნაკითხული იქნა 14 276 და გადასანერად და დასაბეჭდად მომზადდა 2930 ფურცელი...

შემმოწმებელი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: თავმჯდომარე – გენერალ – ლეიტენანტი ვ. პოტო, წევრები: საიდუმლო მრჩეველი ე. ვეიდენბაუმი, სამოქალაქო მრჩეველი დ. მიხაილოვი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ვ. ოსეცკი, სამხედრო-ისტორიული განყოფილების რედაქტორი,

პოდპოლკოვნიკი ნ. ესაძე და კარის მრჩეველი, ადოლფ ბერჟეს ვაჟი – ვლადიმერ ბერჟე, მიზანშეწონილად თვლიდა „აქტების“ მეცამეტე ტომის ბეჭდვის დაწყებას 1912 წლიდან.

დღის წესრიგში კი კვლავ იდგა კომისიის ყოფნა – არყოფნის საკითხი...

1913 წლის 9 იანვარს მეფისნაცვლის კანცელარიამ არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარეს დ. მიხაილოვს კომისიის არსებობის ვადის გასვლის შესახებ აცნობა და მეფისნაცვლის ბრძანების საფუძველზე მეფისნაცვლის არქივიდან სხვადასხვა დროს ამოღებული ყველა დოკუმენტის, არქეოგრაფიული კომისიის მიმონერისა და „აქტების“ მეცამეტე ტომისთვის გადაწერილი და დასაბეჭდად მომზადებული დოკუმენტების დაუყოვნებლივ ჩაბარება მოსთხოვა.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისია 1918 წელსაც აგრძელებდა მუშაობას, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეცამეტე ტომისთვის გამზადებული დოკუმენტების შეკვრები გასაბჭოებული საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივს გადაეცა, სადაც ისინი დაიშალა და ამ არქივისთვის მიღებული სტრუქტურის მიხედვით დაკომპლექტდა. ეს მასალები დღეს საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება სახელწოდებით: „კავკასიის



აურალი. XIX ს. რუსული არმიის შაშოჭრის გამო ჩარაუბთა ტომი ტოვებს თავის მთებს და მიამართება თურქეთისაკენ

მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებული კავკასიის არქეოგრაფიული კომისია. ფონდი 416, საბუთების და საქმეების ანაწერი, მიღებული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისაგან XIII ტომისთვის.“

გთავაზობთ რამდენიმე საქმეს 416-ე ფონდის მესამე ანაწერიდან:

ფ. 416. ან. 3, საქმე 40.

მოსხენებითი ბარათი ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვისა დონის კაზაკთა ატამანის გენერალ-ადიუტანტ სამუტოვისადმი. 1855-1856 წწ. 4 იანვარი.

– „გარდაცვლილი გენერლის ველიამინოვის დროიდან, როცა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობა დაიწყო, ბევრი ექსპედიცია მოეწყო ნატუხაელთა [ჩერქეზული ტომი] მიწაზე იქაური მაცხოვრებლების გასანადგურებლად და თითქმის არ დარჩა ჩვენი ნაწილებისაგან გაუნმენდავი ადგილები.“

– „სუკოს ხეობაში სერებრიაკოვის რაზმმა გაანადგურა სამასი ოჯახი, სურსათის მარაგი და მათი მთელი ავლადიღება.“

– „დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ კავკასიის მთებში აღარ დარჩა დაუმორჩილებელი არც ერთი ტომი და რომ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და მასთან ერთად კავკასიის ომი დასრულებულია.“

– „ციმბირში გადასახლებულთა რიცხვი (ოჯახებთან ერთად) წელიწადში 10 ათასს აღწევდა.“

ფ.416. ან. 3, საქმე 1176.

მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიხეილ რომანოვის წერილი იმპერატორისადმი, მისი ყირიმში ყოფნისას, 1863 წელს.

მთავარსარდალი იმპერატორს წარუდგენს ანგარიშს, თუ რა გაკეთდა გასული ერთი წლის განმავლობაში. ის წერს, რომ რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ დაკავებულია კავკასიონის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთელი სივრცე მდ. ფშიშამდე; დასავლეთით – ანაპიდან მდ. ილამდე და მდ. შებშამდე. ასევე განმენდილია მთიელებისაგან, მაგრამ ჯერ არ არის დასახლებული კაზაკებით; სამხრეთ-აღმოსავლეთით განმენდილია ტერიტორია ყუბანის შესართავიდან გელენჯიკამდე, 100 ვერსი: უბიხების

[ჩერქეზული ტომი] საზღვრამდე დარჩენილია 120 ვერსი. ამ ტერიტორიის [მოსახლეობისგან] გასანმენდად მოქმედებს ოთხი რაზმი: დახოვსკის, ფშეხას, შებშისა და ადაგუმასი. ატყობინებს იმ გეგმებზე, რომლებიც ამ რაზმებს აქვთ დასახული. მთავარსარდლის აზრით, ადგილობრივი მოსახლეობისგან ამ ტერიტორიის განმენდის შემდეგ, აქ უნდა მოხდეს რუსული სტანიცების ჩასახლება.

ფ.416. ან. 3. საქმე 1096

ვარნაში რუსეთის კონსულის დასკალოვის მოხსენებითი ბარათი რუსეთის საქმეების რწმუნებულისადმი კონსტანტინეპოლში, ნოვიკოვისადმი. 1863 წლის 18 დეკემბერი.

კონსული წერს იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც ვარნაში ჩაყვანილი ჩერქეზები აღმოჩნდნენ:

– „11 დეკემბერს ვარნის ნავსადგურში შემოვიდა თურქული ხომალდი ტრაპიზონიდან, რომელმაც გადმოსხა 850 სული ორივე სქესის კავკასიელი მთიელი ბავშვებით. 14 დეკემბერს თურქულმა გემმა ასევე ტრაპიზონიდან ჩამოიყვანა 980 სული. ისინი იყვნენ ფეხშიშველი და ტანშიშველი, ავადმყოფები და თითქმის ცოცხალ-მკვდარნი, რომლებიც ერთ ღამეში გარდაიცვალნენ. გემიდან 16 გვამიც ჩამოიტანეს... იანვარში ვარნაში კიდევ ჩამოიყვანეს 370 სული ჩერქეზი, ხოლო შემდეგ 800 სული. ყველა ისინი ავად აღმოჩნდნენ. ყოველდღიურად მათგან 12-დან 20-მდე კაცი კვდებოდა.“

ფ.416. ან. 3. საქმე 1096.

ტრაპეზუნტში რუსეთის ვიცე-კონსულის მოშინის წერილი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ კარცოვისადმი. 1863 წლის 28 დეკემბერი.

მოშინი წერს, რომ მთიელების თურქეთში გადმოსაყვანად ბარკასების დიდი ნაწილი უკვე გაგზავნილია. ტრაპეზუნტიდან ჩერქეზთა სანაპიროსაკენ დაახლოებით 70 ბარკასი გაემართა. მათში არ ითვლება ახლო-მახლო ნავსადგურებიდან ნასული ბარკასები. ნოემბერ-დეკემბერში დაახლოებით ჩამოვიდა: ტრაპეზუნტსა და პლატანაში 10 000 სული, მათგან კუსტენჯსა და ვარნაში 17 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით გაიგზავნა 4500 სული. სიკვდილიანობა მათში დაახლოებით 40 კაცს შეადგენდა

დღეში. ტრაპეზუნტში დარჩენილია კიდევ 3150 კაცი... გადმოსახლებულები მძიმე დღეში არიან ზღვის ავადმყოფობისა და სხვადასხვა სნეულებების გამო.

აი, დავნერე მოშინის ეს ბოლო სიტყვები და გამახსენდა „ჩერქეზეთის ბიბლიოგრაფიაში“ შესატანი გაზეთ „დროების“ 1876 წლის 97-ე ნომერში, „რუბრიკაში „მწერლობა“, დაბეჭდილი წერილი „ჩერქეზეთის გადასახლება“, სადაც მიმოხილულია გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული კანცის წიგნი „დუნაი-ბოლგარია და ბალკანი“. წერილში ვკითხულობთ: „...ავტორი აღგვიწერს იმ დროს, როცა ჩერქეზები სტოვებენ თავიანთ სამშობლოს, მამულს და მიეშურებიან... ვინ იცის საითკენ?! დეკემბერში, 1863 წელს იგრიალეს ჩერქეზებმა და დაეშვნენ შავი ზღვის ნაპირებისაკენ მამა-კაცი და დედა-კაცი, ჩჩვილნი და უსუსურნი, ძუძუს-მწოვარნი... ყველანი მიდიან ახალს სამშობლოში! პირუტყვთ ბლავილი და ძაღლთა ყეფა წინაუძღვის მათ. ამგვარად, 1864 წელში ათს ივლისს ჩერქეზები რიცხვით ორას-ოცდა-თექვსმეტი ათას შვიდას თვრამეტი (236 718) გაჩნდნენ ზღვის ნაპირებზე, მცირე აზიაში. ბევრი მათგანი შავი ზღვის ტალღების მსხვერპლი შეიქმნა. ოსმალეთის ევროპაში ჩერქეზების რიცხვი 1864 წელს ორასი – ათას სულს (200 000) შეიცავდა... შიმშილი იყო მათი სტუმარი, სიკვდილი მათი მოძმე, მოთქმა მათი გალობა! აი, სურათი ჩერქეზების მაშინდელ მდგომარეობისა.

დავუმატოთ ამას დოქტორ ბაროცცის სიტყვები ამავე საგანზე: უნუგეშონი, არავითარ გიგინურ ზომის არა მქონენი, მშიერნი და მწყურვალნი, ჰხდებიან ავით ყვავილით, სახადით და იხოცებიან. ყოველ სახლში უთუოდ ერთი ავათმყოფი მაინც არის და ზოგიერთი სახლობა სულკი ამოწყდა. ავათმყოფებს შიშველს მინაზე სძინავთ, მიცვალებულნი აღარ ისაფლავებიან და მძოვრი მათი მათთანვე იხრწნება თვალწინ... აი, სურათი ჩერქეზების გადასახლებისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენ ეს უცხო კაცი“.

ფ. 416. ან. 3. საქმე 273.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის ბარონ ნიკოლაის ცირკულარი კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეების გუბერნატორებისა და ცალკეული ნაწილების უფროსებისადმი. 16 მარტი. 1864.



ნ.პ. ბრუნი. მთიანეთის ტოპოგრაფიული ალბომი. 1872 წ.

ცირკულარში აღნიშნულია, რომ მრავალი აული მთლიანად გადასახლდა თურქეთში, თუმცა შემდეგ ბევრმა უკან დაბრუნება მოინდომა. თურქეთში გადასახლებული კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეების მკვიდრი მუსლიმების დაბრუნებაზე პირველივე ცნობის გავრცელებისთანავე მიღებულ იქნა ზომები ამის საწინააღმდეგოდ. რუსეთის საელჩომ ცირკულარით აცნობა საკონსულოებს, უარი ეთქვათ ასეთი თხოვნის დაკმაყოფილებაზე. ბარონი ნიკოლაი კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეების გუბერნატორებსა და ცალკეული ნაწილების უფროსებს ავალებს, მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან მთიელების თურქეთიდან დაბრუნება.

ცხადია, იმ ჩერქეზებმა, რომელთა შესახებაც გაზეთ „დროების“ 1871 წლის 38-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „დაბრუნებული ჩერქეზები“, ინგილო ჯანაშვილი გვიამბობს, კარგად იცოდნენ დამპყრობელთა ამ გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ! სიკვდილი მაინც კარზე იყო მომდგარი და თავისა და ოჯახის გადასარჩენად რაღაც გზას ხელახლა უნდა დადგომოდნენ...

აი, რა წერია ინგილო ჯანაშვილის წერილში: „ალექსანდროვის ბაღში, სექტემბრის 17-ს, თბილისის მაზრის მომრიგო სასამართლოს წინ მრავალ ხალხს მოეყარა თავი და რაღაცას დასცქეროდა. აქ იყვნენ დაბინავებულნი ყარსიდგან [ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში] დაბრუნებული ჩერქეზები... არც ერთს იმათგანს ადამიანის სახე აღარ ეტყობოდათ. ისინი ყველანი გლახებსა ჰგვანდნენ და პირის სახეზე ვაი და ვაგლახი, ბოღმა და ტანჯვის მეტი აღარა ეჩნეოდათ რა. ეტყობოდათ, რომ მომეტებუ-



ლი მწუხარებისაგან მათში კაცურ გრძნობებს ღრმა ძილით დასძინებოდათ. ისინი ამღვრეული და ცრემლიანი თვალებით და კისრისა და ყელის აქა-იქ გვერდზე გადაქნევით მოწყალების და შესაბრალის თხოვნის სახით იცქირებოდნენ... ერთ ჩერქებს დავუნყე თათრულს ენაზე გამოკითხვა მათი გადასახლებისა, დაბრუნებისა და ცხოვრების გარემოებებისა. „ვაი იმ წასვლა-მოსვლასა და ცხოვრებას, თქვა მან, რაც ჩვენ ვნახეთ ოსმალეთში. რაც კი რამ გვებადა: ფული, ხარი, კამბეჩი – ყველაფერი შევჭამეთ და შემდეგ, რადგან ოსმალეთმა სახნავ-სათესი მიწები არ მოგვცა, შიმშილით ვიხოცებოდით ცოლ-შვილით და ამისთვის წამოვედით ისევ ჩვენს ქვეყანაში... ხვალ უნდა წავიდეთ დაღესტანში; იქ მაინც ვხნავთ, ვთესავთ და იოლათაც წავალთ. ჩვენთვის ისევ დაღესტანი ჯობია: შიმშილით მაინც არ დაგვეხოცება ცოლ-შვილი. – მონათვლაც რომ საჭირო იყოს, მაინც წახვალთ? – წავალთ, თქვა მან და მიაშვირა თითი ერთ ძალიან მოხუცებულს ბებერს, დაღმენჭილს დედაბერზე, რომელსაც კედლის ძირას მზეში, მწუხარებისგან გაღეჟილს, ქურქზე თავი დაედო, ინვა და ეძინა და თქვა: მაგას რა სარწმუნოება ეჭირება?!“ 1871 წ. 20 დეკემბერი.

... და 91 წლის მოხუცი შაფსულის ნაამბობი: „შაფსულები [ჩერქეზული ტომი] აქედან აიყარნენ 1860 წელს. იმ რაზმის უფროსი, რომელმაც აგვყარა, იყო გრაფი სამაროკოვი. ეს იყო სექ-

ტემბრის ბოლოში. სიმინდი უკვე მოტეხილი იყო. ის გადავიდა უღელტეხილზე. ზამთარი გაატარა კრასნოდარში. 1862-ში მოვიდა ჯუბლუში. 7 წელიწადი ეყარა ადამიანის ძვლები ზღვის ნაპირას. მამაკაცის წვერისა და ქალების თმისაგან ყვავები ბუდეს იკეთებდნენ. 7 წელი ზღვა ადამიანის თავის ქალას საზამთროსავით ისროდა ნაპირზე“ (ს.ჯანაშია. შრომები. ტ.4. თბ., 1968. – გვ. 124).

... საქმე 142, საქმე 1159, საქმე 1163, საქმე 1196... საქმე... საქმე... საქმე...

... და რუსი ჯალათებისაგან განადგურებული ოდესლაც ულამაზესი ჩერქეზული სოფლები: დიდი შენდჟი, ედეშუკაი, ხატუგაბლი, ბჟეგოკოი, ენემი, კონჩოკო ხაბლი, ჯუბლუ... „ორფიკულ არგონავტიკა“-ში (თბ.: თბ. უნ-ტის გამბა, 1977. – გვ. 110) კერკეტელ ვაჟკაცთა ტომად და ამაყ სინდებად მოხსენიებული, ანტიკურ ხანაში შავიზღვისპირეთში, კავკასიის ქედთან, ხარანდების ხეობათა შუა, ერთიის ვინროებში მცხოვრები ხალხის – კერკეტებისა და სინდების შთამომავლები, უთანასწორო ბრძოლებში დამარცხებული და მშობლიური მიწა-წყლიდან ბარბაროსულად განდევნილი გმირი ჩერქეზები – უბიხები, შაფსულები, აბაძხეები, ბჟედუხები, ნატუხაელები, ყაბარდოელები...

...დაღუმდები, ველარ ამოიღებ ხმას...



ქეთევან ოთარაშვილი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში მრავალრიცხოვანი უცხო ეთნიკური ჯგუფების მოზიდვას და დასახლებას გულისხმობდა. საქართველოში რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია სომხურ ელემენტს ჰქონდა მინდობილი. საზღვრისპირა რეგიონებში რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი სომხური მოსახლეობის ჩასახლება პერმანენტული ხასიათი მიიღო. სომხები რუსეთისგან დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებდნენ და მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მათი პოზიცია იმდენად განმტკიცდა, რომ საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში საკმაოდ ძლიერი იყო სომხური სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, ჩამოყალიბდა ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც პირველობის შესანარჩუნებლად სააქციონერო საზოგადოებებში ერთიანდებოდა.


საკმაოდ დიდ ძალას და გავლენას ფლობდა სომხური ეკლესია. ქართული ეკლესია კი ავტოკეფალიის დაკარგვისა და საკუთრების ჩამორთმევის შემდეგ უძიმეს მდგომარეობაში იყო. აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება იმ ფონზე, როდესაც რუსი მოხელეები საქართველოს განაპირა რეგიონებში მოსახლე აფხაზ და ოს ხალხს მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას პირდებოდნენ და რითაც იმპერია განმანათლებლურ მისიას იჩემებდა. სინამდვილეში, თითოეული მოქმედება დამპყრობლური პოლიტიკის ნაწილი იყო, რაც იმპერიის ტერიტორიაზე რუსული საეკლესიო მსახურების დანერგვისაკენ იყო მიმართული. ყოველივე ამის ფონზე სომხური ეკლესიის უფლებები და გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ სომხური თემის დახმარების გარეშე პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 8 მარტს

გაზეთი „კოვკასი“ - პირველი სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში

ვერ შედგებოდა ხელმომწერთა სიმცირის გამო. როგორც „საქართველოს გაზეთის“ რედაქტორის რუბრიკაში წერია, სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის საქართველოს ეპარქიის არქივებისკოპოსმა ნერსემ სომეხ სამღვდელოებაში სახელდახლოდ ასზე მეტი ხელმომწერი იშოვა და ამით გამოძცემლებს საქმე გაუადვილა.

საუკუნის დასაწყისში თბილისში პავლე ციციანოვის (პ. ციციანოვი 1802 წ. დაინიშნა კავკასიის სასაზღვრო ხაზის ინსპექტორად და საქართველოს გუბერნიის მთავარსარდლად) მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლის გარდა, სკოლა არც ქართველებს ჰქონდათ და არც სომხებს. თუ ვინმეს წერა-კითხვის სწავლა უნდოდა, მღვდლებს მიაბარებდნენ. 1814 წელს რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს სომხური ეპარქიის ეპისკოპოსმა ნერსემ 20 მოსწავლისთვის გახსნა სკოლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას და იმ პერიოდის სტანდარტებს. პედაგოგების კვალიფიკაციაც საეჭვო იყო. ვითარება იცვლება 1817 წლიდან, როდესაც თბილისში დაარსდა ე. წ. ქართული სასულიერო სემინარია. სემინარია შედგებოდა რიტორიკის ორი კლასისაგან. სწავლობდნენ ძირითადად რუსულ ენასა და ლიტერატურას, რუსეთის და მსოფლიო ისტორიას და რიტორიკას. სურვილის მიხედვით ისწავლებოდა ლათინური, ბერძნული, გერმანული და ფრანგული ენები.

რაც შეეხება სომხურ სკოლას, სკოლის პროგრამა ჯერ კიდევ 1807 წ. შეადგინეს კათალიკოსმა ნერსემ და ჰოვანეს ლაზარიაძემ. 1822 წელს აგებული შენობის არქიტექტორი სამხედრო ინჟინერი ლაზარევი იყო. სკოლა კი 1824 წლის 1 დეკემბერს გაიხსნა და იყო სომხური საზოგადოებისათვის სრულიად ეროვნული მოვლენა. სომხურ სკოლას კათალიკოს ნერსე აშტარაკეცის პატივსაცემად ეწოდა ნერსესიანის სკოლა. ამ სკოლის ირგვლივ შემოიკრიბა მოაზროვნე სომხობა და დაიწყო თანამედროვე სალიტერატურო ენის, აშხარაბარის ფორმირება. ეკლესია მათ საშინელ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ძლიერ გუნდს, დიდ ცოდნასა და პროგრესულ მიმართულებას რეფორმისტები გამარჯვებისკენ მიჰყავდა. მათ შეცვალეს 1807 წლის პროგრამა და სწრაფად დაიწყეს ახალი სასწავლო პროგრამის შე-



ნერსესიანის სასწავლებელი

მუშავება აშხარაბარის დასამკვიდრებლად, ასევე სახელმძღვანელოების ბეჭდვა აშხარაბარზე.

ამ ყველაფერს ტემპს სძენდა ნერსესიანის სკოლის სტამბა. როგორც ცნობილია, 1817 წელს გეგორგ არწრუნმა ევროპაში მოგზაურობისას იყიდა ამსტერდამში არსებული სომხური სტამბა, ჩამოიტანა თბილისში და შესწირა ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებულ ნერსესიანის სკოლას. სტამბა 1819 წელს უკვე მზად იყო, მაგრამ მხოლოდ 1823 წელს ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც სკოლის მშენებლობა დასრულდა და ლაზარის სემინარიის ინსპექტორი, ჰ. ალამდარიანი ჩაუდგა მას სათავეში. ამავე წელს ნერსესიანის სკოლის სტამბაში უკვე დაიბეჭდა კათალიკოს სიმეონ ერევანცის „საიმპერატორო დღესასწაულთა წიგნი“. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერდა, ნერსესიანის სკოლის სტამბაში ქართული ასოებიც ჰქონდათ. 1829 წ. აქ დაბეჭდეს ნერსე აშტარაკეცის ლოცვების პატარა წიგნი. ზ. ჭიჭინაძის თქმით, ეს წიგნი დაიბეჭდა „საქართველოს სომეხთათვის ქართულის ასოებით, ხოლო სიტყვები კი სომხურად იყო“.

სტამბის უპირველესი ფუნქცია სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა იყო, რასაც წარმატებით ართმევდა თავს. 1825-1828 წლებში ნერსესიანის სკოლისთვის 30 სახელმძღვანელო დაიბეჭდა აშხარაბარზე. სულ მალე აშხარაბარზე ეროვნული პერიოდული გამოცემის აუცილებლობაც შეიქმნა, რომელიც პროგრესსა და თანამედროვე იდეებს ფართო აუდიტორიაში გაიტანდა.

ახლადარჩეული ნერსე კათალიკოსი 1845 წელს თბილისს ეწვია, სადაც მეფისნაცვლის ოფიციალურ მოვალეობას ასრულებდა მ. ვორონცოვი. ცნობილია, რომ ნერსე და ვორონცოვი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბესარაბიაში, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ჯერ კიდევ მაშინ

ბჭობდნენ კავკასიელი ხალხის განათლების აუცილებლობის შესახებ. ნერსე აშტარაკეცის და მ. ვორონცოვის შეხვედრასთან უნდა იყოს დაკავშირებული 1846 წელს თბილისში სომხური გაზეთის, „კოვკასის“ (Կովկաս) დაარსება. გაზეთის პირველ რედაქტორად მეფისნაცვლის სამდივნოს მოხელე ო. კონსტანტინოვი დაინიშნა.

თავისუფლად შეიძლება იმ ვარაუდის დაშვება, რომ ვორონცოვმა სწორედ ნერსეს გავლენით ჩაიფიქრა, რუსული გაზეთის, „კავკაზის“ (Кавказ) სრული ასლის სომხურ ენაზე გამოცემა. სომხური რედაქციის შედგენაც „კავკაზის“ რედაქტორს, ო. კონსტანტინოვს დაევალა. ამ უკანასკნელმა სომხური ენის არცოდნის გამო დასახმარებლად სომეხ პედაგოგ ჰაკობ არზანიანს მიმართა, მან კი, თავის მხრივ, დახმარება სთხოვა ნერსესიანის სკოლის მასწავლებელს ჰაკობ კარენიანს.

„კოვკასის“ პირველი ნომერი 5 იანვარს გამოვიდა. პირველი ნომერი რუსული გამოცემის სომხურენოვანი ასლი იყო, რის გამოც სომეხი რედაქტორები თავს რეალიზებულებად არ თვლიდნენ, ამიტომ 12 იანვარს დაბეჭდეს ახალი ნომერი, რომელსაც დამატებული ჰქონდა ახალი ამბები სომხეთიდან და სალიტერატურო გვერდი, სადაც სომეხი ავტორები და კორესპონდენტები ბეჭდავდნენ საკუთარ ნაწარმოებებს ან თარგმანებს. მ. ვორონცოვმა ახალი ნომერი შეამოწმებინა ნერსესიანის სკოლის ზედამხედველს, მღვდელ ჰოვსეფ ერიციანს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა გავრცელების უფლება. ჰ. ერიციანი „კოვკასის“ ოფიციალური მემბტიანე და მკვლევარი გახდა.

ფაქტია, რომ პირველი სომხური გაზეთი, პირველი „ქართული გაზეთის“ მსგავსად, მეფისნაცვლის კანცელარიას ეკუთვნოდა და მიზნად ისა-

ხავდა საიმპერატორო ბრძანებებისა და პოლიტიკის გავრცელებას, თუმცა „კოვკასის“ რედაქციას, გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა.

გაზეთის გამოცემის საქმეში „კოვკასის“ რედაქტორს და მის სომეხ თანაშემწეებს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისა და სამღვდელოების ხელშეწყობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ პირველ წელს ას ოცდათვრამეტმა გამომწერმა ძლივს დაფარა სტამბის ხარჯები. რუსმა რედაქტორმა, ო. კონსტანტინოვმა გაზეთის დახურვა გადაწყვიტა. ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა გაზეთის შენარჩუნების თხოვნით მიმართეს ო. კონსტანტინოვს და თავის თავზე აიღეს გაზეთის ყველა ხარჯის დაფარვა.

აღებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად და გადასანაწილებლად ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა პირველ რიგში, 1846 წ. 1 სექტემბერს, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელშიც დეტალურად იყო განწერილი თითოეულის მოვალეობა სარედაქციო საქმეში. ზუსტდებოდა ფულადი სახსრების შენახვის, ხარჯის და შემოწირულობის, ნივთების მიკუთვნების და ბეჭდვის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები.

პოლიტიკური ამბების ამორჩევა და თარგმნა ჰ. არზანიანის მოვალეობაში შედიოდა, ხოლო ლიტერატურული მასალის შერჩევა, რედაქტირება და მართლწერა – ჰ. კარენიანის. შეთანხმების დოკუმენტიდან ჩანს, რომ მათ ჰქონდათ სამუშაო სივრცე, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ ყოველდღე შუადღის შემდეგ და მოეძებნათ და მოემზადებინათ მასალები. „კოვკასის“ რედაქტორები თანხმდებოდნენ, რომ სტატიის დასაბეჭდად ორმხრივი მოწონება იყო საჭირო. შეთანხმება უკვე შედგენილი და ორმხრივად ხელმოწერილი იყო, როცა 1846 წელს რედაქტორებს შეუერთდა მღვდელი გაბრიელ პატკანიანი.

ვინაიდან გაზეთის სარედაქციო ინფორმაცია და რედაქტორი მხოლოდ გაზეთის რუსულ დედანზე, „კავკაზზე“ იყო მითითებული, „კოვკასის“ სარედაქციო შემადგენლობის შესახებ მეოცე საუკუნის ბოლომდე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა.

სომხური პერიოდიკის შესწავლის პირველი მცდელობას წარმოადგენს პრესის ისტორიკოსის, ნ. ჰაროს ნაშრომი „სომხური პრესა რუსეთსა და კავკასიაში“, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გამოცემულ პირველ სომხურ გაზეთად „კოვკასს“ მიიჩნევს, რადგან იმ დროს მისთვის უცნობი იყო ბევრი დეტალი და ასევე 1816 წელს ასტრახანში გამოცემული სომხური გაზეთ „არველიან ნანუცმუნქის“ [„ადმოსავლეთის ცნობები“] 27 ნომერი. ამის გამო „კოვკასის“ ჰაროსეული დათარიღება



ნერსი ახატარაკიანი



გაბრიელ პატკანიანი

და სარედაქციო შემადგენლობაც არასწორია. თუმცა მისი, როგორც პირველი მკვლევარის წვლილი „კოვკასის“ ისტორიის შესწავლაში უდავოდ დიდია.

გაზეთ „კოვკასის“ რედაქტორებად ნ. ჰარო მიჩნევადა ჰ. კარენიანს და მიქაელ პატკანიანს. ეს შეცდომა 1882 წ. გაიმეორა ალ. ერიციანმა და შემდეგ ყველა მეცნიერმა, ვინც ამ ორი ავტორიტეტული მკვლევარის ცნობებს ეყრდნობოდა.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ჰაროს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა იყო გ. ლევონიანი, რომელმაც 1934 წ. გამოცემულ თავის ბიბლიოგრაფიულ სიაში მიუთითა სამი რედაქტორის გვარი: ჰაკობ კარენიანი, მიქაელ პატკანიანი, მოგვიანებით ჰაკობ არზანიანი. ამ ავტორიტეტული მკვლევარის აზრი სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს და ასევე შევიდა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგებში.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი თანამედროვე მემბტიანის, ჰ. ერიციანის ინფორმაციით პირველი რედაქტორები იყვნენ ჰ. არზანიანი და ჰ. კარენიანი (და არა ჰაკობ კარენიანი და მიქაელ პატკანიანი, როგორც მანამდე მიიჩნევდნენ მკვლევარები). სწორედ ისინი ეახლნენ ო. კონსტანტინოვს და სთხოვეს, არ დაეხურა გაზეთი „კოვკასი“. მიქაელ პატკანიანის შესახებ კი დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარედაქციო მოღვაწეობით ის არ არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მიქაელ პატკანიანი, როგორც მთარგმნელი და ავტორი, აქტიურად თანამშრომლობდა როგორც გაზეთ „კოვკასთან“, ასევე „კავკაზთან“, გაზეთ „კოვკასის“ მესამე რედაქტორი იყო გაბრიელ პატკანიანი, რომელმაც გაზეთ „კოვკასის“ დახურვის შემდეგ სარედაქციო მოღვაწეობა გააგრძელა და 1850 წელს გამოსცა გაზეთი „არარატი“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ იხელმძღვანელა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემებით. შესაბამისად, კატალოგებში „კოვკასის“ რედაქტორად შევიდა მ. პატკანიანი. დღეისთვის ეს ინფორმაცია გასწორდა და გამოსაცემად მომზადებულ „საქართველოს სომხური პერიოდული პრესისა და სომხური წიგნის ბიბლიოგრაფიაში“ რედაქტორად მითითებულია გაბრიელ პატკანიანი.


საკამათო იყო ასევე „კოვკასის“ გამოცემის თარიღი: ნ. ჰარო გამოცემის დაწყების თარიღად 1847 წელს მიიჩნევადა, შეწყვეტის – 1848 წელს. გ. ზარბანალიანი გაზეთის არსებობის შეწყვეტას უკავშირებს 1848 წელს რუსეთში ცენზურის გამკაცრებას. დღეს უკვე ზუსტად ვიცით, რომ „კავკაზის“ გამოცემა 1846 წლის 5 იანვარს დაიწყო, ხოლო სომხური ასლის პირველი ნომერი 14 (26) იანვარს დაიბეჭდა ნერსესიანის სკოლის სტამბა-

ში. გაზეთი გამოდიოდა შაბათობით, მისი ღირებულება იყო 7 რუბლი თბილისში, 7.50 ვერცხლის მანეთი – ქალაქგარეთ. გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა „კავკაზის“ რედაქტორი ო. კონსტანტინოვი. 1847 წელს გაზეთის მუქი სათაური შეიცვალა მუქ ფონზე ამოყვანილი ყვავილოვანი შრიფტით. პირველ წელს გამომწერთა რიცხვი 138 იყო, მეორე წელს – 192.

ჩვენი სტატიის მიზანი არ არის ამ გაზეთების დეტალური შედარება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სომხურენოვანი „კოვკასი“ სტრუქტურულად სრული ასლი იყო „კავკაზისა“: ნუმერაცია, ფასი, გამოსვლის დღე. რუბრიკები განლაგებულია იდენტურად (სათაურები, ქვესათაურები), საიმპერატორო ბრძანებები, საშინაო და საგარეო ამბები, ისტორიული, გეოგრაფიული, სალიტერატურო და სხვა განყოფილებები. წარმოდგენილი იყო იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, კავკასიის მთიელების წინააღმდეგ წარმოებული ომები, სომეხი საზოგადოების ცხოვრების ამსახველი მასალა. თუმცა ამ ყველაფრის გარდა, სომხურ გაზეთს ჰქონდა საკუთარი მისია – უნდა გაეტარებინა ეროვნული ინტერესი. ეს არ ეწერა მის სამოქმედო პროგრამაში, მაგრამ გაზეთის მოღვაწეობის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ამ ორი გაზეთის შინაარსს, რუსული გაზეთიდან იბეჭდებოდა ოფიციალური პოლიტიკური ამბები და მისი განხილვა-ანალიზი. ამ სახის სტატიები იბეჭდებოდა ძირითადად პირველ გვერდზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „კავკაზში“ დაბეჭდილი სომხური მასალა, ძირითადად „კოვკასიდან“ ითარგმნებოდა და სომხეთში მიმდინარე მოვლენებს ან ხელოვნების სფეროს ეხებოდა. ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გაზეთები ორმხრივად ცვლიდნენ მასალას. ამ გარემოებას კარგად იყენებდნენ სომეხი მოღვაწეები და რუსულენოვან მკითხველს აცნობდნენ თავის კულტურას.

„კოვკასში“ დაბეჭდილი სტატიების მცირე ჩამონათვალიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გაზეთის მესვეურთა მიზნებზე. გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა მელქო ლომიძის სტატია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ნერსე აშტარაკელის დეკემბრის ვიზიტი თბილისში; დორპატის უნივერსიტეტის პროფესორის, კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის სამთო საქმის მთავარი მოხელის, ჰერმან აბიხის ვრცელი სტატია „ასვლა არარატის მთის მწვერვალზე“ ერთდროულად დაიბეჭდა ორივე ენაზე; „კავკაზის“ რედაქციამ „Санкт-Петербургские ведомости“-დან



კოვკასი, 1847

გადმობეჭდა მარი ბროსეს ორი სტატია, რომელიც იმავდროულად ითარგმნა და დაიბეჭდა „კოვკასში“. პირველი სტატია – „სომხური მწერლობა“ ეძღვნებოდა მხითარინთა ძმობის მოღვაწეობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰოვანეს ხოსროვიანის სერიოზული გამოკვლევა „ქრისტიანობის ნაშთები ჩერქეზ სომხებში“, რომელიც, ჰ. ერიციანის მიხედვით, კონსტანტინოვს სათარგმნად მიუცია მიქაელ პატკანიანისთვის „კავკაზში“ დასაბეჭდად. ამ სტატიის თარგმანის გამო მ. ვორონცოვმა პატკანიანი დააჯილდოვა 50 რუბლით, ხოლო ავტორს იმპერატორისგან მიეცა გასამრჯელო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „კოვკასის“ სომხური რედაქცია ცდილობდა გაეშუქებინა ისეთი საკითხებიც, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ქართული საზოგადოებისათვის, მაგალითად სტატია ერეკლე მეორის მიერ სტამბის დაარსების შესახებ, ინფორმაცია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეორემეტის შესახებ და სხვა.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი მემატრიანე ჰ. ერიციანი ცდილობდა აღედგინა გაზეთის რედაქციის თანამშრომლების სია, კორესპონდენტების რაოდენობა და რედაქტორების მოღვაწეობა. „კოვკასთან“ თანამშრომლობდა 6 ვარდაპეტი, 9 მღვდელი და ეპისკოპოსი, 6 მასწავლებელი, ნერსესიანის სკოლის 7 და ლაზარიალის სემინარიის 4 მოსწავლე, 1 სამხედრო, 6 პოლიტიკური ფიგურა, 6 მოქალა-

ქე. მათი რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენდა 45 თანამშრომელს. მათი სახელების ჩამოთვლა დღევანდელ სტატიაში შორს წაგვიყვანს. მნიშვნელოვანი იქნება მხოლოდ რუსეთის სომხურ ქალაქებში მცხოვრები კორესპონდენტების ჩამოთვლა, რადგან კორესპონდენტები, ამავე დროს, გაზეთებსაც ავრცელებდნენ თავიანთ ქალაქებში: მოსკოვში – მკრტიჩ ემინი, სანკტ-პეტერბურგში – ალაფონ აქიმიანი, ბაქოში – დავით როსტომიანი, ერევანში – არსენ გელამიანი, სიმფეროპოლში – სარგის ტიგრანიანი, ყიზლარი – გასპარ ლომიძე, შამახში – მოვსეს ზოჰრაპიანი, კიშინიოვში – ექიმი არტემ ჰოვანესიანი. ცალკე უნდა აღინიშნოს ალექსანდროპოლში ჰოვ. ტიგრანიანის ღვანლი, რომელმაც 1847 წლის 11 ახალი ხელმოწერის სია გამოგზავნა წერილთან ერთად. ასევე, თბილისის საპატიო მოქალაქე გაბრიელ თამამიანი, რომელმაც კოვკასის 16 ეგზემპლარი გამოწერა სომხური სკოლებისთვის.

ამგვარად, იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხებისთვის „კოვკასის“ გამოცემა იყო რუსეთის ინტერესებს ამოფარებული ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სათავე დაუდო არა მხოლოდ სომხური პერიოდიკის ისტორიას, არამედ ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს, როგორც არის ეროვნული განათლება და ახალი სალიტერატურო ენის ფორმირება.



რუსუდან კობახიძე

ქართული ემიგრაციის
მუზეუმის ხელმძღვანელი

„...ლევინი პარიზთან ახლომდებარე დაბაა, რომელიც ფრანგულ საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ XII საუკუნის დამლევინიდან ლუნვილად იხსენიება. XV საუკუნიდან იგი უკვე ლევილად იწოდება და ოლივიერთა სამარკიზოს წარმოადგენს. შემდეგ იგი მარკიზოროიომის ხელში გადავიდა, რომელმაც მამული მიჰყიდა ნოაის კომტს, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კომუნა გახდა. მესამე რესპუბლიკის დროს, 1884 წლის 5 აპრილს გამოცემული კანონის ძალით ლევილის

ლევილის ქართული მამული - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიული ნავსაყუდელი 100 წლისაა

გამგებელი გახდა კომუნის მუნიციპალიტეტი. ლევილის შატო მიწის იმ ნაკვეთზეა, ახლა რომ პარკს ეძახიან, საუკუნოვანი ცაცხვის ხეივნებით, ბალ-ბოსტნებითაა დაფარული და ადრინდელი გალავანი აკრავს. შატო საკმაოდ ძველი და დიდი შენობაა (ორი სართული მანსარდით), ლუი მეცამეტისდროინდელი სტილისაა. სწორედ ეს გალავნიანი პარკი და შატოა დღეს ლევილის ქართული მამული“ – ასე აღწერს საფრანგეთის ამ პატარა დაბას ლევან ფალავა (ლევილობა: [კრებული]. – ლევილი, 1987. – გვ. 6-7).

ლევილის ქართული მამულის ისტორია 1922 წლიდან იწყება. დევნილობაში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ გადამწყვიტა ეყიდა პატარა მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ საქართველოს სა-



ბანია
ჩხიკვიშვილი



ნიკოლოზ
ჯაყალი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამიერასიაში - მარცხნიდან - კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ჟორდანი, კონსტანტინე საბახტარაშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, ევგენი ბაგაჭკორი, ევთიმე თაყაიშვილი, ნოე რამიშვილი, იოსებ ბობაჩია, სამსონ ფირცხალავა, გიორგი გვაჩავა, შალვა ამირაჯიბი, აკაკი ჩხენკალი

კუთრებად დარჩებოდა. 1922 წლის 24 ივნისს, ნიკოლოზ ჯაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე შეიძინეს მამული, რომელსაც დღეს ლევილის „ქართული კერა“ ეწოდება.

ლევილის არქივში დაცულია 1922 წლის 2 ივნისს შედგენილი ოქმი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი მამულის ადგილმდებარეობა, კარ-მიდამო, საცხოვრებელი სახლი – „შატო“, სხვა შენობა-ნაგებობები... მისი შეძენის პირობები. დოკუმენტს ხელს აწერენ: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე საბახტარაშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე კანდელაკი. მეორე დოკუმენტი 1922 წლის 24 ივნისსაა შედგენილი და ლევილის მამულის მფლობელებად ნიკოლოზ ჯაყელისა და ბენია ჩხიკვიშვილის გაფორმების ხელწერილს წარმოადგენს. ხელწერილის პირველივე პუნქტში აღნიშნულია: „...მამული, რომელიც შეძენილია ჩვენ ორის სახელზე კომუნა ლოვილში. დეპარტამენტი სენ-უაზი საფრანგეთში და აღნიშნულია ნოტარიულ აკტში, შედგენილში ქ. მონლერიში, ნოტარიუს პოპლენის მიერ, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს“. დოკუმენტს ხელს აწერენ ნიკოლოზ ჯაყელი და ბენია ჩხიკვიშვილი.

1922 წლის 26 ივნისს შეკრებილან საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრები. „მონიშნეს: ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის მოხსენება, რომ 24 ივნისს ლევილის მამულის ნასყიდობა ხელმოწერილია ნიკ. ჯაყელის და ბენ. ჩხიკვიშვილის მიერ, რომელთაც ჩამოერთვა შინაური საბუთები მთავრობის სახელზე. ...მიენდოს მამულის კომისიას, რათა საბუთების ნოტარიუსიდან მიღების შემდეგ ოფიციალური საბუთებიც იქმნას შედგენილი მამულის მთავრობის საკუთრებად უზრუნველყოფისათვის“. დადგენილებაში მითითებულია ლევილის მამულისა და „შატოს“ კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხები და მამულით სარგებლობის წესები.

მას შემდეგ, რაც ლევილის მამულის ერთ-ერთი მესაკუთრე ბენია ჩხიკვიშვილი საქართველოში ჩამოვიდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის და იგი დახვრიტეს, მთავრობა იძულებული გამხდარა მოენახა მამულის მმართველობის ახალი სისტემა – 1928 წელს შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა) წარმომადგენლების შვიდწევრიანი კომისია – საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, საფრანგეთში საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის, საქართველოს შინაგან საქმეთა



კაკლე სარჯველაძე



ნოე ცინცაძე



ნანატია ბარძანიშვილი
ბობუაძისა

მინისტრის ნოე რამიშვილის, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, ეროვნულ-დემოკრატიის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის სამსონ ფირცხალავას და საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის შემადგენლობით, რომელთაც 1928 წლის 30 აპრილს, პარიზში დაწერეს ხუთპუნქტიანი ერთობლივი ანდერძი:

„ოც და ათი აპრილი ათას ცხრაას ოცდარვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი – ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ

1. მამული, მდებარე სოფ. ლევილში (Leuville/sorge) საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში და ცნობილი სახელწოდებით „Chateau de Leuville“ („ლევილის შატო“), რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს, 1927 წ. საზოგადოების „Foyer Georgoen“-ის („ქართული კერის“) მიერ, რომლის წევრი ვართ ჩვენ, ზემოთ აღნიშნულნი პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს“...

ამ ხელწერილის დადებიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოქმნილა მამულის იურიდიულ მესაკუთრეობაზე, რის გამოც საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას 1945 წლის 6 მაისს მთავრობის წევრებისათვის – ევგენი გეგეჭკორის, კონსტანტინე კანდელაკისა და აკაკი ჩხენკელისათვის წერილით მიუმართავს ლევილიდან. ლევილის მამული ისევ კერძო საკუთრებად დარჩა.

1976 წლის 15 ივნისს კვლავ შეკრებილა ლევილის ქართული მამულის შემდგომი ბედის გამოსარკვევად იქაური საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა სხდომის ოქმში აღნიშნულია: „1976 წლის 15 ივნისს შედგა სოფელ ლევილის ქართული მამულის „სოსიეტესა“ და ასოციაციის ადმინისტრაციის შეერთებული სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი ნოე ცინცაძე, ასოციაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ქალბატონი ნამეტია გოგუაძისა, „ქართული კერის“ წევრები: ქალბატონი ნუცა რამიშვილი, ბატონები ნიკო ურუშაძე, ლევან ფალავა, ირაკლი ჯაფარიძე და ადმინისტრაციის წევრები: ბატონები გიორგი ნოზაძე, ვიქტორ ხომერიკი და მამია ბერიშვილი“.

ასოციაციის სხდომის დღის წესრიგში „ქართული კერის“ გამგე პავლე სარჯველაძე ახსენებს სხდომას საქართველოს ეროვნული მთავრობის პრეზიდენტის მიერ დატოვებულ

საბუთებს, რომელიც ადასტურებს, რომ მამული შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის ფულით და ის წარმოადგენს საქართველოს ქონებას. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ ნოე ყორდანია, ნოე რამიშვილი, კონსტანტინე კანდელაკი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სამსონ ფირცხალავა. ამ დოკუმენტის კიდევ ერთხელ გაცნობის შემდეგ კრება ერთხმად ადგენს:

1. მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა ზემოხსენებულ პირთა ანდერძი შესრულებულ იქნას;

2. ამისათვის გამოინახოს ისეთი იურიდიული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მამულზედ ერის უფლებას.

დოკუმენტს ხელს აწერდნენ: საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი: ნოე ცინცაძე; „კერის“ ასოციაციის თავმჯდომარე: ნამეტია გოგუაძისა; „ქართული კერის“ სოსიეტეს წევრები: ნიკო ურუშაძე, ირაკლი ჯაფარიძე, ლევან ფაღავა, ნუცა რამიშვილი; „ქართული კერის“ ასოციაციის გამგეობის წევრები: ვიქტორ ხომერიკი, გიორგი ნოზაძე, მამია ბერიშვილი; „ქართული კერის“ გამგე: პავლე სარჯველაძე“.

გურამ შარაძე ლევილს პირველად 1987 წელს ეწვია და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ უნდა ჩასულიყო საგანგებო სამეცნიერო მივლინებით, რათა შეესწავლა ლევილში დარჩენილი ეროვნული არქივის პარიზული ნაწილი და ლევილის მამულის საქართველოსათვის გადაცემის სამართლებრივი პროცესები. 1989 წლის შემოდგომაზე ზუსტად ერთი თვე იმუშავა მან ლევილში დაცულ არქივზე, გაიცნო ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები, დევნილი მთავრობის წევრთა შთამომავლები, მაგრამ მამულის ბედი კვლავ გაურკვეველი რჩებოდა. პირველ რიგში, საჭირო იყო ზემოთ მოტანილი ანდერძის ახალი ვადით გაგრძელება, რისთვისაც მამულის გამგეობას აკლდა ანდერძის ხელმოწერის, ან განსვენებულ კონსტანტინე კანდელაკის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სამსონ ფირცხალავას მემკვიდრეთა თანხმობა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ როგორც ვიცით, კ. კანდელაკს, ე. თაყაიშვილსა და ს. ფირცხალავას პირდაპირი შთამომავლობა არ დარჩენიათ. ამიტომ ლევილის ქართული მამულის გამგე-

ობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მამია ბერიშვილმა სთხოვა ბ-ნ გ. შარაძეს, როგორმე საქართველოში ეპოვა მათი უახლოესი მემკვიდრეები ძმისშვილების სახით. საბედნიეროდ, ბ-ნი გურამი მათ იცნობდა. კონსტანტინე კანდელაკის უმცროსი ძმის, ცნობილი ტროპიკოლოგის სიმონის ასული გახლდათ დოცენტი ნატალია კანდელაკი (პროფ. ლევან ავალიანის მეუღლე), ექვთიმე თაყაიშვილის პირდაპირი შთამომავალია ძმის მხრიდან ნუნუ თაყაიშვილი, ხოლო სამსონ ფირცხალავას ძმისწულია ქართული წიგნის ამაგდარი დარეჯან ბენიამინის ასული ფირცხალავა (მწერალ ილია რურუას მეუღლე). როცა მათ გაიგეს ლევილის მამულის გასაჭირი, უყოყმანოდ თბილისის სანოტარო კანტორაში გააფორმეს თანხმობა ანდერძის გაგრძელების თაობაზე და გაატანეს ბ-ნ გურამს მამია ბერიშვილისათვის გადასაცემად, რათა ამ უკანასკნელს წარედგინა ის ფრანგი ნოტარიუსისათვის. მართლაც ამ იურიდიულმა დოკუმენტებმა გაჭრეს და ბ-ნი მამია ბერიშვილს დიდი სამსახური გაუწიეს ლევილის მამულის საქართველოსთვის დასაბრუნებლად.

ლევილის ქართული მამულის მომავალზე დიდი როლი უნდა ეთამაშა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ზვიად გამსახურდიას წერილს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანისადმი, რომელიც ბ-ნმა გურამ შარაძემ გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტს. წერილში ეწერა:

„საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს

ბატონო პრეზიდენტო!


1921 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველო ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართულმა მთავრობამ თავშესაფარად საფრანგეთი აირჩია, რომელმაც თავის მხრივ ფართოდ გაუღო გული და კარი. 1922 წელს საქართველოს მთავრობამ შეიძინა პატარა მამული ლევილში (სენისა და უაზის დეპარტამენტი) პარიზთან ახლოს, სადაც აგრეთვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, ლევილის მუნიციპალური სასაფლაოს გვერდით, და იქ, ამჟამად განისვენებენ ქართველთა ნეშტები.

დღეს, როდესაც საქართველო იბრძვის თავისუფლებისათვის და არჩეული ვარ პრეზიდენტად, მე გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობა და დაიცვათ მამულის ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, როგორც ქართველთა ისტორიული ნავსაყუდელისა საფრანგეთში. იგი მომავალში ჩვენი ერების დაახლოების კერა უნდა გახდეს. მივესალმები საფრანგეთს და მის მარადჟამ სტუმართმოყვარე მინა-წყალს, გამოვთქვამ იმედს, რომ ის კვლავ დაუჭერს მხარს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობასა და კავშირს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია
1991 წლის 26 ივნისი.**

საქართველოს პრეზიდენტის წერილის გადაცემისას ელისეს სასახლეში ბ-ნ გურამ შარაძეს თან ახლდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის ქალიშვილი ნუცა რამიშვილი. გურამ შარაძე ქართველ ემიგრანტებთან მოლაპარაკებებს მართავდა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის და არქივის დაბრუნების საკითხზე. არქივის საკითხზე ძირითადად მოლაპარაკებებს მართავდა არქივის სამთავრობო კომისიის ორ წევრთან – ბ-ნ მამია ბერიშვილთან და ბ-ნ კარლო ინასარიძესთან. 1991 წლის 11 ივლისს შეთანხმება შედგა, სადაც აღნიშნული იყო, რომ არქივი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: 1. ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული (მთავარი ნაწილი); 2. ლევილის არქივი (მცირე ნაწილი); 3. ნოტარიუსთან შენახული არქივ-დოკუმენტები; 4. გაბნეული არქივები. მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ეროვნული არქივის ყველა ნაწილი არის საქართველოს საკუთრება და უნდა გადაეცეს საქართველოს რაც შეიძლება მოკლე ხანში, თუ გარანტირებული იქნება შესაბამისი პირობები არქივის საქართველოში გადატანისა და შენახვისათვის.

არქივების საკითხი შედარებით ადვილი მოსაგვარებელი იყო. გაცილებით რთული იყო ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხი, თუმცა დამოუკიდებელი საქართველოს დევნილობაში მყოფი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი 1928



ზვიად გამსახურდია

წლის 30 აპრილით დათარიღებული ანდერძი მყარ იურიდიულ საფუძველს ქმნიდა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოსაცემად. როგორც ბ-ნი გურამ შარაძე წერს თავის წიგნში „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“ (თბ., 1998 წ.): „პირველ რიგში საჭირო იყო ზემოთმოტანილი ანდერძის ახალი ვადით გაგრძელება“.

გარდა ლევილის მამულის საქმისა, გრძელდებოდა მოლაპარაკებები ეროვნული არქივის დაბრუნებაზე. 1992 წელს საქართველოში მომხდარმა ცნობილმა მოვლევებმა სხვა პრობლემებთან ერთად ლევილის მამულისა და ეროვნული არქივის საკითხების მოგვარება შეაფერხა, თუმცა, ეს საკითხები მაინც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძის 1993 წლის 30 იანვრის №23 განკარგულებით იუსტიციის მაშინდელი მინისტრის კ. კემულარიას თავმჯდომარეობით შეიქმნა საზღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უძრავ-მოდრავი ქონების, არქივის დადგენისა და მიღების საკითხების შემსწავ-

ლელი სახელმწიფო კომისია, რომლის წევრად მინვეული იყო გურამ შარაძე.

1993 წლის ივნისის ბოლოს, იუნესკოში საქართველოს განევრინებასთან დაკავშირებით, პარიზში ჩავიდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია (მასში გურამ შარაძეც შედიოდა), რომელმაც იმავე წლის 7 ივლისს დაბა ლევილში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან და ლევილის ქართული მამულის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების საფუძველზე გააფორმა შეთანხმება-კომუნიკე.

ამ დოკუმენტის მიხედვით, შეთანხმების ტექსტის ხელისმომწერნი ადასტურებენ 1928 წლის 30 აპრილს შედგენილი ანდერძის პირობებს, რომლის მიხედვითაც ლევილის მამული არის ნაყიდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ და ეკუთვნის საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. 1958 წელს საზოგადოების კრების გადაწყვეტილებით ლევილის მამული გადაეცემოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამასთან, უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური სტაბილიზაცია: სრული დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებების დაცვა, აგრეთვე, ლევილის მამული უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს ელჩის საზაფხულო რეზიდენციად.

დოკუმენტს ლევილის მამულის გამგეობის სახელით ხელს აწერდნენ აკაკი რამიშვილი და ნათელა ჟორდანიანი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სახელით – კოტე კემულარია, გურამ მუჩაიძე და რეზო ჩხეიძე.


1996-1997 წლებში გურამ შარაძემ ლევილიდან და ჰარვარდიდან საქართველოში ჩამოიტანა ეროვნული არქივები. ლევილის მამულის საკითხი მუდმივად იდგა დღის წესრიგში, თუმცა დასასრული არ ჩანდა. 1993 წელს ცნობილი ემიგრანტი, ეროვნული არქივის სამთავრობო კომისიის წევრი კარლო ინასარიძე ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ წერდა: „ჩვენი ნმიდათანმიდა მოვალეობაა ამ ქართული კერის არა მარტო მოვლა-პატრონობა, არამედ, ამასთანავე, მიზანდასახული მოქმედება, რომ ლევილის ქართული მამული გადავიდეს საქართველოს, ქართველი ხალხის საკუთრებაში, რომ იგი საუკუნეების შემდეგაც, დარჩეს ქართველთა, განსაკუთრებით, სტუდენტთა ერთერთ ცენტრად უცხოეთში, რაც იმავე დროს,

ფრანგი და ქართველი ერების ერთ-ერთი მეგობრობის სიმბოლოც იქნება“.

მიუხედავად ასეთი წინგადადგმული ნაბიჯებისა, საქმე მაინც ადგილიდან არ იძვროდა...

ლევილის ქართული მამულის საქართველოსთვის გადმოცემაზე ზრუნვა განახლდა 2016 წლიდან და 2016 წლის 23 სექტემბერს დაგვირგვინდა ლევილის ქართული მამულის საქართველოსთვის გადმოცემით. ლევილის ქართულ მამულში გაიმართა გადმოცემის აქტზე ხელმონერა. საქართველოს მთავრობის მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ. მეორე მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლებმა. ხელმონერის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე.

ასე დასრულდა ლევილის ქართული მამულის ისტორიის პირველი 100-წლეული, რომელიც სავსე იყო ლევილსა თუ ლევილს გარეთ მყოფი ქართველების პოლიტიკური ვნებათაღელვებითა და პირადი ადამიანური განცდებით, იმედებითა და იმედგაცრუებებით, სამშობლოს ტკივილის უსაზღვრო შეგრძნებით. დღეს ეს მამული საქართველოს საკუთრებაა და მისი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ვალდებულებაა.



ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა 1928 წლის 30 აპრილის ანდერძი



თომა ლიპარტიანი

მონოგრაფია სოფელ უდესა და მის ეკლესიაზე

ლებინა: გამოეკვლია სოფელ უდეს ძველი და ახალი ისტორია; შეეგროვებინა იმ მოცულობის დოკუმენტაცია, რომლის შეგროვება მარტივად ვერ მოხერხდებოდა; ეტვირთა ყურნალისტი კორესპონდენტის როლი და გამოეკითხა არა ერთი და ორი რესპონდენტი, რათა ნაშრომი სრულყოფილი გამოსულიყო და სიმართლე დადგენილიყო. აღნიშნული მოტივი, ვფიქრობ, საქართველოს ყველა წიგნიერი მოქალაქისათვის ამთავითვე გასაგები და დამაფიქრებელი უნდა იყოს. ამ მოტივს პირადად მეც ბევრჯერ დაუფიქრებია. ამიტომ მინდა აქაც გამოვხატო ჩემი პირადი ფიქრები და განცდები:

გამომცემლობა „უნივერსალმა“ 2021 წელს მრავალმხრივ საინტერესო წიგნი გამოსცა. ჩვენ წინაშეა ფილოლოგიის დოქტორისა და ეკლესიის ისტორიის პროფესორის ნუგზარ პაპუაშვილის მონოგრაფია „უდე და მისი ეკლესია“. მისი რედაქტორი და წინასიტყვის ავტორია დიდად ცნობილი და დაფასებული მეცნიერი, ემერიტუს პროფესორი, ბ-ნი ზურაბ კიკნაძე. რეცენზენტები არიან ისტორიულ მეცნიერებათა პროფესორები ირმა ტალახაძე და გურამ კუტალაძე. დიზაინი და დაკაბადონება, რომელიც მიმზიდველია და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ეკუთვნის მამა აკაკი ჭელიძეს.

საქართველოს კათოლიკეთა ხუთი ისტორიული ეკლესია დღეს საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. ხუთთაგან ერთ-ერთია უდის ეკლესია, სამხრეთ საქართველოში. სწორედ ამ სოფლისა და მისი ეკლესიის ტრაგედიას აღგვინერს განსახილველი მონოგრაფია. აღსანიშნავია, რომ ეს, ამავე ავტორის მიერ ამ თემაზე დაწერილი, უკვე მესამე წიგნია. ჯერ დაინერა ნაშრომი ივლიტაზე (მღვდელ გაბრიელ ბრატანტინთან ერთად), შემდეგ დაინერა ასევე საყურადღებო მონოგრაფია გორის კათოლიკურ ეკლესიაზე. ორივე წიგნის მთავარი სათქმელი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ეკლესიები ისტორიული თვალსაზრისით კათოლიკური ეკლესიები და მათი იურიდიული მესაკუთრე მხოლოდ კათოლიკე ეკლესიაა. სამწუხაროა, რომ ასეთი პუბლიკაციების მიუხედავად პრობლემა პრობლემად რჩება და სამართლის აღდგენის მხრივ არაფერი იცვლება. ვფიქრობ, რომ ეს ნაშრომი ორ დასახელებულ ნაშრომთან შედარებით გაცილებით მეტ არგუმენტაციასა და საფუძვლიანობას შეიცავს. იგულისხმება დოკუმენტების დიდი მარაგი, რომელიც არავითარ ეჭვს არ გვიტოვებს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ეკლესია დაუფუძნებული და ამენებულია კათოლიკეთა მიერ და იურიდიული თვალსაზრისით მისი ერთადერთი მესაკუთრე კათოლიკე ეკლესიაა. ამ აზრით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ავტორის სიტყვები, რომელსაც ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად გამოტანილი

მონოგრაფია გამოცემულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ეგიდით, რაც თავის მხრივ იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ეს ნაშრომი აკადემიური ხასიათისაა და დაფუძნებულია სარწმუნო და დამაჯერებელ წყაროებზე. ამ თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას პროფესორ ზურაბ კიკნაძის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ეს ნაშრომი ემყარება როგორც წერილობით დოკუმენტებს, ისე ზეპირსიტყვიერ მასალას. ეს ნამდვილად ასეა. საკმარისია თვალი გადავაავლოთ ნაშრომს, რათა დავრწმუნდეთ: ავტორი უხვად სარგებლობს არა მარტო ძველ პრესასა და ერთჯერად გამოცემებში დადასტურებული ინფორმაციებით, არამედ საარქივო მასალებითაც და, ასევე, უშუალოდ მის მიერ საველე სამუშაოს შედეგად მოძიებული ზეპირგადმოცემებით.


ცხადია, მთავარი და არსებითია ის მოტივი და მიზანი, რამაც ავტორი აიძულა, რომ ესოდენ დიდი და შრომატევადი სამუშაო შეესრუ-

დასკვნის მნიშვნელობა აქვს: „ისტორიის იმ მონაკვეთში, რასაც თანამედროვე მკვლევრის თვალთახედვა სწვდება, ამ სოფლის ქრისტიანთა თემი მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკე ეკლესიით არის წარმოდგენილი; მართლმადიდებელი ეკლესია აქ არ ჩანს“.

აღნიშნული დებულება ნაშრომში ერთობ დამაჯერებლად გამოიყურება: არსაიდან არ ჩანს, რომ უდის ეკლესია ოდესმე მართლმადიდებელი ეკლესია ყოფილიყოს. ამის გამო გაკვირვებას იწვევს იმ კატეგორიის მეცნიერების არსებობა, რომლებიც ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუფჯდეთ, გაამართლონ მართლმადიდებლების მიერ ჩადენილი უსამართლობა: კათოლიკური წარმომავლობის ეკლესიების მითვისება.

ამ წიგნში მკითხველი უამრავ ისტორიულ დოკუმენტს იპოვის აღნიშნული ეკლესიის თავგადასავლის თაობაზე და ადვილად გამოიტანს დასკვნას, რომ ეს ეკლესია წარმოშობით და ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდით კათოლიკურია.

წიგნს ახლავს დანართი, რომელშიც წარმოდგენილია ორი შთამბეჭდავი მასალა. პირველი არის დოკუმენტი „ერთი ძველი კორესპოდენცია: 107 წლის ქალბატონი და ასპინძის ომის მონაწილე მისი 124 წლის მეუღლე უდეში“. ეს კორესპოდენცია, რომელიც უდის წარსულსა და თანამედროვეობას ეხება, გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“ 1889 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელი ქართული პრესა და განსაკუთრებით აღნიშნული გაზეთის რედაქტორი, საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე, სოფელ უდეს დიდ ყურადღებას აქცევდა და მის ისტორიას საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებდა. ამავე დანართის მეორე მასალიდან ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ქართველი კათოლიკეების შთამბეჭდავი ღვაწლი ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული აღმშენებლობის საქმეში. აქ წარმოდგენილია ინტერვიუ საქართველოს ერთ-ერთ უხუცეს კათოლიკესთან, დამსახურებულ ექიმ შალვა ჩხენკელთან. ინტერვიუში ლაპარაკია ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის კათოლიკურ ეკლესიებზე, რომლებთანაც დაკავშირებულია მისი და მისი ძმის – ცნობილი ლიტერატორის თამაზ ჩხენკელის ბავშვობა. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ცნობილი კათოლიკე მღვდლის დონ გაბრიელ




უდე და მისი ეკლესია

ნუგზარ პაპუაშვილი

ასლანიშვილისა და მისი ძმისშვილის, დიდი სწავლულის, ექიმისა და სპორტსმენის იოსებ ასლანიშვილის სახეები. არაერთი მკითხველი ამ სახეებს ალბათ პირველად გაეცნობა.

მონოგრაფია 384 გვერდს მოიცავს. ის მთავრდება ე.წ. თანმხლები სიტყვით: მღვდელ გაბრიელ ბრაგანტინის სტატიით – რამდენიმე მოსაზრება ნაშრომზე „უდე და მისი ეკლესია“ (ქართულ და იტალიურ ენებზე). მასში წარმოდგენილია გულისტკივილი, რომელიც ნებისმიერ კათოლიკეს დაეუფლება იმის გამო, რომ კათოლიკური წარმოშობის ეკლესიების მიმართ საქართველოს უახლეს ისტორიაში განხორციელდა უსამართლობა. კიდევ უფრო დასანანი და გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ეს უსამართლობა მართლმადიდებლობის სახელით განხორციელდა. იმედს ვიტოვებთ, რომ განხილული წიგნის ნებისმიერი მკითხველი ჭეშმარიტებაში ადვილად გაერკვევა და სამართლებრივ დასკვნებს გამოიტანს.

ასეა თუ ისე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხილული გამოცემის სახით ქართული წიგნის ისტორიას კიდევ ერთი თვალსაჩინო ფურცელი შეემატა.



ლევან თაქთაიშვილი

მახსოვს, 1996 წელი იყო; ჟურნალ „არტანუჯის“ პირველი ნომერი გამოსცა ბუბა კუდავამ; ავტორაფით მაჩუქა. სოფელში მივდიოდი და თან წავიღე. არ დამავიწყდება ამ ნომერში დაბეჭდილი პაპუნა წერეთლის მოგონებები: როგორ პოულობდა ხელნაწერებს, ძველ ფოტოებს, ნახატებს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩემს ცხოვრებაში თუ იქნებოდა ნუთები, როდესაც მოვიძიებდი ისეთ რარიტეტებს, ცხონებულ პაპუნასაც რომ გაუკვირდებოდა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მას ფული ყოველთვის ჰქონდა ჯიბეში, მე კი თითქმის არასოდეს; უნდა გავქცეულიყავი ხოლმე მის სასესხებლად. ამიტომ მისწრებაა ჩემთვის გადაყრილი მაკულატურის ქექვა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ერთ ასეთ ამბავს ახლა მოგიხსრობთ:

1999 წელია. ბიბლიოთეკიდან გამოვედი და მესამე კორპუსის წინ ვდგავარ. სახლში უნდა წავიდე. ყოველთვის კინოთეატრ „რუსთაველთან“ ავდიოდი და ჰაიდა ტაქსით! იმ საღამოს კი გადავწყვიტე, ქაშვეთიდან ავსულიყავი რუსთაველზე. გავემურე გუდიაშვილის ქუჩით და რას ვხედავ! – გეოგრაფიული საზოგადოების წინ უზარმაზარი გორაა გადაყრილი რუსული ჟურნალებისა. პერიოდიკა ჩანდა მხოლოდ. გეოგრაფიული საზოგადოების სარდაფიდან ამოუტანიათ გადასაყრელად და მანამდე შესასვლელთანვე დაუყრია. თურმე სარდაფი გაუქირავებიათ. აი, რატომ მოიქაჩლეს თავი. იმ დღეს, შუადღისას, წვიმდა და ეს ჟურნალების გროვა დასველებულიყო. ზედა ფენა მოვხსენი და გვერდით გადავყარე. მახსოვს, გაკვირვებით მიყურებდნენ გზად მიმავალი ადამიანები. დახვავებულის სიღრმეში ჩავძვერი. დაბლა უფრო დანესტილიყო. უმეტესად იყო ჟურნალი „Огонёк“, ასევე – „Вокруг света“ და „Охота и охотничье хозяйство“. მე ვეძებდი 50-იან წლებში დაბეჭდილ „Огонёк“-ს. 1958 წლის ერთ-ერთ ნომერში ფოტო უნდა ყოფილიყო სოფელ რველში გადაღებული, პაპაჩემის, პაპის ძმისა და მათი მამის. ეს ნომერი პირად ბიბლიოთეკაშიც მინდოდა გვექონოდა. მის ძებნაში მივხვდი, რომ პერიოდული გამოცემების ქვეშ არქივიც იყო.

წიგნი ჩემი მონარქია გადაყრილი არქივები

რისი არქივი? მხარეთმცოდნეობის საზოგადოებისა, რომელიც ამ გეოგრაფიული საზოგადოების მეზობლად იყო. მისი ხელმძღვანელი ფორმალურად ფილიპე მახარაძე გახლდათ, რეალურად კი – სერგი მაკალათია. არქივი წარმოადგენდა მის მიერ გამოცემული ნაშრომებისა და გამოსაცემად მომზადებული მასალების დანომრილ კრებულს. რა იყო იქ? – მაკალათიასეული რვეულები ეთნოგრაფიული შინაარსის ტექსტებით, პერიოდული გამოცემები... საზოგადოების კუთვნილი ფოტოების „შუშის“ ნეგატივები, გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციებში გადაღებული ფოტოები, რუკები, წიგნები. მთელი ეს არქივი ბიბლიოთეკაში „ნავაცუნცულე“. დავინწყე დათვალიერება. აღმოჩნდა მიხა ხელაშვილის ლექსების რვეულიც, ჩანერილი მისი დის, სალომე ჟამიაშვილის მიერ. ასევე მაკალათიას გამოცემების დედანი ხელნაწერები, ორიგინალური ფოტოები, ამ საზოგადოების საქმის წარმოების არქივი.



ამ სარდაფიდან ამოიტანეს

აქ ეყარა არქივი

ჟურნალ „Огонёк“-ის 1958 წლის ნომრები ვერ ვიპოვე, არ იყო, მაგრამ უკვე აღარც მახსოვდა. მეორე დღეს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შევიარე და ვიკითხე, ეროვნული ბიბლიოთეკისათვის თუ ჰქონდათ რამე გადასაცემი... ბრწყინვალე ქალბატონი გავიცანი, გვარად ჯორჯაძე. იქაც ეყარა გადასაყრელად გამზადებული პერიოდიკა. გარეთ ჩემ მიერ გაქეჩილი ფონდი კი უკვე გადაეყარათ, გამოდის, რომ მივუსწარი. იმ დღეს ცნობილი სტატისტიკოსის, კავკასიის კალენდრისა და კავკასიაზე სხვა სტატისტიკური გამოცემის შემდგენლის – დიმიტრი პაგირევის ფოტოც ვნახე. ნიგნებიც წამოვიღე. მხარეთმცოდნეობის საზოგადოების ის არქივი, ყველა იქ მოძიებული მასალით, დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წლების შემდეგ პაგირევის ფოტო ციფრულ ფოტომატიანეში ავტვირთე. აფხაზებს გადაუტანიათ თავიანთ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. სხვაგან მისი ფოტო დღემდე არ იძებნება.

მაშინ მეგონა, რომ ასეთი მდიდრული შენაძენი შემდგომში აღარ მექნებოდა. რა ვიცოდი, რომ ვცდებოდი.

იშვიათი გამოცემების მოძიება

უმეტესად, ისეთ მოგონებებს გთავაზობთ, რომელშიც იშვიათი გამოცემების მოძიება, შესყიდვა ან უსასყიდლოდ გადმოცემის მცდელობა წარმატებით სრულდებოდა ხოლმე, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს მცდელობა კრახით დასრულდებულა. არადა, ისეთი გამოცემებიც მინახავს, რომ ახლაც ოფლი მასხამს, მათი გახსენებისას. დავიწყეთ პირველი სინანულით:

1982-84 წლების პერიოდში ტიმოთე მახაურის მალაზიაში ილია ჭავჭავაძის თხზულებანი იყიდებოდა გამომცემლის, მიხეილ გედევანიშვილის ულამაზესი ავტოგრაფით: „დიდ მგოსანს, ვაჟა-ფშაველას, პატივისცემით გამომცემლისაგან. მ. გედევანიშვილი“. ეს ნიგნი ვაჟა-ფშაველასთვის თსუ-ს პირველ კორპუსში არსებულ ლაზარეთში მიუტანიათ, იქ ნოლისას. ვაჟას ბალიშთან დაუდევს. ხელი გადაუსვია და სანიტარი გოგონასთვის მიუწოდებია. რამდენიმე დღეში პოეტი კიდეც გარდაცვლილა. ნიგნი იმ სანიტარ გოგონას წამოუღია სახლში. მისი გარდაცვალების შემდეგ კი შთამომავლებს ტიმოთესათვის მიუტანიათ გასაყიდად. 300 მანეთი სად უნდა მეშოვნა იმ დროს?! გაიყიდა!

მეორე ჩავარდნა ის იყო, ხელნაწერი რომ ვერ შევიძინე. ნიგნის ბაზრო-



სარგი ახალათია

ბაზე იყიდებოდა 100 მანეთად სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. 1819 წელს იყო გადანერილი ულამაზესი ხელით. არ ვიცი, ვინ იყიდა. ორ საათში ვიშოვნე ფული, მაგრამ არც გამყიდველი დამხვდა და ნიგნიც გაყიდულიყო.

ბიბლიოთეკაში მუშაობის პერიოდში ახალგაზრდა კაცმა მომიტანა „ქვათა ლალადი“ რუსულად, მეცხრამეტე საუკუნის გამოცემა ავტოგრაფით: „ჩემს დისწულს, კოტეს, ილიასაგან. ზოგჯერ მოსაგონებლად“ – ერთვოდა ილიას ხელმოწერაც.

პაატა ნაცვლიშვილს რომ დავინახავდი ნიგნების ბაზრობიდან მომავალს, უკვე ვიცოდი, აზრი აღარ ჰქონდა ხიდთან ჩასვლას. არაერთხელ გავუმწარებოვარ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა 1927 წლისა, ორნაირია: ერთში მარტო ტექსტია, მეორეს კი გამოკვლევა და ლექსიკონი ახლავს. პირველი იშვიათია, მეორე არა. აბა, როგორია! – ის პირველი შეიძინა ჩემ წინ ნაცვლიშვილმა. მაშინ მასთან ახლოს არ ვიყავი, დათმობა რომ მეთხოვა. შემდეგ არაერთხელ დამეხმარა. მაშინ კი იმიტომაც გავმწარდი, რომ ვიძუნწე, მან კი ღირსეული ფასი გადაიხადა.

ახლა იმასაც ვნანობ, რომ ძველი პერიოდი ვერ გამოვიყენე რევოლუციამდელი ფოტოების შესაძენად. უამრავი უნიკალური ფოტო იყო და არ ვიყიდე. არ ვთვლიდი საჭირო საქმედ. 1929 წლის თბილისის მაზრის უზარმაზარი რუკაც ვერ ვიყიდე. ისევ სიძუნწე. არ მეგონა, თუ გაიყიდებოდა. უნიკალური ქართული დაგეროტიპებიც დაიკარგა: პატრონი რომ გარდაიცვალა, მომერიდა, სამძიმარზე მისულს მეთქვა მათ მნიშვნელობაზე. შედეგი: ანდერძი დაუტოვებია – ჩამატანეთ საფლავში... არადა ქართველების დაგეროტიპი არსად არაა. ახლა არქივები: უნდა მივსულიყავი ისტორიკოს გულჩორა აკოფაშვილის არქივის წამოსაღებად. ორი დღით დამაგვიანდა. გადაუყრია სახლის ახალ პატრონს. მრავალი სხვა შემთხვევიდან ახლა ესენი გამახსენდა.

P.S. ილიას ორიგინალი ფოტოც ვნახე ახლობელთან და რას წარმოვიდგენდი, თუ დაკარგავდა?! – რატომ არ მითხარიო? – შე დალოცვილო, ილიას ფოტოა, მეტი რაღა უნდა მეთქვა?! ლიტერატურის მუზეუმშია მისი იდენტური. ამით ვინყნარებ თავს.

ახლა რჩევები: იშვიათია ნიგნები ილიას ავტოგრაფით; დღემდე არსად არ შემხვედრია საგურამოს ილიასეული ბიბლიოთეკის ცალები. არადა, ჰქონდა. ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს ილიას თბილისის ბიბლიოთეკის ეგ-



დიმიტრი კავირაძი

ზემპლარები; ვაჟას პირადი ბიბლიოთეკა არ ჰქონია, მისი ავტოგრაფით წიგნი თვალთ არ მინახავს.

პირად ბიბლიოთეკაში მაქვს წიგნი დავით ჩუბინაშვილის ავტოგრაფით, ლევან მელიქიშვილს სჩუქნის. აკაკის სჩვევოდა ავტოგრაფებით მიძღვნა წიგნებისა. იაკობ გოგებაშვილსაც წესად ჰქონდა ეს. ერთი ასეთი წიგნი მეც მაქვს, ჩემს დიდ ბებიას, მონიკო ყანჩაველს რომ სჩუქნის იაკობი. ვნახე წიგნი, რომელშიც გალაკტიონის მინანური შენიშვნებია გრიშაშვილის ლექსებზე, აზრებს მპარავსო. ვერ ვიყიდე. ფასი!!! სადაა კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების ბიბლიოთეკა? გადარჩაო დიდი ნაწილი. არ ვიცი. შემხვდა გასაყიდი წიგნი ედუარდ შევარდნაძისა და მისი ძმების ბავშვობისდროინდელი ავტოგრაფებით, ადრე მათი მამის კუთვნილი, დღეს ის ისევე შევარდნაძის ოჯახში უნდა იყოს – მთხოვა ერთმა ძვირფასმა კაცმა, გურამ შარაძემ, და დავუთმე. მან გადასცა პრეზიდენტს. მქონდა პასტერნაკის გამოცემა მისივე ავტოგრაფით. ბიბლიოთეკას ვაჩუქე. ფერიდე კვაჭანტირაძემ მთხოვა, უარს ვეტყვოდი?

ო, რა გამახსენდა! საშინლად ვარ ჩემს თავზე გაბრაზებული: 1992 ან 1993 წელს ჩემს ეზოში, სანაგვე ბუნკერთან, ასობით ტომი ვნახე თბილისის საგიჟეთის პაციენტთა პირადი საქმეებისა. ქართულ ენაზე იყო, 1939-1941 წლების. ერთი ტომი ვინმე გერმანელ შმიდტს ეხებოდა. საგიჟეთში დანვენის მიზეზად მითითებული იყო მოჩვენებები ეროვნულობის გამო დევნისა. საინტერესო ანკეტები იყო კითხვარებით. ალბათ, არქივიდან ჩამოწერეს შენახვის ვადის გასვლის გამო. წვიმას დაესველებინა და შემეშინდა, ჩემი ბიბლიოთეკა არ გაეფუჭებინა. ამიტომ მხოლოდ ერთი საქმე წამოვიღე. ყიფიანის იყო, ხაშურში მცხოვრებისა. ის გიჟი არ ყოფილა, მაგრამ ალკოჰოლის მოყვარულიც საგიჟეთში მიჰყავდათ, თუ რაიმე დარღვევაზე წაუსწრებდნენ. ეჰ, მაშინ სტუდენტი ვიყავი. არქივშიც არავის ვიცნობდი. ახლა კი მიხარია, რომ არქივს საუკეთესო კოლექტივი და ხელმძღვანელი ჰყავს ქალბატონ თეონა იაშვილის სახით.

არის ისეთი წიგნებიც განსაკუთრებული ფასეულობა რომ აქვს არა ავტორის ან შინაარსის გამო, არამედ იმ ისტორიით, მისი სტამბიდან გამოსვლის შემდეგ რომ იწყება და გრძელდება. საუკუნეების განმავლობაში რჩება ისინი ბიბლიოფილთა ყურადღების ღირსად. ერთ ასეთ წიგნსა და მასთან დაკავშირებულ ისტორიაზე მინდა მოგიხსნათ:

1949 წელს სსრკ ზეიმობდა სტალინის დაბადების დღეს. უნდა ეზეიმა სოციალისტურ სამყაროსაც და რეაგირება მოეხდინა კაპიტალისტურ ქვეყნებსაც. მაშინ სტალინი ოფიციალურად გახდა 70 წლისა, რეალურად კი 71 წელზე მეტი იყო გასული მისი ამ ქვეყანაზე მოვლინებიდან. მოსკოვში, სახელმწიფო გამომცემლობაში (Гослитиздат), ალბომ „სტალინის“ მომზადებული მაკეტი იდო.

უნდოდათ, 100 000 ცალი დაებეჭდათ. მიართვეს სტალინის სასიგნალო ეგზემპლარი. დაათვალიერა, ტირაჟს დააკვირდა და ერთი ნული გადაშალა. გამოიცა 10 000 ცალი. ეს სსრკ-ს მასშტაბში ცოტა იყო. მსგავსი ალბომი 1939 წელსაც დაბეჭდეს მის 60 წლის იუბილეზე. ის 5000 ცალად იყო. როგორც ჩანს, გამომცემლობამ თავი დაიზღვია და დიდი ტირაჟით დაბეჭდვა შესთავაზა სტალინს, მან კი იმდენი დაანერა, რაც რეალური იყო. იმ გამოცემას მალაზია არ უნახავს. პარტიულ მაღალჩინოსნებს, ორგანიზაციებს, საზღვარგარეთულ ბიუროებსა და საჯარო ბიბლიოთეკებს გადასცეს. ბერიას მოკვლის მერე, 1953 წლიდან გამოცემა აკრძალეს, რადგან მისი ფოტოც იყო დაბეჭდილი. 1956 წლის შემდეგ კი ნიკიტა ხრუშოვის მომხრე ელიტამ სულაც გააქრო ის წიგნი საპრეზენტაციო ოთახიდან. ეს ინფორმაცია სადღაც წაიკითხა მამამ, მომიყვა და თან დასძინა: – იპოვნე და ვიყიდიო.

ჩავერთე ამ საქმეში. ტიმოთე მახაურს მივაკითხე. მითხრა: უზარმაზარი წიგნია, შვიდ კილოზე მეტს იწონის, @-ძეს აქვს, სტამბის უფროსიაო. – თუ გაყიდის-მეთქი? – არა, შვილო, მას ფული არ უჭირს, არ გაყიდის, შეიძლება გაჩუქოს, მაგრამ არ გიღირსო... მეტი არაფერი უთქვამს. – რამდენად იყიდა-მეთქი? – 150 მანეთი მომცა, ახლა 300 მანეთიც ღირს, რაც ვმუშაობ, 2-ჯერ მინახავს მხოლოდო. ეს იმას ნიშნავდა, რომ წიგნი იშვიათი იყო. წამოვედი ბუკინისტ მამული კოხრეიძესთანაც და მასაც ვკითხე @-ძეზე. დაიჭმუნა და მითხრა, რომ ვერ შევძლებდი მისგან ამ წიგნის ყიდვას. გავიდა ხანი და მისი მალაზიიდან გამოსულმა დავინახე შესასვლელთან მჯდომი ქალბატონი, თავისი ლექსების კრებულს რომ ყიდდა. მას ვილაც მამაკაცი ესაუბრებოდა. მამულში მითხრა, რომ ის იყო @-ძე, სტალინის ალბომი რომ ჰქონდა. მივედი ამ კაცთან, გავეცანი და ვთხოვე, ენახვებინა ეს წიგნი.

სიამოვნებით დამთანხმდა და სახლში მიმიწვია. მისამართი მომცა და წავიდა. ამ ქალბატონმა მირჩია: – არ მიხვიდე, შვილო, არ ღირს ამ კაცთან საქმის დაჭერა, არაა კარგი კაციო. – რას აშავებს მეთქი? – კაცი არაა ეგ, შვილო... მერე გავიგე, რომ ეს ქალი პოეტი მარეხ ამანათიძე ყოფილა. ფანტასტიკური ლექსების ავტორი, ბავშვობისას გალაკტიონთან ლექსი წაუკითხავს და პოეტს სურათი გადაუღია მასთან. ეს სურათი გვერდით ედო. მერე ცხოვრება ცუდად წასვლია, ვილაცას შეუცდენია და... დარჩა თავის შეცდომებთან. სიმპათიური მოხუცი იყო. სურათიდან კი ანგელოზი ბავშვი იყურებოდა, გალაკტიონთან ერთად. ბოლოს რომ შევეჩინდი ამ ქალბატონს, მითხრა: – შვილო, ბიჭები უყვარს, გაგაფუჭებს, მამათმავალიაო. მაშინ პირველად გავიგე ეს სიტყვა. გამეცინა. რა უნდა მიქნას მეთქი. კურთუკში მაინც ჩავიდე დრინი და ისე მივადექი. შემეპატიჟა, პიჟამაში იყო გამოწყობილი, წიგნი გამოიტანა და დადო მაგიდაზე. ნახეო,

თან ყავა შემომთავაზა. აი, მაშინ გამახსენდა ქალბატონ მაყვალას სიტყვები: – თუ მიხვალ, არაფერი დალიო ან შეჭამო. გაიხსენი ქურთუკიო – მითხრა. ნიგნი, მართლაც, შთამბეჭდავი ზომისა იყო. თან ვუყურებდი და თან ქურთუკი გავიხადე. ამ დროს გადმომივარდა დრინი და ... უნდა გენახათ ამ კაცის კნავილი. კუთხეში ჩაიკუზა. დაიწყო და რა დაიწყო: – ნადიიიიიი, ნადიიიი! – ნავალ, აბა რას ვიზამ მეთქი? და წამოვედი. ნიგნი უკვე დათვალიერებული მქონდა ყურადღებით.


გავიდა წლები. საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მიტინგიდან ვბრუნდებოდი და გმირთა მოედანზე ვილაც ხელს მადებს უკნიდან, მოვიხედე და @-ძე... – მიცანიო? – დიახ-მეთქი. შენთან შეკითხვა მაქვს: – ჩემი სტალინის ნიგნი გახსოვს? სადმე თუ ნახავ, იცნობო? – დიახ-მეთქი. – რითიო? ვუთხარი, რითაც: ნიგნს რაღაც ფოტოები ჰქონდა მისგან დანახებები. გაეცინა... მწარედ. – მომპარეს ის ნიგნი, თუ ნახავ, დამირეკო და „ვიზიტკა“ მომცა. დავშორდი და „ვიზიტკაც“ გადავაგდე.

კიდევ გავიდა წლები და 2003-ში უცნობმა დამირეკა: – თქვენ ეძებთ იმ ნიგნს, რომელიც მე მაქვსო და სტალინის ის ალბომი დამისახელა. შეხვედრა დავუთქვი სოფელი დიღმის ასასვლელთან. მოვიდა. ხელში პარკს რომ შევხედე, მივხვდი, რომ ის ალბომი იყო, 1949 წლის გამოცემა. სახინკლეში შევედით და იქ დავათვალიერე – @-ძის აღმოჩნდა. ვერ ვიყიდი, მოპარულია-მეთქი. – ფული ძალიან მჭირდება, მოპარული კი არაა, ცხონებულმა მაჩემმა წაართვა ერთსო. – @-ძეს-მეთქი? – კიო. მკითხა, საიდან ვიცოდი. ვუთხარი. მომიყვა: – მის სტამბაში ვმუშაობდი, პატარა ბავშვი ვიყავი და მიმიჩვიაო. მასთან სახლში დავდიოდი. მამამ იექვიანა, ჩუმად გამომყვა, შეეჭრა სახლში, დაულენა ყველაფერი, ეს ნიგნი კი წამოიღო. ვიყიდე. ეხლა ჩემთანაა ის ნიგნი. მაგრამ... არც ერთხელ არ გადამიშლია. გავხედავ ხოლმე თაროზე, ესაა და ეს.

**იოსებ იმედაშვილის
„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“**

კარგა ხანს მოგონებების წერა შევაჩერე. მიზეზი არაერთი ისეთი ამბავი იყო, გული რომ დამინვა, ბოლოს კი ერთმანეთის მიყოლებით „ღმერთების“ გარდაცვალებაც...

ახლა მინდა გავიხსენო ის დღე, როცა გავიგე ერთი დიდი ქართველის, იოსებ იმედაშვილის შესახებ. ეს იყო ჩემი სტუდენტობის დროს. გრიპი დამემართა და რამდენიმე დღე სიცხიანი ვინექი სახლში. მამის ბიბლიოთეკიდან იმედაშვილის მოგონებები ავიღე და ერთ დღეში წავიკითხე. სიცოცხლეში არაერთი განსაცდელი შეხვედრია, მაგრამ გადარჩენილა. მეფის რუსეთის დროს სიკვდილიც მიუსჯიათ, თუმცა იმპერატორს შეუნყალება



იოსებ იმედაშვილი

და იცით რატომ? კი არ უთხოვია შეწყალება, არა! გაუსინჯავთ და აღმოუჩენიათ, რომ გული მარჯვნივ ჰქონია. ამიტომაც შეინყალა. შემდეგ იყო საბჭოთა სინამდვილე. მან მაინც შეძლო 1926 წლამდე გამოეცა კერძო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რადგანაც სხვა ყველა რევოლუციამდელი პერიოდული ორგანო დახურული იყო. აქ გთავაზობთ იოსებ იმედაშვილის წერილს სტალინთან. ვაჟკაცური წერილია. „თეატრი და ცხოვრების“ შევინროვებით გამწარებული, აღშფოთებული წერს:

„სალამი ძველო მეგობარო, ძმაო სოსო!

მოიგონე ალექსანდრეს ბალის პირდაპირ ძველი მენიგნე-ბუკინისტი, მოიგონე ილიაში ამოჩრილი შენი სლავიანური ბიბლია (ბერები მაჩემებენ წაიკითხეო) და ჩემი „ახალი ბიბლია“ – ერ. რენანის «Жизнь Иесуса Христа» (იმ დროს არალეგალური), ჩემგან რომ წაიღე (აი, ეგ წამაკითხეო), რომლის გამო მე ამაფორიაქეს, შენ კი [ფ...???-რედ.] ლაფერაშვილმა გადაგარჩინა ჟანდარმებს წიგნის გადამალვით (რექტორს რომ შეუდო ბალიშს ქვეშ), მოიგონე პატარა წიგნის მალაზიაში დიდ ნებადაურთველ საგნებზე ფიქრი და ჩურჩული (თუ არ ვცდები ლადო კეცხოველთან ერთად), მოიგონე შენი „სოსელო“-ბა და მეც მოგაგონდები.

არ შეგანუხებდი, რომ ...: ჯერ ერთი შენი პირადი ნახვა მინდა, მეორეც ერთი საზოგადო-საკულტურო საქმეზე მსურს მოგელაპარაკო. გთხოვ ხუთი წუთი შემომწირო.

მარადის პატივისცემით შენი ძველი მეგობარი იოსებ (სოსო) იმედაშვილი
3 ივნისი, 1926 წელი“

ეს წერილი ინახება სტალინის პირად არქივში. იოსებ იმედაშვილს დიდი მეგობრობა ჰქონდა ძველ თაობასთან, მენშევიკებთანაც, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთასთან. გასუ-



კობა იხადაშვილი

ლი საუკუნის დასაწყისში, 1911 წლიდან, იოსებმა ბუმბერაზი საქმის გაკეთება გადაწყვიტა – დაიწყო ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის შედგენა. როცა რუსეთში ბროკგაუზ-ფერონის ენციკლოპედიური ლექსიკონი დაიბეჭდა, მაშინ ქართული ენციკლოპედია არ იყო და ივანე როსტომაშვილმა გადაწყვიტა იმ ენციკლოპედიის ქართულ ენაზე თარგმნა; ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიების დამატება კი ზაქარია ჭიჭინაძეს მიანდო. დაიბეჭდა კიდევ 4 ტომი და მერე შეწყდა მისი გამოცემა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ გადაწყვიტა იოსებ იმედაშვილმა ცალკე შეედგინა ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. იღვანა და განახორციელა განზრახვა, მაგრამ, სიკვდილამდე ოცნებად ჰქონდა მისი ნაშრომის დაბეჭდილი ტომების ნახვა. ბედი არ დაჰყვა მისი ლექსიკონის გამოცემას: გადაწყდა პირველი ტომის დაბეჭდვა და დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, შემდეგ რევოლუცია. 1940 წელსაც გადაწყდა მისი გამოცემა და დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1945 წლის შემდეგ კი დაუწუნეს ტექსტი, ლექსიკონში ლენინის ორდენოსნების შეყვანაც მოსთხოვეს... მიხვდა ბატონი იოსები, რომ ამ ნაშრომის გამოცემას ვეღარ მოესწრებოდა და შვილებს ანდერძად დაუტოვა: გამზადებულია ტექსტი და წიგნს დღის სინათლე ანახეთო. 1975 წელს გაიოზ იმედაშვილმა დასვა ეს საკითხი. ენციკლოპედიის რედაქცი-

ამ მოსთხოვა „სიტყვანი“ (ანბანურად განყობილი სიტყვები, ლექსიკონში განსამარტებელი). მერე ისიც აღარ დაუბრუნეს, ისე გარდაიცვალა ბატონი გაიოზი. მის შემდეგ ბატონი კობა უფროთხილდებოდა გამოცემის ხელნაწერ მრავალტომეულს. მაშინ მე მას არ ვიცნობდი. ამ გამოუცემელი განძის შესახებაც იოსებ იმედაშვილის მოგონებათა წიგნიდან გავიგე 1996 წელს. საბინინზე ვაგროვებდი მასალას და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში იოსებ იმედაშვილის მიერ დაწერილი საბინინის ბიოგრაფია ვნახე. მაშინ ვინატრე ამ ხელნაწერის ნახვა. მერე გავიცანი ბატონი კობა, რომელიც ჩემს შეთავაზებას დასთანხმდა და ხელნაწერი ეროვნულ ბიბლიოთეკას დაუთმო გამოსაცემად. პირველი და მეორე ტომები 2018 და 2021 წლებში დაბეჭდეთ ქალბატონ ქეთი გზირიშვილის თავაუღებელი მუშაობითა და რედაქციით. ბატონი კობა ამ გამოცემის იდეური ხელმძღვანელი გახლდათ, მე კი მისი „სანჩო პანსა“. რედაქტირების საქმეში სხვა არაერთი თანამშრომლის ღვაწლიც აღსანიშნავია. გამოცემის მომზადების მთავარი სირთულე ის იყო, რომ იოსებს ამ წიგნის შედგენისას შავი ვარიანტებიც შეუნახავს. ეს იყო აუნონავი ოქრო – რეპრესირებული ან საბჭოთა სისტემისათვის მიუღებელი პირების ბიოგრაფიები. მე „ჩემი ყნოსვით“ მივაგენი ამ შავ ტექსტებს, გაფანტულს სხვენსა და სარდაფში. მაგრამ ჩანდა, რომ მცირე ნაწილი ვერ მოვიძიე.

მეორე ტომის დაბეჭდვამდე, ერთ საღამოს, ბატონმა კობა იმედაშვილმა დამირეკა: – ამოდი, მომენატრეო. არასოდეს დამზარებია კოტე მესხის ქუჩის ბოლოში ასვლა. ბატონ კობასთან საუბარი ჩემთვის ერთი სიამოვნებაა. სტუდენტობის დროს რომ მიხაროდა ბატონ ლევან მენაბდესთან მისვლა და უნივერსიტეტის კიბეებზე არბენა, ისე მიხარია ხოლმე იმ ისტორიული ქუჩის არბენა ახლაც. მართალია, წლები მომემატა, მაგრამ ბოლო 20 წელი იმედაშვილების ისტორიულ სახლში შესვლა განსაკუთრებულ გრძნობას მიჩენს. არა მარტო იოსებ იმედაშვილს უცხოვრია ამ სახლში, მისი შვილი – გაიოზი, ვაჟა-ფშაველა, ზაქარია ჭიჭინაძე, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, – თითქმის ყველა ქართველი გამომცემელი, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის ბოლომდე, ამ სახლში ყოფილა. ბატონი კობაც ამ ოჯახისა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავი ამბის მცოდნეა...

ავედი და ზარი დავრეკე. ბატონმა კობამ გამილო

კარი და შემეპატიჟა. ვილაპარაკეთ, მკითხა ლექსი-კონის მეორე ტომის გამოცემაზე, მეც ვახარე, რომ ივლისში გადავცემდით სარედაქციოდ. თან ჩემი სათხოვარიც ვაუწყე: – იქნებ კიდევ გადაგვეხედა, შავი მასალა არ იყოს რამე დარჩენილი, არ გამოგვრჩეს-მეთქი. მან დამიდო სხვენისა და სარდაფის გასაღები, მომცა პირბადეც, არა კორონასგან, არამედ მტვრისაგან დასაცავად და მითხრა: – ეძიებდე და ჰპოვებდეთ!

ჯერ სხვენი ავითვისე. შედეგი არ მოჰყვა, თუ არ ჩავთვლით გაზეთების ნომრებს, რომლებიც, სავარაუდოდ, არ გვექონდა ბიბლიოთეკაში. მობილურში გავხსენი ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგი და, მართლაც, გამოვარჩიე დეზიდერატა. მერე სარდაფში ჩავედი. თითქმის ყველაფერი ნანახი მქონდა. არაფერი აღარაა და უკვე გამოვდივარ, სკივრსა და კედელს შორის მუყაოს საქალაქე რომ შევამჩნიე. ზედ აწერია: კიკნაველიძეების (ქველმოქმედები) დახოცვა. 1975 წელს მანქანაზე აუკრეფავს ვიღაცას ტექსტი და გაიოზ იმედაშვილისათვის გადაუცია. „მოგონება! ვუძღვნი იმ სოფელს, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი“ – ავტორი. მეტი არაფერი წერია. დავჯექი სკივრზე და დავიწყე კითხვა: ყარამან კიკნაველიძე; მისი დები და ძმები; მათი ოჯახი; ყარამანის სპარსეთში წასვლა; აკაკი ხოშტარის მიერ მისი ფეხზე დაყენება; სპარსეთშივე ბუღუ მდივანთან დამეგობრება; 1917 წელს, გამდიდრების შემდეგ, დაბრუნება საქართველოში; უნივერსიტეტის დაარსებისათვის დიდი თანხის შეწირვა; ბოლოს კი გაბოროტებული ნათესავების მიერ ყარამანის, მისი ულამაზესი ფეხმძიმე მეუღლისა და და-ძმების ამოხოცვა – დანვრილებით იყო მოთხრობილი ამ ოჯახში მომხდარი ტრაგედია. დავასრულე კითხვა და გამოვედი აივანზე. დაღამებულა. 10 წუთი აკლია 11-ს. სწრაფად დავიძარი ზემო სართულისკენ და უცებ ვიგრძენი უზარმაზარი გერმანული ნაგაზის ცხვირი ფეხებს შორის... რა საშინელი განცდაა, წამიერად გავიფიქრე: ნუთუ ამისათვის ამოვედი?! სულ რამდენიმე წუთის წინ კი მიხაროდა, ღმერთმა ის ხელნაწერი რომ მაპოვნინა, რომელიც ხელში მეჭირა. ფრთხილად ამოვიღე მობილური და ზარი ბატონ კობასთან. რამდენიმე წუთი გაუჩნდრევლად ვიდექი. ბატონი კობას დაძახება: – რექსი! და მე თავისუფალი ვარ. თან გამომატანა მასპინძელმა იმ ძვირფასი კაცის ტრაგედიის შემცველი ის ხელნაწერი, რომელიც დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება და მზადდება გამოსაცემად.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ

თვალწინ მიდგას შავ-თეთრი ფოტო ილიას ეტლისა, მიხეილ გედევანიშვილის მიერ 1914 წელს გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული პირველ ტომში რომ არის დაბეჭდილი. შემდგომი ტომები არც გამოცემულა. ეს წიგნი ჩვენი დიდი პაპის, გიორგი თაქთაქიშვილის ბიბლიოთეკაში იყო დაცული და დღეს ჩემი ბიძაშვილის – ასევე გიორგი თაქთაქიშვილის საკუთრებაშია. მე კი სულ მაფიქრებდა ილიას მკვლელობის საიდუმლო.

მგონი, 1986 წელს (1989 წლამდე რომ იყო, ნამდვილად მახსოვს) გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა ილიას მკვლელების ფოტოები. საბჭოთა დროს მათი ფოტოები არ ქვეყნდებოდა; ერთადერთი ბერბიჭაშვილის ფოტო იყო ისიდორე ოდიშვილის ავტორობით დაბეჭდილ წიგნში „წინამურის ტრაგედია“. სხვები არ მენახა. ის გაზეთი სასწრაფოდ დაიტაცეს. აქედანაც ჩანს, თუ რამდენად სტერილური იყო მაშინ პრესა სენსაციური ან ოდნავ დამინტრიგებელი მასალებისაგან. შესაბამისად, ხალხიც მიჩვეულიყო ამას. ისე, რომ მკვლელთა ფოტოების დაბეჭდვამ ყველა გააოცა. დავიწყე ამ თემაზე მასალების მოძიება. იყო ასეთი მკვლევარი – ვახტანგ გურგენიძე. ის მუშაობდა ჩემი სახლის გვერდით სახელმწიფო არქივში, ერთ-ერთი არქივის დირექტორად. სახელმწიფო არქივის შენობაში რამდენიმე არქივი იყო განთავსებული. მივადექი მას. მაშინ სკოლაში ვსწავლობდი. ეს ის დროა, ილიას მკვლელობას მთელი საქართველო რომ იკვლევდა. თვით ბატონ ვახტანგსაც ჰქონდა გამოკვეყნებული ამ თემაზე. მაშინ პოპულარული იყო ის ბროშურა, თვითგამოცემა. ხელიდან ხელში გადადიოდა. ბატონი ვახტანგის, ბრწყინვალე პიროვნების, გულითადი დახვედრის მიუხედავად, ჩაფიქრებული დავრჩი. ერთი შეხედვით, ეს კაცი გამბედავ ინფორმაციას წერდა. ილია სოციალ-დემოკრატიებმა მოკლესო და მათ შორის ფილიპე მახარაძეს ადებდა ხელს. სოციალ-დემოკრატიებში მეც, გაუთვითცნობიერებელი ბავშვი, კომუნისტების წინაპრებს ვხედავდი და ბატონი ვახტანგი გმირად წარმომესახა. მას ოთახში ჰქონდა ილიას მკვლელობის საქმის ტომები. სხვათა შორის, იქ წლების განმავლობაში ეწყო, მგონი – სიკვდილამდეც. არადა, სხვა არქივის კუთვნილება იყო. ალბათ მერე დააბრუნეს.

დავუჯექი და წავიკითხე. გამეგონა, რომ 1930-იან წლებში ვინმე საშა მიქელაძემ ბაზარში ხორცის ყიდვისას ნახა, რომ ყასაბმა ხორცი ილიას საქმის

ქალაქებში გაუხვია. მან ეს ქალაქები გამოართვა და გადაარჩინა, მაგრამ ნაწილი დაიკარგა. ვახტანგ გურგენიძემ დამაწყნარა და მითხრა, რომ ეს საქმეები კარგადაა დაცული: აქ მაქვსო, ის ფურცლები კი ამ საქმის ასლები იყო. ისიც გაიკვია, რომ ბერბიჭაშვილი არ დაუხვრეტიათ. მართალია, მიუსაჯეს დახვრეტი, მაგრამ მისი შვილი თურმე ომში გაუწვევიათ. მას მიუწერია წერილი პარტიის ცკ-ში, მე ვიბრძვი და მამას ნუ დამიხვრეტო. ციხეში თავისი სიკვდილით მოკვდაო, მითხრა ბატონმა ვახტანგმა. იმ წლებში დაიბეჭდა არაერთი გამოცემა ილიას მკვლელობის შესახებ. ერთი – ალექსანდრე სიგუას ავტორობით. მისი და ბატონ ვახტანგის შრომები ყველაზე დილექტანტურად იყო დაწერილი. დანარჩენიც სუბიექტური იყო, ჩემი აზრით. ჩანდა ერთი: ყველა თავისებურსა და ურთიერთგამომრიცხავ სურათს ხატავდა. ბიბლიოთეკაში მუშაობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, ბატონი გივი ჟორდანიას გავიცანი. ძალზე არაორდინალური, ძვირფასი მოხუცი. ისიც თავისას ამტკიცებდა.

ერთხელ, შვებულებით რომ ვიყავი სოფელ რველში, ბორჯომში წავედი სურსათის საყიდლად და იქაურ წიგნის მაღაზიაში ახალი გამოცემა ვნახე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. ალექსანდრე შუშანაშვილი იყო ავტორი. ვიყიდე და ერთ ღამეში წავიკითხე, გავათენე კითხვაში. თმები ყალყზე დამიდგა. ამ თემაზე დაბეჭდილ წიგნებში დღემდე ესაა ერთადერთი პროფესიონალი იურისტის (სამხედრო პროკურორი) ავტორობით დაწერილი გამოცემა. აქ ყველაფერი გასაგებია. სურათი ასეთია: 1907-1908 წლებში გამოცემა დარღვევებით ჩატარებულა. ერთი, ამ მკვლელობაში უდანაშაულო კაცი, ცემაშიც კი მოუკლავთ; ხოლო 1940 წელს დაბეჭდილი ოდიშვილის წიგნის მიხედვით მკვლელობის მთავარ ორგანიზატორად დასახელებული და ასე გასამართლებული ჯაში, სულაც უდანაშაულო გამოდის; თურმე ილია ელოდა, რომ მოკლავდნენ...

ჩამოვედი თბილისში და გავედი სამსახურში. ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ოთახში (იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში) შემოდის მკითხველი. გამეცნო. ალექსანდრე შუშანაშვილი იყო. რალაც წიგნს ეძებდა. დავეხმარე და შემდეგ ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. დამიჯდა და გამიჩრია ის საქმე. ბრწყინვალე ერუდიცია. პროფესიონალიზმი. ვუსმენდი პირუთვნელ კაცს, რომელმაც ასე დაასრულა სათქმელი: ლევან, მაინც ისე იქნება, როგორც ამ ხალხს უნდაო; ჩემი გამოკვლევა არავის არ დააინტერესებსო. რამდენიმე წელიწადში იგი გარდაიცვალა. მე არ მოყვები მის გამოკვლევასა და მკვლელობის წვრილმანებს. ეს მან დაწერა. წიგნი ბიბლიოთეკა-

ში გვაქვს. ვისაც სურს, წაიკითხოს. ამ თემას კი დავამთავრებ ჩემი დასკვნით:

1. ილია მოკლულია ჟანდარმერიის მიერ სოცდევების ხელით. ამით მათ ორი კურდღელი დაიჭირეს: მოიშორეს ილია და სახელი გაუფუჭეს ყველაზე პოპულარულ პარტიას;

2. პარტიაში ჟანდარმერიას აგენტები ჰყავდა;

3. პარტიის არალეგალურ შეკრებაზე, გამოცხადებული ტერორის ფონზე, აგენტს რომ შემოეგდო „მემამულე“ ილიას მოკვლა, ვერავინ იქნებოდა დამცავი;

4. დიმიტრი ჯაში უდანაშაულოა მკვლელობაში, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ დაბრალდა, მკვდარი გაასამართლეს 1938 წელს!!! ის ცოცხალი აღარ იყო, ხოლო კომპარტიას არ სურდა, სოცდევებს დაბრალებოდა, რადგან მათი ნაწილი შემდგომ კომუნისტი გახდა და ამ ორი პარტიის ისტორია ერთმანეთთან გადაბმული აღმოჩნდა.

ჟანდარმერიის პრობლემა არ ჰქონდა სტალინს, უკვე განადგურებული ჰყავდა 1938 წლისათვის; სოციალ-დემოკრატთა ლიდერები კი ევროპაში იყვნენ და ისიც გამალებული ეძებდა ტროცკის მკვლელობის განმხორციელებელს, რომ მზად ყოფილიყო გერმანიასთან ომისათვის. სოცდევების განადგურების ასეთ შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებდა და მათ მაგივრად ჟანდარმერიას დააბრალებდა მკვლელობას? ეს ხომ არარეალურია.

მაშინ გამოდის, რომ პირი მოწმინდა ქართველებს: თქვენ არ მოგიკლავთ? ესეც არაა რეალური.

მაშ რა რჩება? რჩება ერთი: მან იცის, რომ მკვლელობა ჟანდარმერიამ განახორციელა სოცდევების ხელით, მაგრამ ემიგრაციის აღარ ეშინია და მათ თავს ანებებს, ჟანდარმერიას კი აშიშვლებს. რატომ? ნოე რამიშვილის ეშინოდა და მოკლა. ემიგრაცია გაავსო აგენტურით. აი, რატომ აღარ ეშინია ემიგრაციისა. იქიდან საქართველოში არალეგალურად გამოგზავნილ პირებს ან საზღვრის გადმოკვეთისას იჭერენ, ან აცდიან და შემდეგ მასთან ერთად მის მასპინძლებს აპატიმრებენ. აი, რატომ არ ეშინია ემიგრაციისა და 1945 წელსაც რატომ არ ითხოვს მათ გადმოცემას საფრანგეთისაგან.

ვიყავი საგურამოს სახლ-მუზეუმში. გავიცანი მუზეუმის მაშინდელი უფროსი მარკოზაშვილი. 80 წელს გადაცილებული მოხუცი, გაყინულ შენობაში მჯდარი. იგივეს მეუბნება ჯაშის უდანაშაულობაზე: ჟანდარმერიასთან მისი შემდგომი თანამშრომლობა (1909 წლიდან გამოიყენეს) და მისი გამოცხადებამდე სიკვდილი, 1938-40 წლებში ჩატარებული გამოცემა შირმა იყო.

ამ რამდენიმე წლის წინ ბიბლიოთეკაში შემთხვევით გავიცანი ბატონი რიჩარდ ჯაში. ეძებდა მასალას თავისი ერთი წერილისათვის. ვკითხე, თუ ვინ

იყო მისთვის ილიას მკვლელობაში მონაწილედ მიჩნეული დიმიტრი ჯაში. პაპაო – მიპასუხა და მიაბო საოჯახო ინფორმაციები. იგივე არგუმენტები.

არ არის დასაჯერებელი? შვილიშვილი სუბიექტურია ხომ? (სხვათა შორის, ვთხოვე, დაენერა ნიგნი დიმიტრი ჯაშის ისტორიაზე, ოჯახური ინფორმაციებითა და მოძიებული მასალების ს ქ ო ლ ი ო ე ბ ი თ. დიას, სქოლიოებით, რათა დამაჯერებელი ყოფილიყო. ერთი წელი მონადრომა და დააბეჭდინა კიდეც 2018 წელს. მანამდე წამაკითხა და, სადაც არ იყო დამაჯერებელი, კითხვის ნიშნები დავსვი. გააკეთა ბრწყინვალე და პირუთვნელი ნიგნი – „დაგვიანებული წერილები“, დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში). თუ მაინც დაუჯერებელია, ერთსაც მოგახსენებთ: ილიას მკვლელობის შემდგომ ურიადნიკებმა გაიარეს გზაზე, იმ ადგილას. იქ ნახეს მკვდარი ილია, ნაცემი ოლლა, მეეტლე, რომელიც ტყიდან გამოვიდა. შემდგომ გაირკვა, რომ მკვლელობის მონაწილე იყო და თურმე სპეციალურად დატოვეს ცოცხალი, რომ გამოძიებისათვის კვალი აერია შემდეგი მიმართულებით: ილია არაქართველებმა მოკლეს, სომხური აქცენტით მოლაპარაკებმაო, ანუ დაშნაკებმაო. ასე თქვა კიდეც პირველ დაკითხვაზე იმ მეეტლემ.

მაშ რატომ, რა მასალაზე დაყრდნობით გააგზავნა ილიას მკვლელობის მეორე დღეს კავკასიის მეფისნაცვალმა თბილისიდან იმპერატორთან შეტყობინება: მოკლულია სახელმწიფო საბჭოს წევრი – ილია ჭავჭავაძე და, სავარაუდოდ, სოციალ-დემოკრატიებისაგანო. საიდან იცოდა ეს? რატომ გაიძარცვა მკვლელობის დღეს ილიას სახლი თბილისში და რა წაიღეს? რატომ იყო ილია ე.წ. „ნეგლასნი ნადზორის“ ქვეშ? რატომ ჩამოახრჩვეს ილიას მკვლელები სასწრაფოდ და არ შეისმინეს ოლლასაგან მათი შეწყალების თხოვნა? რატომ სთხოვდა ნინო ნაკაშიძე ოლლას ამ მკვლელთა შენდობას? მხოლოდ ქრისტიანული თვალსაზრისით? თუ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მონმენი ჟანდარმერიის ეშმაკობისა?

P.S. ბარემ ერთ ინფორმაციასაც დავწერ: ილიას მკვლელობის საქმეს 2007 წლიდან მიუბრუნდა ცხონებული ნოდარ გრიგალაშვილი. დადიოდა ბიბლიოთეკაში ჩვენთან, საარქივო ფონდში, უმეტესად შაბათ-კვირას. ინერდა უამრავ ლიტერატურას. როგორც ჩანს, შედეგებით უკმაყოფილო იყო: სიგარეტის მოსანევადა დადიოდა აივანზე. მისი ცოდვით ვინვოდი. თვეები იმუშავა. ბოლოს ვკითხე: რაზე მუშაობთ-მეთქი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სტალინის როლზეო – მითხრა. ამოვალაგე ჩემი შავი ამონაწერები. მეორე დღეს შევხვდით. ალიბი აქვს მეთქი. არაფერი მითხრა. გავიდა ხანი. ამ ძიებაში სხვა საინტერესო მასალებიც ნახა. ყაჩაღ



ალექსანდრე შუშანაშვილი

იმერლიშვილზეც. ნიგნიც გამოსცა და ავტოგრაფით მაჩუქა. ბოლოს გამომიტყდა: სტალინის მონაწილეობაზე მასალების მოძიება პრეზიდენტს დავეპირდიო. ეს ვერ ვნახე, მაგრამ სხვა მასალები მართლა საინტერესოაო (ნიგნში მგონი მაინც სტალინი ჩართო. შუშანაშვილის სიტყვები გამართლდა). შემდეგ ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი დაუპირისპირდა. როგორც მახსოვს, ის ედავებოდა: უკვე აღმოჩენილი თავიდან აღმოაჩინეო?! მათი ტელეპაექრობის წინ გრიგალაშვილმა ჩვენგან წაიღო ქსეროასლები ბატონი გურამის ერთი ადრინდელი კვლევის შესახებ. არ გამოუყენებია. მერე მითხრა: არაეთიკური იქნებოდაო. შევუნდეო. მერე სიმსივნე დაემართა და ველარ მოდიოდა. კარგი კაცი იყო, ნიგნზე მუშაობა ბრწყინვალედ იცოდა. უყვარდა „რევოლუციური მათიანეს“ კითხვა, ეს კრებული 20-იან წლებში გამოდიოდა; საარქივო ფონდიდან ინერდა. თქვა დანანებით ისიც: მართლა ყოფილა გამოქვეყნებული ყაჩაღ იმერლიშვილის მონაწილეობის შესახებ ილიას მკვლელობაშიო, გამოინერა და ნახა ყორანაშვილისაგან მითითებული ავტორის სტატია. ნუხდა, როგორ გამომრჩაო. არადა თვითონ დამოუკიდებლად მივიდა ამ დასკვნამდე. ჯოულ-ლენცის კანონი ხომ ჯოულმა და ლენცმა ცალკე-ცალკე მიაგნეს, ასე მოხდა აქაც. გული დამწყიტა მისმა გარდაცვალებამ...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. 2021, N3,4; 2022, N1,2



ლელა ლიპარტელიანი
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანმანათლებლო მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ დაფუძნდა 2012 წელს. მისი იდეის ავტორი და ინიციატორია ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე. მოძრაობის მიზანია წიგნის პოპულარიზაცია და წიგნიერების დონის ამაღლება. ამიტომაც, „ეკვილიბრიუმი“ მთელი საქართველოს მასშტაბით აწყობს და აახლებს ბიბლიოთეკებს.

მოძრაობის ეგიდით დღემდე 1500-ზე მეტ სოფელსა და მუნიციპალიტეტში განახლდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები. ხშირ შემთხვევაში, მოხდა მათი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა.

მცირე ბიბლიოთეკები გაიხსნა საზღვარგარეთ იქ მცხოვრები ქართველებისათვის. წიგნები გაიგზავნა საქართველოსა და მის ფარგლებს მიღმა მდებარე ციხეებში მყოფი ქართველი პატიმრებისათვის. იმ კლინიკებში, სადაც ბავშვებს მკურნალობენ, გაიხსნა საბავშვო წიგნის კუთხეები. საქართველოს მასშტაბით მოეწყო არაერთი ე. წ. „სკვერის ბიბლიოთეკა“. ეს არის მინი-ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული წიგნებით სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, მათთვის სასურველი წიგნი წაიღონ და შემდეგ უკან დააბრუნონ, სურვილის შემთხვევაში კი, ახალი წიგნიც დატოვონ. „სკვერის ბიბლიოთეკები“ ითავსებს ერთგვარი სადისკუსიო სივრცის ფუნქციასაც, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიების გამართვა.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა „ეკვილიბრიუმის“ აქტიურობამ იმ სოფლებსადმი, რომლებსაც დაცლის საფრთხე ემუქრებათ. გიორგი კეკელიძეს ხშირად ეკითხებიან: „სოფლები დაიცალა და ბიბლიოთეკებს, რომლებსაც თქვენ ხსნით, ეყოლება მკითხველი?“ მისი პასუხი ასეთია: „მე ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდ-



- თანადგომისა და მზრუნველობის 10 წელი

გომა მაქვს დ ერთი ადამიანიც რომ იყოს სოფელში და ითხოვდეს ბიბლიოთეკას, ჩვენ ჩავალთ და მოვანწყობთ დ თუნდაც ამ ადამიანის შესანარჩუნებლად“. ამ იდეის განხორციელება დამოუკიდებელი საინფორმაციო ონლაინგამოცემა „მთის ამბებთან“ (Mtisambebi.ge) ერთად დაიწყო. „დამებადა იდეა და ახლა მოვილაპარაკე გელა მთივლიშვილთან (Mtisambebi.ge-ს რედაქტორი) – ჩვენი საგანმანათლებლო მოძრაობა დაიწყებს ახალ მიმართულებას – „ბიბლიოთეკა მარტოკაცებისთვის“ (ცხადია, გენდერულად მხოლოდ მამაკაცები არ იგულისხმებიან) – მივანოდებთ ახალ ჟურნალებს, წიგნებს და ყველაფერს, რაც მათ წინასწარ შეთანხმების შედეგად დააინტერესებთ“ – წერდა მაშინ გიორგი კეკელიძე. და მართლაც, „ეკვილიბრიუმი“ მარტოკაცებსა და მარტოქალებს მუდმივად ამარაგებს წიგნებითა და სხვა საჭირო ნივთებით. მისი ყურადღების ქვეშ არამარტო სოფლებში ჩარჩენილი მარტოხელა ადამიანები, არამედ გაჭირვებული ოჯახებია, სადაც ბავშვები მოკლებულნი არიან ელემენტარულ საჭიროებებს. „ეკვილიბრიუმი“, ასევე, ატქიურად უზრუნველყოფს ოკუპაციის ხაზთან მდებარე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლებისა და რაიონების მომარაგებას ახალი წიგნებით. შეუძლებელია, აქვე არ აღვნიშნოთ ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერა. 2019 წელს ბრიტანეთის ელჩის, ჯასტინ მაკკენზი სმიტის თანადგომით, სენაკის დევნილთა დასახლებაში, შამგონაში და ახალციხეში ბიბლიოთეკები განახლდა.

2016 წელს მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის სახალხო გამოკითხვაში „წლის საუკეთესო“ (ნომინაცია „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა განათლებაში“) ხალხის რჩეული გახდა.

მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ დღესაც აგრძელებს თავის საქმიანობას და მთელი 10 წლის განმავლობაში ამ საქმეში მის გვერდით დგანან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ წიგნიერების დონის ამაღლება ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ქვეყნის წარმატებული მომავლისათვის.

„ეკვილიბრიუმის“ ქრონიკა 2021- 2022

ჩვენი ჟურნალი პერიოდულად აწვდიდა მკითხველებს ინფორმაციას მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამჯერად მოკლედ გაგაცნობთ „ეკვილიბრიუმის“ ქრონიკას 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით.

2021

24 ივლისს შატილში, საოჯახო სასტუმრო „სულფონში“ ადგილობრივებისთვის და შატლის ნებისმიერი სტუმრისთვის მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ მოაწყო ბიბლიოთეკა.



25 ივლისს „ეკვილიბრიუმი“ ჩავიდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ნასოფლარ კარსანში, სადაც მდებარეობს ძველი ობსერვატორია და რამდენიმე მონასტერი, რომელთაგან ერთ-ერთში მოაწყო მცირე ბიბლიოთეკა.



26 ივლისს „ეკვილიბრიუმმა“ გურიის სოფელ ნასაკირალში მოსწავლეების კლუბ „ნასას“ მცირე ბიბლიოთეკა მოუწყო.



24 აგვისტოს „ეკვილიბრიუმი“ ეწვია სოფელ აგარაში მცხოვრებ თემურ იკოშვილს (ფოტოზე მარცხნივ), რომელიც მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და იქაურ ახალგაზრდებს ინგლისურ ენას ასწავლის. თემურს სხვა მრავალ გეგმასთან ერთად, ერთი ოცნებაც ჰქონდა – საკუთარ სახლში აგარელებისთვის მოეწყო ბიბლიოთეკა. სწორედ ამ მომავალი ბიბლიოთეკისათვის „ეკვილიბრიუმისაგან“ გადაეცა მას საჩუქრად ასამდე ახალი გამოცემა.




4 სექტემბერს „ეკვილიბრიუმი“ ესტუმრა ცაგერს და საკუთრივ, ნია ჩორგოლიანს, რომელიც ცაგერში, ოცამდე კომლიან ულამაზეს სოფელ ღუმში ერთადერთი მოსწავლეა. „ეკვილიბრიუმმა“ მას ახალი სასწავლო წლისთვის საჩუქრად გადასცა კომპიუტერი და სასურველი წიგნები. ნიას, „ეკვილიბრიუმთან“ ერთად, მოძრაობა „შენმოქმედიც“ ესტუმრა.



11 სექტემბერს იორმულანლოელ ახალგაზრდებს მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ხელშეწყობით დიდი ხნის სურვილი აუხსრულდათ – მოეწყო ქართული ბიბლიოთეკა. ეთნიკურად არაქართველი ჩვენი თანამემამულეებით დასახლებულ სოფლებში ქართული ბიბლიოთეკების მოწყობა მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა. წინა წელს ასეთივე პროექტი განხორციელდა სომეხი ეროვნებით დასახლებულ სოფლებშიც, სადაც, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მსგავსად, სომეხმა ახალგაზრდებმაც გამოთქვეს ქართული ბიბლიოთეკების გახსნის სურვილი.

21 სექტემბერს სოფელ წერაქვში, მიხეილ ჯავახიშვილის სკოლაში, მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ გახსნა სკვერის ლამაზი ბიბლიოთეკა. ამავე სოფელში, ორგანიზაცია „დიდგორელთან“ თანამშრომლობით, დაიგეგმა მწერალ ნოდარ წულეისკირის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრის დაარსებაც. ნოდარ წულეისკირი წლების წინ სწორედ ეროვნულ ბიბლი-

ოთეკას ხელმძღვანელობდა და სიცოცხლის ბოლო წლები ამ სოფელში გაატარა.



22 სექტემბერს გურიაში, სოფელ დაბლაციხეში, ჯაყელების წისქვილში, მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ მოაწყო წისქვილ-ბიბლიოთეკა, რომლის „გამგე“ გახდა ზურიკო სიხარულიძე. წისქვილი-ბიბლიოთეკები საგანმანათლებლო მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ერთ-ერთი მიმართულებაა. მსგავსი ბიბლიოთეკები უკვე მოეწყო ორმოცამდე სოფელში.



26 სექტემბერს სოფელი ურავში, მთის ნვერზე ორი ძმა: ლუკა და ლევან ჩალაძეები ცხოვრობენ, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ეთო არსანიძემ მიაწოდა „ეკვილიბრიუმს“. შემდეგ „ეკვილიბრიუმი“ ეწვია ძმებს და დაუმეგობრდა. მათ უკვე აქვთ ახალი წიგნები, პერსონალური კომპიუტერი და 18 თვე უფასო ინტერნეტი. ეროვნულ ბიბლიოთეკას კომპანია „გალფი“ და „შენმოქმედი“ დაუდგა მხარში. მათთან ერთად გრძელდება სხვადასხვა კუთხის სოფლებში ოჯახების დაძვბნა და მათთვის შესაბამისი საგანმათლებლო კუთხეების მონყობა.



26 სექტემბერს გლოლაში „ეკვილიბრიუმმა“ ჩაიტანა და სოფლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ახალი წიგნები.



27 სექტემბერს მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ რაჭის სოფელ პიპილეთში, საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო მასწავლებელმა, ლელა კოტორაშვილმა მიიწვია. მისი ინიციატივით გიორგი კეკელიძე შეხვდა პატარებს – მარიამ და თემუკა გოგლიძეებს. მარიამი კლასში ერთადერთი მოსწავლეა, თემუკა კი სასკოლოდ ემზადება. მათ საჩუქრად გადაეცათ წიგნები.



4 ოქტომბერს დუშეთის მთიანი სოფლის, ლაფანანთკარის მოსწავლეებს სწავლის დაწყება მიულოცა მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ და ბავშვებს ახალი წიგნები ჩაუტანა, ხოლო „დემოკრატიის ლაბორატორიამ“ თავისი პროექტი „რაც მოგივა დავითაო“ გააცნო, დაიმეგობრა ახალგაზრდობა და შეასწავლა მოსწავლეებს სოციალურ ქსელებში დეზინფორმაციის ამოცნობა.



12 ოქტომბერს საზღვრისპირა სოფელ მოლაოლიში, რომელიც დასახლებულია აზერბაიჯანელი ეროვნების ჩვენი თანამემამულეებით, მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ სათემო ცენტრში ქართული წიგნები ჩაიტანა. ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის ცოდნის გაღრმავებაში და დეზინფორმაციის თავიდან არიდებაში ლექციის სახით დაეხმარა „დემოკრატიის ლაბორატორია“ და თამაში „დავითა“.



22 ოქტომბერს „ეკვილიბრიუმი“ ჩავიდა და ახალი წიგნები ჩაიტანა სოფელ უდაბნოში, რომელიც გამორჩეულია არა მარტო იმით, რომ მდებარეობს კახეთის ულამაზესი მინდვრების შუაგულში, არამედ იმითაც, რომ აქაურ სკოლაში სწავლობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – სვანეთიდან, აჭარაიდან, რაჭიდან და მესხეთიდან ჩამოსახლებული ოჯახების ბავშვები. როგორც აღმოჩნდა, უდაბნო იყო რიგით 1500-ე სოფელი, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, გიორგი კეკელიძის ინიციატივით შექმნილმა მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ განაახლა ბიბლიოთეკა წიგნებით და სწავლისა და განვითარების სტიმული მისცა ადგილობრივ ბავშვებს.

„ეკვილიბრიუმთან“ ერთად უდაბნოს ეწვივნენ „დემოკრატიის ლაბორატორიის“ წევრები, რომლებმაც მოსწავლეებს შემეცნებით ონლაინ-პლატფორმა „დავითა“ გააცნეს.



27 ოქტომბერს, სკოლის ბიბლიოთეკების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ესტუმრა ბულაჩაურის ბიბლიოთეკას და ახალი წიგნებით მოამარაგა.



8 დეკემბერს ოკუპაციის გამყოფ ხაზთან, სოფელ მერეთში, მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ევროპულ სკოლასთან ერთად, ახალი წიგნები, პროექტორი და დაფა ჩაიტანა საჩუქრად.



17 დეკემბერს თეთრინყაროს სოფელ ქოსალარს, სადაც აზერბაიჯანელი ეროვნების ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ, ესტუმრა მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ და სახელმწიფო ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად, ქართული ბიბლიოთეკა მოაწყო. „დემოკრატიის ლაბორატორიამ“, თავის მხრივ, იქაურ ახალგაზრდებს გააცნო პლატფორმა „დავითა“.



2022

5 იანვარს მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ეწვია „ბათუმელების“ რეპორტაჟის გმირს, 15 წლის ქედელ შოთა ბოლქვაძეს. მან ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა. საკმაოდ მძიმე შრომა უწევდა. მერე ავად გახდა და სკოლაში სიარული ვეღარ შეძლო. შოთა მეზღვაურობაზე ოცნებობს, თუმცა მანამდე სკოლაში სწავლა უნდა განაგრძოს. „ეკვილიბრიუმმა“ მას კომპიუტერი ჩაუტანა და პირადი ბიბლიოთეკაც მოუწყო.



მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ დაუმეგობრდა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ მოგზაურ ბიბლიოთეკას. მას ასევე მხარდაჭერა და თანამშრომლობა გამოუცხადეს გიორგი ნატროშვილმა და „სოლუტივომ“.

10 იანვარს მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ შავშვეებში ახალი ბიბლიოთეკა მოუწყო დევნილ პატარებს.



13 იანვარს „მთის ამბებისა“ და მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ წინასასკალანდო გასვლებმა ტრადიციის ფორმა მიიღო. წელს, ერთ-ერთი პირველი გასვლა იყო ფშავეში. აქ „ეკვილიბრიუმი“ ესტუმრა მთის წვერზე შეფენილ სოფელ ხომში, პოლიეთილენით შემოკრულ ქოხში მცხოვრებ ჭიკაიძეების ოჯახს და ბავშვებს ბიბლიოთეკა მოუწყო. სტუმრებმა ტკბილეულითაც გაახარეს ბავშვები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ეკვილიბრიუმის“ თაოსნობით დაიწყო თანხის შეგროვება ოჯახისთვის პატარა სახლის ასაშენებლად.



11 თებერვალს „ეკვილიბრიუმმა“ ქართველ ძალოსნებს ახალი წიგნები მიუტანა.

24 თებერვალს მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ჩავიდა სოფელ ქვემო ხვითში და ოკუპაციის გამყოფ ხაზთან დათა პაპას სახელობის ბიბლიოთეკა მოაწყო, სადაც წიგნებთან ერთად მოსწავლეებს კომპიუტერიც გადაეცათ საჩუქრად. „ეკვილიბრიუმს“ ამჯერად სკოლა „ჯეჯილი“ ამოუდგა მხარში.



1 მარტს მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“ ლესია უკრაინკას სკოლა ახალი წიგნებით მოამარაგა.



29 მარტს „ეკვილიბრიუმმა“ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში ასობით ახალი წიგნი ჩაიტანა. „ოკუპაციის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში: არბოში, მერეთში, კარბში ასობით ახალი წიგნი ჩავეიტანეთ „ბიბლუსთან“ და „ანაგრამთან“ ერთად და ერთი დიდი საქმის სტარტიც მოვნიშნეთ, რომელსაც აპრილში შევუდგებით“, – განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

2 აპრილს „ეკვილიბრიუმი“ გორში, შინდისის საჯარო სკოლას ესტუმრა და სკოლის ლიტერატურული კაფე წიგნებით მოამარაგა.



22 აპრილს „ეკვილიბრიუმი“ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყელქცეულის ოთარ ჩხეიძის სახელობის სკოლას ესტუმრა და წიგნებით მოამარაგა. შეხვედრისას გიორგი კეკელიძე მოსწავლეებს ესაუბრა წიგნიერების მნიშვნელობაზე.



20 ივნისს გიგი და თამთა ფიფიების ერთობლივი ძალისხმევით, ოკუპაციის საზღვართან, სოფელ ლიაში (ლია – სოფელი სამეგრელოზე მო სვანეთის მხარის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში), სკვერში, წიგნის ბუდე განთავსდა და წიგნებით შეივსო.

5 ივლისს კასპში მოეწყო ბიბლიოთეკა ახალგაზრდული ცენტრისთვის „კომლი“.



7 ივლისს თელავში, სოფელ ნაფარეულში, „ეკვილიბრიუმმა“ ჩაიტანა წიგნები და განაახლა სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.



15 ივლისს მარნეულში, შაუმიანის დევნილთა დასახლებაში „ეკვილიბრიუმმა“ მოაწყო ბიბლიოთეკა.





დავით გიგინეიშვილი

ხელოვნების კრიტიკოსი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ზალცბურგი, ალპებში ჩაკარგული ეს პატარა, ავსტრიული ქალაქი, დიდად ამაყობს უკვე ერთსა-უკუნოვანი მუსიკალური ფესტივალის ტრადიციით. 1920 წელს, პირველად ჩატარებული ფესტივალის მოიცავდა დრამას, ოპერას და მრავალფეროვან მუსიკალურ კონცერტებს. ტრადიციულად ზალცბურგის ფესტივალის ზაფხულში, ივლის-აგვისტოს თვეებში ტარდება და სრულდება მოცარტისა და სხვა კომპოზიტორების ოპერები.

1973 წელს ჰერბერტ ფონ კარაიანმა, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ფესტივალის აღორძინება, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, პირველად, სამების დღესასწაულთან დაკავშირებით (რომელიც აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს ემთხვევა) ოთხდღიანი მინი-ფესტივალი დაამატა ძირითად ფესტივალს. წელსაც ზალცბურგის ფესტივალის (Salzburger Festspiele) მოიცავს, როგორც სამების (3-6 ივნისი), ასევე საზაფხულო ძირითად ფესტივალს (18 ივლისი-31 აგვისტო). აქვე უნდა ითქვას, რომ სიახლეების მოყვარულმა ფონ კარაიანმა, ჯერ კიდევ 1967 წელს, შემოიღო 10-დღიანი მუსიკალური ფესტივალი, რომელიც შაბათიდან აღდგომის შემდგომ ორშაბათამდე იმართებოდა, სადაც იგი ოპერას, საორკესტრო, საგუნდო და სხვა მუსიკალურ კონცერტებს სთავაზობდა მსმენელს. ამ მოკლე ფესტივალს სააღდგომო (Osterfestspiele Salzburg) დაერქვა. წელს ამ ფესტივალს ზალცბურგში მასპინძლობდა სახელგანთქმული დრეზდენის სახელმწიფო კაპელის ორკესტრი (Staatskapelle Dresden), მისი ხელმძღვანელის – ქრისტიან თილემანის თაოსნობით. პროგრამაში იყო ვაგნერის „ლოენგრინი“ და მრავალი სიმფონიური კონცერტი (მტრაუსის, შოსტაკოვიჩის და ბრუენერის

წინასააღდგომო კონცერტი ზალცბურგში

მუსიკა). ცალკე კონცერტად, რომელსაც „კონცერტი ზალცბურგისათვის“ დაერქვა, უნდა შესრულებულიყო ბეთჰოვენისა და ბრამსის მუსიკა. ჩემი წინასააღდგომო ვიზიტის ფარგლებში ამ უკანასკნელ კონცერტზე დასწრება მოვინდომე და პრესის მიწვევა მივიღე. კონცერტი ტარდებოდა ფესტივალის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც 2200-მდე მსმენელს იტევს და იგი საინტერესო იყო ჩემთვის არა მარტო პროგრამით, არამედ იმ ფაქტით, რომ მხოლოდ იმ საღამოს სადირიჟორო პულტთან უნდა ყოფილიყო ცნობილი კორეელი დირიჟორი მიუნგ-ვუნ ჩუნგი (Myung-Whun Chung). ეს დირიჟორი მახსოვს ბერლიოზის „ფაუსტის განკიცხვის“ ჩანაწერიდან, რომელიც, ჩემი შეფასებით, ამ ულამაზესი მუსიკალურ-დრამატული ლეგენდის ერთ-ერთი, ყველაზე წარმატებული ჩანაწერია. ჩუნგის საშემსრულებლო რეპერტუარში ფრანგული და გერმანული რომანტიკული და პოსტრომანტიკული მუსიკა დომინირებს. ამავე დროს, მიუნგ-ვუნ ჩუნგი პიანისტია... ასე იყო ამ საღამოსაც. ბეთჰოვენის დაუფინყარი ტრიო-კონცერტში იგი დირიჟორობასთან ერთად პიანისტის როლსაც ითავსებდა. დანარჩენი სოლისტები იყვნენ: მევიოლინე – მათიას ვოლონგი და ჩელისტი – ნორბერტ ანგერი. გერმანელი მევიოლინე მათიას ვოლონგი (Matthias Wollong), როგორც პირველი ვიოლინო, მონაწილეობას ღებულობდა კონცერტებში ბევრ გერმანულ სიმფონიურ ორკესტრთან, მათ შორის დრეზდენის სახელმწიფო კაპელასთან ერთად. ამჟამად იგი დაკავებულია როგორც სადირიჟორო, საშემსრულებლო (მევიოლინე, კამერულ ანსამბლებში), ასევე პედაგოგიური საქმიანობით. გერმანელი ჩელისტი ნორბერტ ანგერი (Norbert Anger) 2013 წლიდან შეუერთდა დრეზდენის სახელმწიფო კაპელას და დღემდე ამ ორკესტრის წამყვანი სოლისტია.

მინდა აღვნიშნო, რომ ზალცბურგში, წინასწარ გამოცხადებული ინფორმაციის საწინააღმდეგოდ, პრაქტიკულად არ იგრძნობოდა აღდგომის დიდ დღესასწაულთან დაკავშირებული ფუსფუსი და განცდა. მხოლოდ, ტკბილეულობის მაღაზიებში გამოფენილი კვერცხისა და ბაჭყის ფორმის შოკოლადები თუ მოგაგონებდათ აღდგომის დღესასწაულის დადგომას. ასევე, თვალშისაცემი იყო შაბათ-კვირას ტაძრებში მიმავალი ადამიანების



ნაკადიც და სამრეკლოების ზარების გადაძახილი. ზოგადად, ტურისტებსაც კი ნაკლებად შეხვდებოდათ წინა წლებთან შედარებით. ხშირად ისმოდა რუსულენოვანი საუბრები. არც უკრაინაში სასტიკი ომის ექო იგრძნობოდა ქალაქში. თუმცა, მდინარის მარცხენა სანაპიროს ერთ-ერთ მოედანზე, ავსტრიის სახელმწიფოსა და სხვა დროშებთან ერთად, ფრიალებდა უკრაინული დროშა. ასეთი დროშა ერთ პატარა ძველებურ სახლზეც დავინახე.

14 აპრილს, წესის თანახმად – პირბადით, სხვა მრავალ მსმენელთან ერთად, მეც შევაბიჯე დიდი საკონცერტო დარბაზის შესასვლელ კარებში, მივიღე ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ბროშურა-ცნობარი და დავათვალიერე. ფოიესაც თვალი გადავაავლე. არსად არ შემინიშნავს დღესასწაულის აღმნიშვნელი წარწერა ან გაფორმება, არც უკრაინელთა მხარდამჭერი სხვა რამ... არც კონცერტზე დამსწრე მოქალაქეებში, რომელთა დიდი უმეტესობა 60 წელს გადაცილებული ასაკის ავსტრიელები წარმოადგენდნენ, უკრაინელთადმი თანადგომის არანაირი ნიშანი არ შემინიშნავს. საქართველოდან იქ ჩასულ მოქალაქეს, ყოველივე ეს, უთუოდ თვალში მოხვდებოდა...

ბეთჰოვენის სახელგანთქმული დო-მაჟორული ტრიოკონცერტი, თხზულება 56, ჩუნგმა ფაქიზად შეასრულა – უფრო რომანტიკულ, ვიდრე აბოპოქრებულ-რევოლუციურ სტილში. სოლო ინსტრუმენტები (ვიოლინო, ჩელო და ფორტეპიანო) იყო კარგად დაბალანსებული – ერთიმეორეს არ აჭარბებდნენ. ხმა, რომელიც მოიცავდა 40 შემსრულებელზე ოდნავ მეტ ორკესტრანტს, თანაბრად

ვრცელდებოდა დარბაზის დიდ სივრცეში.

ბრამსის მეოთხე მი-მინორული სიმფონია, რომელიც კონცერტის მეორე ნაწილში შესრულდა, ორგანიზატორებმა კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 125 წლის იუბილეს მიუძღვნეს. ბრამსის ეს ბოლო სიმფონია, დაწერილი მისი შემოქმედების უკანასკნელ დეკადაში, მეტად დახვეწილი და მრავალშრიანი, მოიცავს რომანტიზმის და კლასიციზმის მიდგომებს. იმავდროულად მუსიკის თეორეტიკოსები მასში ბაროკოს ელემენტებსაც პოულობენ, პირველ რიგში, მის ბოლო მეოთხე (ალეგრო) ნაწილში. ბრამსის შესრულებისათვის ორკესტრი კიდევ შეივსო ინსტრუმენტალისტებით და იგი უზარმაზარი გახდა. ჟღერადობაც შეიცვალა – ბრამსის მუსიკა უკვე კლასიციზმისკენ გადადგმული მყარი ნაბიჯი იყო და განსხვავდებოდა ბეთჰოვენის მუსიკისაგან, განსაკუთრებით – ტონალობით. გაჩნდა სევდა და წუხილი, ასევე მუსიკალური პალიტრა მოდიოდა მსხვილი და მყარი პლასტებით. ამის მიუხედავად, ჩუნგის ხელში დრეზდენის სახელმწიფო კაპელის ორკესტრმა არ დაკარგა სიფაქიზე და სირბილე. არაფერი არ აღიზიანებდა ყურს – არც მომატებული ტემპი, არც მძლავრი აქცენტი, რადგან შესრულების მანერა, თანამედროვე ინსტრუმენტები და დარბაზის აკუსტიკა ქმნიდა ჰარმონიულ სივრცეს.

იმ საღამოს დრეზდენის ორკესტრმა ერთხელ კიდევ გაამყარა ჩემში არსებული შთაბეჭდილება, რომ იგი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ორკესტრია და ჩუნგის ხელში მან მდგრადი რომანტიკული ელფერი გამოავლინა.



რომლებიც სხვადასხვა წლებში გამოიცა და ბევრი საინტერესო ინფორმაციით შეავსებს თქვენს ცოდნას ევროპის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის, ევროკავშირის შექმნის მიზნების, საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის საკითხებისა და ამ ურთიერთობათა გაღრმავების პერსპექტივების შესახებ.




ევროპა როგორც მასწავლებელი: ევროპა XIX საუკუნის ქართულ პრესაში = Europe as a teacher : Europe in the 19th-century georgian press / რედ.: გ. საბანაძე, ე. ჯგერენაია ; გამოცემაზე მუშაობდნენ: ნ. გედენიძე, ხ. დავითური, თ. კენჭოშვილი [და სხვ.]. - თბ. : მერიდიანი, 2017. - 366 გვ. ; 23 სმ.



ევროპა და ქართული კულტურა = Europe and Georgian culture / საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნ-ტი ; გამომც.-რედ. ნატო გენგიური ; რედ.: ნ. გენგიური, ლ. ოჩიაური, გ. ცქიტიშვილი, თ. ჩხეიძე. - თბ., 2020 (სტამბა "კენტავრი"). - 390, [16] გვ. : ილ. ; 20 სმ.– (სერია: XX საუკუნის ხელოვნება = Art of the 20th century).



მუსხელი, მიშელ (მუსხელიშვილი, მიხეილ). ერთიანობა მრავალფეროვნებაში = L'unite dans la Diversite = Unite in Diversity: [ნაშრომები ფედერალიზმის შესახებ და ამონარიდები მიშელ მუსხელის და გასტონ სტეფანის წიგნიდან „ევროპა ფედერალიზმის პირისპირ“] / მ. მუსხელი; თარგმ.: მ. ვესელავა, ნ. ვეკუა ; მთავარი რედ. - გამომც. ზ. ჯგუბურია ; რედ.: ი. ა. არჩუაშვილი. - თბ., 2019. - 350 გვ. ; 30 სმ.




ევროპულ-ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები = Europe-Georgia military, political and civil relations aspects : სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული / სსიპ - დავით აღმაშენებლის სახ. საქ. ეროვნ. თავდაცვის აკადემია ; ხელმძღვ. რამაზ კვარაცხელია ; სარედ. კოლეგია: გ. მემველიანი, ა. ჩაჩხიანი, ალ. მიქაბერიძე [და სხვ.]. - თბ., 2019. - 100 გვ. ; 28 სმ;



ჯანაშვილი, ლელა, ამილახვარი, გიორგი. ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო (საქართველოს მაგალითი) = European Security and Modern Constitutional State (Example of Georgia) / ლ. ჯანაშვილი, გ. ამილახვარი; რედ.: თ. ზარანდია, ა. თოხაძე. - თბ. : სამშობლო, 2021. - 240 გვ. ; 24 სმ.



ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ / სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიმუღმ მესხელის ინსტიტუტი ; თ. ლაკერბაიას, გ. გუგუშვილის და ნ. გელაშვილის თარგმანი. - თბ. : სულხან-საბა ორბელიანის უნ-ტის გამ-ბა, 2020. - 26 გვ. ; 18 სმ. - თარგმნილია ქარტიის ოფიციალური ინგლისური, ფრანგული და გერმანული ვერსიებიდან.



ემერსონი, მაიკლ, თამარ კოვზირიძე. საქართველო და ევროკავშირი : მოკლე გზამკვლევი / მ. ემერსონი და თ. კოვზირიძე ; ქართული თარგმანის რედ.: თ. კოვზირიძე, ლ. დოლობერიძე, ვ. ლეჟავა ; ილ.: კ. სუნერბერგი. - თბ., 2016 (შპს "სეზანი"). - 36 გვ. : ილ. ; 23 სმ.



საქართველო-ევროკავშირი: ასოცირების შესახებ შეთანხმება = Georgian-european Union: Association agreement 27.06.2014 / საქართველოს პარლამენტი. - [თბ., 2014]. - 551 გვ. ; 30 სმ.




დეკანოზიშვილი, მარიამ, სერგი კაპანაძე. ევროკავშირი / მ. დეკანოზიშვილი, ს. კაპანაძე. - თბ.: თბილ. სახელმწ. უნ-ტი, 2016. - 339 გვ. : გრაფ., ცხრ. ; 29 სმ.



ლიჩი, როდნი. ევროკავშირი : ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია / როდნი ლიჩი ; [მთარგმნ.: რამაზან აბდულაევი ; სარედ. საბჭო: შადიმან ხელაძე და სხვ.]. - თბ. : ჯისიაი, 2002. - 413გვ. ; 20სმ.

„ეკვილიბრიუმის“ რუკა



რუკაზე ასახულია ყველა ის რეგიონი და სოფელი, სადაც, მოძრაობის დაწყებიდან დღემდე განახლდა ბიბლიოთეკის ნიგნადი ფონდი, აღიჭურვა უახლესი ტექნიკით (კომპიუტერებით) ან დაარსდა ახალი ბიბლიოთეკა.